

TBILISI THEOLOGICAL ACADEMY

თბილისის სასულიერო აკადემია

THE SCROLL

ECCLESIASTICAL-SCIENTIFIC COLLECTION

I

Tbilisi theological academy and
seminary publishing house

Tbilisi 2012

ბრატონილი

სამკლესიო-სამეცნიერო კრებული

I

თბილისის სასულიერო აკადემიისა და
სემინარიის გამომცემლობა

თბილისი 2012

წინამდებარე კრებული, რომლითაც იწყება თბილისის სასულიერო აკადემიის საეკლესიო-სამეცნიერო შრომების პერიოდული გამოცემა, აერთიანებს სამ უმნიშვნელოვანეს საეკლესიო ძეგლს. ამათგან ორი – „თავნი სომეხთა წვალეებისანი ოცდაათნი“ და „სახჭ ალთქუმისაჲ“ – ხელმეორედ ქვეყნდება, ხოლო მესამე, კასიანე რომაელის „თხრობაჲ წესსა და განგებასა ეგვპტისა და აღმოსავლეთისა მონასტერთა საკრებულოთასა“, იბეჭდება პირველად. უკვე გამოქვეყნებული ტექსტების კვლავ გამოცემა განაპირობა სურვილმა, რაც შეიძლება უკეთ იქნეს შესწავლილი ხსენებული ძეგლები საღვთისმეტყველო კუთხით და, შეძლებისდაგვარად, შესწორდეს წინარე გამოცემათა ყველა ტექსტობრივი ხარვეზი.

რედაქტორი:

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
ედიშერ ჭელიძე

editor:

Edisher Chelidze
Doctor of Philological Sciences

რეცენზენტი:

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
ნინო მელიქიშვილი

Reviewer:

Nino Melikishvili
Doctor of Philological Sciences

ყდაზე გამოყენებულია ფრაგმენტი „შატბერდის კრებულიდან“ (X ს.)

© თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამომცემლობა

ISSN 2233-3975

სარჩევი

• თავნი სომეხთა წვალეებისანი ოცდაათნი.....	7
(ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვა და საკითხის მოკლე მიმოხილვა დაურთო მღვდელმა ვლადიმერ ვახტანგაძემ)	
წინასიტყვა	9
მონოფიზიტობის ისტორიიდან	19
მონოფიზიტთა საბოლოო მარცხი	27
„თავნი სომეხთა წვალეებისანი ოცდაათნი“.....	33
გამოყენებული ლიტერატურა.....	47
• წმინდა კასიანე რომაელი „თხრობაჲ წესსა და განგებასა ეგვპტისა და აღმოსავლეთისა მონასტერთა საკრებულოთასა“	49
(ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვა და გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო მღვდელმა ირაკლი ახალაძემ)	
წინასიტყვა	51
ბერმონაზენობისა და მონასტრული ცხოვრების მოკლე ისტორია	53
წმინდა კასიანე რომაელის შესახებ.....	64
თხზულების დაწერის მიზეზი და დრო.....	68
ტექსტის შემცველი ქართული ხელნაწერებისა და მთარგმნელის შესახებ.....	70
თხზულების საღვთისმეტყველო რაობა.....	74

თავნი სომეხთა წვალებისანი ოცდაათნი

1. მონასტრული ლოცვის შესახებ.....	75
2. მონასტერში მიღების წესი	76
3. მონაზონთა განსწავლა და ცხოვრების წესი	77
4. ტრაპეზის წესი	79
5. სათნოებათა მაგალითები.....	80
6. მღვდელ პინუფიოსის დარიგება მონასტერში ახალმიღებული წევრისადმი	83
ტექსტისათვის.....	88
„წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა კასიანე პრომისაჲ, თხრობაჲ წესსა და განგებასა ეგვიპტისა და აღმოსავლეთისა მონასტერთა საკრებულოთასა“	89
ლექსიკონი.....	120
საკუთარ სახელთა საძიებელი.....	153
გამოყენებული ლიტერატურა.....	154

- წმინდა იპოლიტე რომაელი „სახს ალთქუმისაჲ“157
(ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო თბილისის სასულიერო აკადემიის მეხუთე კურსის სტუდენტმა გიორგი ქიტესაშვილმა)
- წინასიტყვა
- 159
- თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა
იპოლიტესი მთავარებისკოპოსისაჲ „სახს ალთქუმისაჲ“
- 162
- ლექსიკონი.....
- 224
- საკუთარ სახელთა საძიებელი.....
- 250



წინასიტყვა

1971 წელს კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ისტიტუტის (ამჟამინდელი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის) პერიოდული გამოცემის, „მრავალთავის“ პირველ ტომში დაიბეჭდა პროფესორ ზაზა ალექსიძის წერილი სათაურით: „არსენი ვაჩეს ძის დოგმატიკონში შესული ანტიმონოფიზიტური ტრაქტატი და მისი გამოძახილი ძველ სომხურ მწერლობაში.“ ვრცელ გამოკვლევას დაერთო არსენ იყალთოელის „დოგმატიკონში“ შესული თხზულება „თავნი სომეხთა წვალეებისანი ოცდაათნი“ და, მის პარალელურად, ამავე თხზულების სომხური, მცირედ სახეცვლილი, ვარიანტი სათაურით - „სიტყვისგება სომეხთა მიმართ.“ ეს გახლავთ ქართული თხზულების პირველი გამოცემა. ტექსტი მეცნიერულად დაამუშავა და შესაბამისი კომენტარები დაურთო, როგორც უკვე ვთქვით, ბატონმა ზაზა ალექსიძემ.

„თავნი სომეხთა წვალეებისანი ოცდაათნი“ ჩვენამდე რვა ხელნაწერით არის მოღწეული. ამათგან შვიდი დაცულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საცავებში, ხოლო ერთი - ქუთაისის მუზეუმში (K-24). ტექსტის დასადგენად ბატონ ზაზას გამოყენებულ აქვს ყველა ხელნაწერი, გარდა ქუთაისურისა.

გავეცანით რა აღნიშნულ ნაშრომს, ჩვენში დიდი ინტერესი გამოიწვია მისმა შინაარსმა, ისტორიულმა და საღვთისმეტყველო ღირებულებამ. ტექსტისა და საინტერესო გამოკვლევის გაცნობის შემდეგ შევნიშნეთ გარკვეული ხარვეზები, რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ. თავად ის ფაქტი, რომ ტექსტის დადგენისას არ არის გათვალისწინებული ქუთაისის მუზეუმში დაცული ვარიანტი, შესაძლებლობას იძლევა, თხზულება ხელახლა გამოიცეს, თუნდაც რომ უნაკლოდ იყოს შესრულებული პირველი გამოცემა. გვინდა მადლიერება გამოვხატოთ პროფესორ ზაზა ალექსიძისადმი, რომელიც დიდად დაშვრა

რეცენზენტები:

ფილოლოგიის მეცნიერებათა აკადემიური
დოქტორი დეკანოზი **ბიძინა გუნია**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
ელგუჯა სინთიბიძე

აღნიშნული ტექსტის შესწავლისა და გამოცემის მხრივ.

გავეცანით ყველა ხელნაწერს, მათ შორის ქუთაისურსაც, რომელსაც B ლიტერით აღნიშნავთ ჩვენს გამოცემაში, ხოლო A ლიტერით აღნიშნული გვაქვს ხელნაწერი S-1463, რომელიც ყველაზე სრული და ძველი ნუსხაა (XII-XIII სს.) C ლიტერით გვაქვს აღნიშნული A-205. ეს ხელნაწერი XIII ს-ით თარიღდება. მართალია, ქუთაისური ნუსხა XIV ს-ით არის დათარიღებული, მაგრამ ის B ლიტერით აღნიშნეთ, გამომდინარე იქიდან, რომ არ იყო გათვალისწინებული პირველი გამოცემისას. D ლიტერი განუკუთვნეთ ხელნაწერ A-64-ს (1751წ), E ლიტერი მივანიჭეთ H-601-ს (1746 წ), F - Q-51-ს, დათარიღებულს 1777 წლით, G ლიტერი S-401-ს, ხოლო H ლიტერი კი - H-985-ს, რომელიც დაახლოებით XVII ს-ით თარიღდება. ამათგან ყველა ნუსხა, გარდა H-985-ისა, შესრულებულია ნუსხურით. მხოლოდ ეს უკანასკელი არის მხედრული ანბანით დაწერილი. ხელახლა გადმოვწერეთ ხელნაწერიდან ძირითად ტექსტად მიჩნეული S-1463 და შევუდარეთ ყველა არსებულ ნუსხას.

ჩამოთვლილი ხელნაწერების ჩვენებები, რომელნიც სხვაობენ ძირითადი ტექსტისგან, სქოლიოში გვაქვს მითითებული, გარდა რამდენიმე შემთხვევისა. პირველი მათგანი ეხება რიცხვით სახელს. როგორც S-1463, ისე ყველა სხვა ნუსხა, გარდა H-985-ისა, გვთავაზობს წაკითხვას: „**რამეთუ დღესასწაულთბენ თორმეტსა იანვარისასა**“ (14.1), ხოლო H-985 გვიჩვენებს რიცხვითი სახელის უფრო ძველ ფორმას „**ათორმეტსა**.“ ეს წაკითხვა შევიტანეთ ძირითად ტექსტში, რადგან, სხვა შემთხვევაში ხელნაწერ S-1463-ში იგივე რიცხვითი სახელი სწორედ ძველი ფორმით არის წარმოდგენილი: „**ოდეს იგი ათცხრამეტთა ბევრთა და კვალად ათორმეტთა ბევრეულთავე...**“ ვფიქრობთ, რომ „**თორმეტსა**“ უნდა იყოს გადამწერის მექანიკური შეცდომა, წინააღმდეგ შემთხვევაში არც ქვემოთ გამოიყენებდა, მით უფრო ორგზის, რიცხვითი

სახელის ძველ ფორმას.

მეორე შემთხვევა ეხება სიტყვის თანდებულის ფორმას. ძირითად ტექსტში გვაქვს შემდეგი: „**ქადაგეს მარხვაჲ არა განწმედისათჳს, არამედ მართლმადიდებელისა სარწმუნოებისათვის გამოხეთქვისათვის.**“ სიტყვის „სარწმუნოებისათვის“ ნაცვლად, BEF და H ლიტერებით ნაჩვენები ნუსხები გვაძლევენ ფორმას - „სარწმუნოებისაგან“, რაც უფრო მართებულად მივიჩნიეთ და ძირითად ტექსტში შევიტანეთ.

მესამე შემთხვევა გახლავთ შემდეგი: ოცდამეექვსე მუხლში, ხელნაწერ S-1463-ში ვკითხულობთ: „**წინამძღუარნი მონასტერთანი, არა ხოლო რამეთუ თავდაბურილნი წირვენ.**“ A-64-სა და H-601-ში „ხოლოს“ შემდეგ არ ჩანს კავშირი „რამეთუ“. „რამეთუ“ ამ ადგილას არამართებულად გვეჩვენება და ძირითადი ტექსტიდან სქოლიოში ჩავიტანეთ. ამათ გარდა კიდევ რამდენიმე ადგილას ხელნაწერ S-1463-ის, რომელიც მთავარ ტექსტად გვაქვს მიჩნეული, ზოგიერთი სიტყვის წაკითხვა სქოლიოში მივუთითეთ, ხოლო უფრო მართებული ფორმები, რომელნიც იკითხება სხვა ხელნაწერებში, მთავარ ტექსტს განუკუთვნეთ, სხვა ყველა განსხვავება კი უცვლელად დავტოვეთ და შესაბამისი რიცხვითი მინიშნებით სქოლიოში ვაჩვენეთ. სიტყვები, რომლებსაც ბოლოში ა ემატება, ანდა შუაში ც, ჯ, ვ, აღნიშნული არ გვაქვს, რადგან ასეთი სხვაობები არც შინაარსობრივ და არც რაიმე გრამატიკულ სხვაობას არ სძენს ამა თუ იმ სიტყვას. დავეთანხმებით ბატონ ზაზას, რომ ხელნაწერთა დაჯგუფება ვერ ხერხდება, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში გარკვეული მსგავსების დანახვა შესაძლებელია, მაგრამ არა იმდენად, რომ მათი რაიმე ნიშნით დაჯგუფება იყოს შესაძლებელი. მოვუსმინოთ კვლავ პატივცემულ პროფესორს: „**განსაკუთრებით საგულისხმოა B ნუსხის ისეთი წაკითხვები, სადაც იგი აშკარად ბერძნულს ამჟღავნებს. A-სგან განსხვავებით, მას შენარჩუნებული აქვს ბერძნული ტრანსკრიფცია ისეთ სიტყვებში, როგორცაა:**

„ეკლესია“, „კაპადუკია“, რაც კვლავ დედანთან მის სიახლოვეზე უნდა მიუთითებდეს.“ მართალია, აღნიშნული ფორმები B (ჩვენთან C) ნუსხაში ფიქსირდება, მაგრამ იგივე ფორმები გვხვდება CEF (ჩვენთან DEH) და რიგ შემთხვევაში სხვა ლიტერებით აღნიშნულ ხელნაწერებშიც. მეცნიერის დაკვირვებით, B ლიტერით აღნიშნული ნუსხა განსაკუთრებულად გამოკვეთილად იყენებს ამა თუ იმ სიტყვის (უფრო მეტად საკუთარი სახელების) ბერძნულ ფორმებს, რაც მკვლევარს აფიქრებინებს, რომ თხზულება ბერძნული წარმომავლობის უნდა იყოს. შესაძლებელია, თხზულება მართლაც ბერძნული ენიდან არის ნათარგმნი, მაგრამ B ანუ A-205 ხელნაწერში რაიმე სიჭარბე ბერძნული ფორმებისა, განსხვავებით სხვა ხელნაწერებისაგან, არ დასტურება. ყველგან, სადაც A-205 იყენებს სიტყვის ბერძნულ ფორმას, იგივეს ვხვდებით რომელიმე სხვა ხელნაწერშიც (უფრო მეტად A-64-სა და H-601-ში). ბატონი ზაზა განაგრძობს: **“მისი გადამწერი (ანუ A-205 ხელნაწერისა) ერთგან ცდილა კიდევ “ტირიდატი” მისთვის ცნობილი „თრდატ“-ით შეეცვალა, მაგრამ შემდეგ ასეთი ოპერაციისათვის თავი დაუნებებია.“** ტექსტის ის მონაკვეთი, სადაც A-205-ის გადამწერი საკუთარ სახელს “ტირიდატი” წერს ფორმით „თრდატი“, პარალელს პოულობს A-64 და H-601 ხელნაწერებთან. თუკი მკვლევარი პირველს აღნიშნავს, მართებული იქნებოდა მეორის აღნიშვნაც ანუ იმისა, რომ არა მხოლოდ ერთი რომელიმე ხელნაწერი იძლევა ამ ფორმას, არამედ მის გვერდით - სხვა ორიც. **„A ხელნაწერის მცდარი „კრეტორის“ მაგიერ B (A-205) წერს სწორ „პრეტორ“-ს, რაც კვლავ მის დედანთან სიახლოვეზე უნდა მიუთითებდეს,“** - ვკითხულობთ ბატონი ზაზა ალექსიძის გამოკვლევაში. A ხელნაწერი სწორედ მართებულ ფორმას იყენებს, ანუ წერს „პრეტორს“, ხოლო სიტყვა „კრეტორი“ არ გვხვდება არც ერთ ნუსხაში, გამოქვეყნებულ ტექსტში კი მოცემულია სრულიად სხვა შინაარსის, ძველი ქართული ენის ლექსიკისათვის

შეუსაბამო სიტყვა - „პრეპარატი“. ვფიქრობთ, რომ ეს არის მექანიკური, უფრო მეტად კი კორექტურული, შეცდომა.

ყურადღებას მივაქცევთ აგრეთვე, მკვლევრის შემდეგ სიტყვებს: **„ერთ გარემოებას უნდა თავიდანვე გაეხვას ხაზი: ტრაქტატის მუხლების უდიდესი ნაწილი წესების აღსრულებისადმია მიძღვნილი და დოგმატიკას სულ ერთი მუხლი აქვს დათმობილი.“** რომელია ეს „ერთი მუხლი“, აღნიშნული არ არის. ჩვენი მხრივ კი დავსძენთ, რომ მთელი ეს თხზულება დოგმატურ-ლიტურგიკული ხასიათისაა. ეს ნიშნავს: თხზულების უკლებლივ ყველა მუხლი დოგმატურია, რადგან ეთმობა მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ მონოფიზიტური ბოროტმადიდებლობის წარმოჩენასა და მხილებას.

ვითყვით იმასაც, რომ “თავნი სომეხთა სწავლებისანი ოცდაათნი“ არის ნაწილი თხზულებათა კრებულისა, რომელსაც “დოგმატიკონი“ ეწოდება. ეს სიტყვა თავად ცხადყოფს და ასაჩინოებს კრებულში შემაჯალი თხზულებების შინაარსს, რომლებიც მიმართულია მართლმადიდებელი ეკლესიის უჭეშმარიტესი მოძღვრების, ანუ მისი დოგმატური სწავლების გამოსახატავად.

კიდევ ერთ გარემოებას აღვნიშნავთ ხაზგასმით, რამაც გვიბიძგა უკვე გამოცემული ტექსტის ხელახალი გამოცემისკენ. ხშირ შემთხვევაში ტექსტში გამოტოვებულია სიტყვები, შეცდომით არის ამა თუ იმ სიტყვის ფორმა, აკლია რიგი ფრაზები. მაგალითისათვის წარმოვაჩინოთ რამდენიმე: პირველივე მუხლში სიტყვა „კონსტანტინოპოლეს“, რასაც გვთავაზობს მთავარი ტექსტი, შეცვლილია სიტყვით „კონსტანტინოპოლეს.“ სხვა შემთხვევებში კი იგივე სიტყვა მოცემულია სწორედ ისე, როგორც ამას მთავარი ტექსტი, ხელნაწერი S-1463, გვთავაზობს. მეორე მუხლში სიტყვის „დაწყევლნი“ ნაცვლად წერია „დაწყევლილნი“, ხოლო სწორი ფორმა სქოლიოშია ჩატანილი, მაშინ როდესაც სიტყვა „დაწყევლილნი“ არც ერთ ხელნაწერში არ გვხვდება. იმავე მუხლში გამოტო-

ვებულის სიტყვა “ნესტორისა“ და ფრაზა (რომლის თავშიც ეს სიტყვა უნდა იყოს) კარგავს აზრს: „...**მრწმუნებლობა ემხილებს სამებისა წილ ოთხებისა აღმსარებელთა.**“ მეექვსე მუხლში, სიტყვაში „შეჯულთა“ ასო „შ“-კვადრატული ფრჩხილით არის გამოყოფილი. ხელნაწერში იგი თითქმის არ იკითხება. ჩანს მხოლოდ მისი ქვედა ნაწილი ძალზედ მკრთალად. ჩვენ მიერ აღდგენილი ასო გამოვყავით კვადრატული ფრჩხილით. 33-ე სქოლიოში (სქოლიოს ნუმერაციაცა და ლიტერებიც მითითებული გვაქვს პირველი გამოცემის მიხედვით) ჩატანილია თითქოს ტექსტისეული (ანუ S-1463) წაკითხვა: „**ბუნებასა**“ და ძირითად ტექსტში მკვლევარს შეტანილი აქვს „**გალობასა.**“ სინამდვილეში, „გალობასა“ არის უკლებლივ ყველა ხელნაწერში, მათ შორის S-1463-ში.

თხზულების XVI მუხლში პირველი გამოცემის ავტორს გამოტოვებული აქვს ფრაზა: „... **ბევრთა და კვალად ათორმეტთა ბევრეულთავე,**“ რაც უკარგავს აზრს ტექსტის შინაარსს. მოგვაქვს ციტატა ხელნაწერული მონაცემის კვალბაზე: “არამედ დიდისა სომხეთის პირველმან ეპისკოპოსმანცა გრიგოლი, ოდეს იგი **ათცხრამეტთა და კუალად ათორმეტთა ბევრეულთავე** მდინარესა შინა ევფრატსა ნათელ-სცა, ესოდენი ზეთი წამოაცალიერა მათ ზედა, ვიდრემდის კინლა ყოვლისა მის მდინარისა აღვსებადმდე და სრულებით გარეშეცვად მათდა“.

მოგვაქვს ციტატა პირველი გამოცემიდან:

„არამედ დიდისა სომხეთის პირველმან ეპისკოპოსმანცა გრიგოლი, ოდეს იგი ათცხრამეტთა..... ბევრეულთავე მდინარესა შინა ევფრატსა ნათელ-სცა...“

მსგავსმა ხარვეზმა იჩინა თავი თხზულების XXVIII თავში: იქაც ფრაზაა გამოტოვებული, ხოლო სიტყვა „**გარდაივდიდენ**“ განსხვავებული ფორმით არის ნაჩვენები. ხელნაწერში ვკითხულობთ: „რაჟამს **გარდაივდიდენ** პასექსა აღვსებისასა წელიწდეულითა კრავითა და სცხებენ **სისხლსა მისსა** წყირთლთა და დასაცველად სიწმიდისა თავთა თუსთამსა.“ ხოლო გამოცემულ

ტექსტში წერია შემდეგი: „რაჟამს **გარდაივდიდენ** პასექსა აღვსებისასა წელიწდეულითა კრავითა სცხებენ წყირთლთა და დასაცველად სიწმიდისა თავთა თუსთამსა...“

ასევე, სიტყვის „სცხებენ“ განსხვავებული ფორმა „**სცხებდენ**“, რომელსაც ხელნაწერები A-205 და H-985 გვთავაზობენ, ბატონ ზაზას არა აქვს აღნიშნული სქოლიოში.

სურათის მეტი სიცხადისათვის ვნახოთ სხვა განსხვავებებიც:

არის	უნდა იყოს
1) IV მუხლში „სამოციქულო“	1) IV მუხლში: „სამოციქულოთა“
2) IV მუხლში „...უქცეველად გებული ჩუენსა ამას წმიდასა დედაქალაქსა“	2) IV მუხლში „...უქცეველად გებული ჩუენსა ამას <u>შინა</u> წმიდასა დედაქალაქსა“
3) 38 სქ: წესთა (სწორი ფორმა - „წესთ“ FQ-თი არის სქოლიოში)	3) 38 სქ: წესთ
4) 42 სქ: კაბადუკიისასა მხოლოდ (B ხელნაწ)	4) 42 სქ: კაბადუკიისასა (B,C,E ხელნაწერებში)
5) 43 სქ: ეკლესიისა მხოლოდ(B)	5) 43 სქ: ეკლესიისა (B,C)
6) 44 სქ: ტრდატს	6) 44 სქ. თრდატს
7) 44 სქ: მხოლოდ A – ში მოცემული ფორმა „მღღელობა“	7) 44 სქ: სიტყვის „მღღელობა“ განსხვავებული ფორმა CEF-ში „მღღელობა“ უნდა იყოს აღნიშნული
8) 46 სქ: არის მინუსით სიტყვა „ჩემისა“ და მითითებულია A და C.	8) 46 სქ: საერთოდ არ უნდა იყოს ანიშნული ეს სიტყვა, რადგან ყველა ხელნაწერში ფიქსირდება
9) 47 სქ-ში არ არის აღნიშნული C-ს სხვაობა (არის მხოლოდ B,E)	9) 47 სქ. უნდა იყოს აღნიშნული ჩ-ს მონაცემებიც (B,C,E)
10) 53 სქ. აროდეს	10) 53 სქ. არა ოდეს
11) V მუხლი: საშიშულისა (სწორი ფორმა არის სქოლიოში)	11) V მუხლი: სიშიშულისა
12) VI მუხლი: ჰურიითამსა	12) VI მუხლი: ჰურიითამსა

- | | |
|---------------------------------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------------------------------|
| 13) 60 სქ: D ხელნაწერი აღნიშნულია ზედმეტად | 13) 60 სქ: D ხელნაწერი. აღნიშვნის გარეშე |
| 14) 61 სქ. E ხელნაწერი. აღნიშნულია ზედმეტად | 14) 61 სქ. E ხელნაწერი. აღნიშვნის გარეშე |
| 15) 63 სქ. DF „უკუეთუ“ | 15) 63 სქ. DF „უკუეთუ“ |
| 16) 63 სქ. G გამოტოვებულია | 16) 63 სქ. G „უკუეთუ“ |
| 17) VI მუხლი: „აქონდა“ | 17) VI მუხლი: „აქუნდა“ |
| 18) 67 სქ. აკლია G | 18) 67 სქ. G E F |
| 19) 69 სქ. სიტყვა „განზავებენ“ აღნიშნულია D G ხელნაწერებით. D ზედმეტია, აკლია F | 19) 69 სქ. სიტყვა „განზავებენ“ უნდა იყოს FG ხელნაწერებით. |
| 20) 69 სქ. სიტყვა „განპზავებენ“ არის მხოლოდ B ხელნაწერით | 20) 69 სქ. სიტყვა „განპზავებენ“ უნდა იყოს BCED ხელნაწერებით. |
| 21) 70 სქ. მხოლოდ FG. აკლია D | 21) 70 სქ. უნდა იყოს DFG. |
| 22) VIII მუხლი: ფრაზა „მათ მიერ“ არ არის აღნიშნული მინუსით | 22) VIII მუხლი: ფრაზა „მათ მიერ“ უნდა იყოს აღნიშნული მინუსით GDF-ის მითითებით |
| 23) IX მუხლი: „წელიწადისა“ | 23) IX მუხლი: „წელიწადისა“ |
| 24) IX მუხლი: „იქნებიან“ | 24) IX მუხლი: „იქნებიან“ |
| 25) IX მუხლი: GDF-ში გამოტოვებული სიტყვა „სრულ“ და მინუსით არ არის აღნიშნული სქოლიოში | 25) IX მუხლი: სიტყვა „სრულ“ GDF-ში არ იკითხება და უნდა იყოს აღნიშნული მინუსით. |
| 26) 78 სქ: იანვრისასა | 26) 78 სქ: იანვრისა |
| 27) 80 სქ: E -ხელნაწერში | 27) 80 სქ: D -ხელნაწერში |
| 28) 81 სქ: არის მხოლოდ C ხელნაწერი. | 28) 81 სქ: უნდა იყოს CG ხელნაწერები |
| 29) 87 სქ: არის მხოლოდ C ხელნაწერი. | 29) 87 სქ: CE ხელნაწერები |
| 30) 88 სქ: არის მხოლოდ B ხელნაწერი. | 30) 88 სქ: BC ხელნაწერები |
| 31) XVI მუხლი: განერინენ | 31) XVI მუხლი: განერნენ |
| 32) 90 სქ: აკლია C- | 32) 90 სქ: CDFG . |

- | | |
|-------------------------------------------------|----------------------------------------------------|
| 33) 92 სქ: აკლია C- | 33) 92 სქ: CDFC |
| 34) 94 სქ: არის მხოლოდ B | 34) 94 სქ: B,G,D,F |
| 35) 95 სქ: არის მხოლოდ B | 35) 95 სქ: B,G,D,F |
| 36) 97 სქ: არის მხოლოდ B | 36) 97 სქ: BDF |
| 37) 100 სქ: ზედმეტია AD- | 37) 100 სქ: CE |
| 38) 106 სქ: მხოლოდ B | 38) 106 სქ: BCGF |
| 39) 107 სქ: არის მხოლოდ DFG | 39) 107 სქ: DFGC |
| 40) 108 სქ: არის მხოლოდ G . | 40) 108 სქ: DGF . |
| 41) 110 სქ: G | 41) 110 სქ: GF |
| 42) 112 სქ: G | 42) 112 სქ: D,G . |
| 43) 117 სქ: G | 43) 117 სქ: D,G |
| 44) XXIV მუხლი: ანგარებისაჲ* | 44) XXIV მუხლი: ანგაპრებისაჲ* |
| 45) 125 სქ: C ლიტ-ით აღნიშნული ხელნაწერი. | 45) 125 სქ: A,B,C,E ლიტ-ბით აღნიშნული ხელნაწერები. |
| 46) 132 სქ: D,G ლიტ-ბით აღნიშნული ხელნაწერები. | 46) 132 სქ: D,G,E ლიტ-ბით აღნიშნული ხელნაწერები. |
| 47) 136 სქ: C,D ლიტ-ბით აღნიშნული ხელნაწერები. | 47) 136 სქ: C,D,G ლიტ-ბით აღნიშნული ხელნაწერები.. |
| 48) 137 სქ: D, G ლიტ-ბით აღნიშნული ხელნაწერები. | 48) 137 სქ: D,G,F ლიტ-ბით აღნიშნული ხელნაწერები.. |
| 49) 138 სქ: D ლიტ-ით აღნიშნული ხელნაწერი. | 49) 138 სქ: D,G ლიტ-ბით აღნიშნული ხელნაწერები. |
| 50) 139 სქ: D, G ლიტ-ბით აღნიშნული ხელნაწერები. | 50) 139 სქ: D,G,F ლიტ-ბით აღნიშნული ხელნაწერები. |
| 51) 140 სქ: ტანისამოსითა | 51) 140 სქ: ტანის სამოსითა |
| 52) 140 სქ: F ხელნაწერი. | 52) 140 სქ: C,F ხელნაწერები. |
| 53) XXVIII მუხლი: გარდაისხიდნენ | 53) XXVIII მუხლი: გარდაისხიდენ |
| 54) 145 სქ: D,E,G ხელნაწერები. | 54) 145 სქ: D,G ხელნაწერები. |
| 55) 146 სქ D - „დასათხველად“ | 55) 146 სქ D - „დასათხველად“ |
| 56) 147 სქ: B,C | 56) 147 სქ: B,C,E,F |

57) 149 სქ: B,F.

57) 149 სქ: B,F,C,E

58) 150 სქ: G

58) 150 სქ: F

59) 151 სქ: D,E,G

59) 151 სქ: C,D,E,E,G

*სიტყვა „ანგაპრებისაჲ“ შემოსხენებულ გამოცემაში სქოლიოშია ჩატანილი B-სა და D-ს მითითებით. მართალია, B (ჩვენთან C) სიტყვის ამავე ფორმას გვთავაზობს, მაგრამ ასეთივე ფორმით არის A-ში და გაუგებარია (მით უფრო მითითების გარეშე) მთავარი ტექსტისეული ფორმის სქოლიოში ჩატანა მაშინ, როდესაც ამის არანაირი აუცილებლობა არ არსებობს. ასევე არ არის ნაჩვენები ამავე სიტყვის რამდენადმე სახეცვლილი ვარიანტი, რომელთაც სხვა ხელნაწერები გვთავაზობენ, კერძოდ: Q-51 (ანგაპრებისაჲ), S-401 (ანგაპარებისაჲ) და H-985 (ანგაპრებისა).

ყოველივე შემოაღნიშნული, ვფიქრობთ, საკმაო საფუძველს გვაძლევს აღნიშნული ტექსტის ხელახალი პუბლიკაციისთვის.

მონოფიზიტობის ისტორიიდან

448 წლის 8 ნოემბერს ბიზანტიის დედაქალაქ კონსტანტინეპოლში გაიმართა ადგილობრივი საეკლესიო კრება, რომელსაც წმინდა ფლავიანე კონსტანტინეპოლელი უძღვებოდა. კრებაზე ეპისკოპოსმა ევსები დორილეელმა დედაქალაქის ერთ-ერთი მონასტრის არქიმანდრიტის, ევტიქის მართლმადიდებლობის საკითხი წამოჭრა. ევტიქი მესამე მსოფლიო საეკლესიო კრების დროს კირილე ალექსანდრიელის მომხრეთა რიგებში იყო და აქტიურად მოქმედებდა ნესტორიანული ერესის წინააღმდეგ. თავისი საღვთისმეტყველო შეხედულებებით იგი ტიპიური წარმომადგენელი იყო ალექსანდრიული სკოლის, თუმცა ის, ისევე როგორც უკიდურესი ალექსანდრიელები, პატივის ღირსად კირილეს საქმიანობის მხოლოდ ნაწილს მიიჩნევდა. ამბობდა, რომ თითქოს კირილეს თხზულებებში იესო ქრისტეს ორი ბუნების შესახებ საუბარი არსად იყო. ევტიქი უარყოფდა, რომ ქრისტეს ჩვენნაირი ადამიანური ბუნება ჰქონდა, ანუ მიუთითებდა იმას, რომ მაცხოვრის კაცური ბუნება იყო ისეთივე, როგორც, მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლებით, გახდა ალღომის შემდეგ. მისი სწავლება იყო შემდეგნაირი: „ღმერთის სიტყვის განხორციელების შემდეგ მე თავყვანს ვცემ ერთ ბუნებას. ვაღიარებ, რომ უფალი ჩვენი შეერთებამდე ორი ბუნებისაგან შედგება, შეერთების შემდეგ კი ერთ ბუნებას ვაღიარებ.“ ეს ფრაზები ერეტიკოსის მიერ არის შედგენილი. მიუხედავად იმისა, რომ ევტიქი კირილე და ათანასე ალექსანდრიელების ავტორიტეტს იმოწმებდა, უნდა ითქვას, რომ მას ციტატები მოჰქონდა კონტექსტიდან ამოღებულად, რითაც მწვალებლობის მესაძირკვლედ გამოდიოდა.

კრებაზე მოხმობილი იქნა ევტიქი. თავდაპირველად იგი გამოცხადებაზე უარს ამბობდა, რადგანაც აღთქმა ჰქონდა დადებული, რომ მონასტერს არ დატოვებდა მთელი სიცოცხლის მანძილზე. შემდეგ ავადმყოფობა მოიმიზეზა. ბოლო ვადა

22 ნოემბრამდე მისცეს. ამ პერიოდში ევტიქიმ ბერმონაზონთა შორის არეულობის შეტანა დაიწყო. მისი მონასტრის ძმები ავრცელებდნენ ხმებს ფლაბიანეს საზიანოდ, რომ თითქოს ევტიქის წინააღმდეგ გალაშქრება სამომავლოდ მთელი ბერმონაზონების საწინააღმდეგოდ იქნებოდა მიმართული.

12 ნოემბერის სხდომაზე მამებმა გადაწყვიტეს გამოეთქვათ ღმერთკაცთან დაკავშირებული მართლმადიდებლური სწავლება, კერძოდ, ისინი ამბობდნენ: „ქრისტეში შეერთებული ორი ბუნების ერთობა მდგომარეობს არა იმაში, თითქოს ეს ბუნებანი თავიანთი თვისებებით ერთმანეთს შეერწყა, არამედ იმაში, რომ ბუნებათა თვისებები ურთიერთზიარებით სრულყოფილად შენარჩუნებული. ჩვენ ყოველთვის ვამბობთ და ახლაც ვიმეორებთ, რომ იესო ქრისტე არის სრული ღმერთი და სრული კაცი, ერთარსი მამისა ღმრთებრიობით და ერთარსი დედისა ადამიანური ბუნებით, ერთი ჰიპოსტასი ორი ბუნების მქონე.“

22 ნოემბერს ევტიქი კრებაზე გამოცხადდა. მას ყველანაირად იცავდა საერო ხელისუფლება, იცავდა პოლიცია, სამხედროები და, რაღა თქმა უნდა, მისი საძმოს წევრი მონაზვნები. ხელისუფლებამ იგი კრებაზე მანამ არ მოიყვანა, სანამ მათგან არ მიიღო პირობა, რომ როგორი შედეგითაც არ უნდა დასრულებულიყო კრება, მას არანაირი საფრთხე არ დაემუქრებოდა. ერესიარქს მფარველობას უწევდა იმ დროს საიმპერატორო კარზე ყველაზე გავლენიანი პირი, საჭურისი ქრისანთი, რომელსაც თვით იმპერატორ თეოდოსი II-ზეც შეეძლო გავლენის მოხდენა. სხდომა 12 ნოემბრის ოქმების წაკითხვით გაიხსნა. ფლაბიანემ ევტიქის ჰკითხა, აღიარებდა თუ არა ქრისტეში ორი ბუნების შეერთებას, პასუხად კი მიიღო: „ღიას, ვაღიარებ ორი ბუნებისაგან.“ ამის გამგონე მღვდელმთავარმა კითხვა მონოფიზიტობის მესაძირკვლეს უფრო მოხერხებულად დაუსვა: „აღიარებ თუ არა ორ შეერთებულ ბუნებას, ქრისტეს ხორციით ჩვენს ერთარსს უწოდებ თუ არა?“ ევტიქიმ

კი გაუგებარი პასუხი გასცა. აღიარა ყოვლადწმინდა სამება და მაცხოვრის განკაცება კაცთა ხსნისთვის და თქვა, რომ მეტი აღარაფერი ეკითხათ, მაგრამ ამ პასუხმა ცხადია არავინ დააკმაყოფილა, რის გამოც კვლავ გაგრძელდა შეკითხვები არქიმანდრიტთან. ფლაბიანემ კვლავ ჰკითხა, აღიარებდა თუ არა, რომ იესო ქრისტე არის მამის ერთარსი საღმრთო ბუნებით, ხოლო ჩვენი ერთარსი კაცობრივი ბუნებით. პასუხი ასეთი იყო: „რამდენადაც მას ჩემს ღმერთად, ზეცისა და ქვეყნის უფლად ვაღიარებ, ამიტომაც დღევანდელ დღემდე მისთვის ჩვენი ერთარსი არ მიწოდებია.“ კონსტანტინეპოლელმა მღვდელმთავარმა კვლავ ჰკითხა: „შენ არ ამბობ, რომ ის მამის ერთარსია თავისი ღვთაებრიობით და ჩვენი ერთარსია თავისი კაცებით?“ ევტიქი: „ვაღიარებ რომ ყოვლადწმინდა ქალწული ჩვენი არსისაა და სწორედ მისგან განხორციელდა ჩვენი ღმერთი.“

ამის შემდეგ შეკითხვა ბასილი სელევიკიელმა დასვა: „თუკი დედა ჩვენი ერთარსია, მაშინ მისი ძეც ჩვენი ერთარსია ხორციელად.“ ევტიქი: „იმდენად, რამდენადაც ამას თქვენ ამბობთ, მე ყველაფერს ვეთანხმები.“ ამის შემდეგ შეკითხვა კვლავ დაუკონკრეტეს: „რამდენადაც დედაა ჩვენი ერთარსი, მაშინ, რა თქმა უნდა, ძეც ჩვენი ერთარსი ყოფილა.“ ამ ფორმულის შემდეგ ევტიქმა ვრცლად ჩამოაყალიბა თავისი შეხედულება: „ასეთი აზრი მე დღემდე არასოდეს მითქვამს. მე ქრისტეს სხეულს ღვთის სხეულად ვაღიარებ, მინდა თქმა იმისა, რომ საღმრთო სხეულზე არასოდეს მითქვამს ადამიანის არის-მეთქი. მე ვაღიარებდი, რომ სხეული არის რაღაც ადამიანური და რომ ქრისტე ქალწულისაგან იშვა და განხორციელდა. მე მას ჩვენს ერთარსს იმ აზრით არ ვუწოდებ, თითქო უარყოფდე, რომ ის არის ძე ღვთისა.“

ევტიქი ყველანაირად ცდილობდა სოფისტური ხერხების გამოყენებით როგორმე თავისი ცდომილება მიეჩქმალა, მამათა გამონათქვამების ინტერპრეტაციით დაეფარა თავისი მწვალე-

ბლური შეხედულებები. ევტიქის მოხმობა კრებაზე მხოლოდ იმით არ იყო განპირობებული, რომ მას შემდეგ იესო ქრისტეში ორი ბუნება ელიარებინა, არამედ იმით, რომ მას ანათემა წარმოეთქვა იმ შეხედულებებზე, რომელშიც იყო მხილებული. რამდენადაც გამოთქმა „ერთარსი“ კირილე და ათანასე ალექსანდრიელების შრომებში იყო დაფიქსირებული, ევტიქისათვის ყოვლად მიუღებლად ჩანდა მისი ანათემირება. ვერ გარკვეულიყო იმაში, თუ ხსენებულ მამებს რა თემაზე მსჯელობისას გამოეყენებინათ ეს ტერმინი და გამოთქვა აზრი, რომ ეს ანათემა ხსენებულ მოძღვრებს შეეხებოდა, რის გამოც სასტიკი უარი თქვა ანათემაზე. ერთი შეხედვით, თითქოს ეკლესიის მაშინდელ მოძღვართა აღმსარებლობას ეთანხმებოდა, მაგრამ იქვე ამბობდა ეკლესიისთვის სრულიად მიუღებელს, რომ თითქოს წმინდა მამებთან ქრისტეში ორი ბუნების შესახებ საუბარიც არ ყოფილიყო და ამატებდა, რომ ასეთი რამ არც კირილესა და არც ათანასეს სწავლებაში არ იყო.

448 წლის კონსტანტინეპოლის საეკლესიო კრებამ ევტიქი დამნაშავედ ცნო და განკვეთა საეკლესიო მსახურებიდან. კრების ოქმები აღმოსავლეთის ეკლესიებში მიიღეს, როგორც სამაგალითო გადმოცემა ჭეშმარიტი აღმსარებლობისა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ევტიქის სასახლის კარზე დიდი მხარდაჭერა ჰქონდა. 449 წელს იმპერატორის ბრძანებით მოწვეულ იქნა საეკლესიო კრება, რომელიც „ავაზაკთა კრების“ სახელით არის ცნობილი. სასახლეში ეჭვი შეიტანეს ფლაბიანეს მართლმადიდებლობაში და მოსთხოვეს სწორედ კრების წინაშე ელიარებინა საკუთარი მრწამსი. იმ საბაბით, რომ თითქოსდა მოძღვარი ნესტორის მსგავსად ასწავლიდა, მოითხოვეს მისგან საკუთარი სარწმუნოებრივი შეხედულებების აღიარება. ფლაბიანე წერდა: „... და განკაცების შემდეგ ვაღიარებ ერთ ჰიპოსტასს, ერთ პირს – ქრისტეს, ერთ ძეს, ერთ უფალს, ვაღიარებ, რომ ღვთის სიტყვის ერთი ბუნებაა განკაცებული და განხორციელებული, რადგან ორივე ბუნებაში ერთი და

იგივე ჩვენი უფალი იესო ქრისტეა. იმათ კი, ვინც ასწავლიან ორი ძის, ორი პირის ან ორი ჰიპოსტასის შესახებ და არ აღიარებენ ერთ უფალ იესო ქრისტეს, ანათემაზე გადავცემთ. უწინარესად ანათემას ვუცხადებთ ნესტორს“.

კრება ეფესოში 1 აგვისტოს გაიხსნა. იმპერატორის ბრძანებით, თავჯდომარედ ალექსანდრიელი ეპისკოპოსი დიოსკორე იქნა დანიშნული. კრებაზე ჩამოვიდნენ პაპის ლეგატებიც, რომლებიც ფლაბიანე კონსტანტინეპოლელმა დიდი პატივისცემით ისტუმრა. ფლაბიანეს სტუმართმოყვარეობამ დიოსკორე იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ სტუმრები მწვალებლები იყვნენ (თუმცა თვითონ იყო პირწავარდნილი მონოფიზიტი ვ.ვ) აი მიზეზი, თუ რის გამო იწოდა ეს კრება „ავაზაკთა კრებად“: იმპერატორის წარმომადგენელი კომიტი ელპიდოსი კრების მამებს მძიმე სასჯელით ემუქრებოდა დიოფიზიტური გამონათქვამების გამო. თავად იმპერატორის ბრძანებით, ტაძარი, სადაც კრება მიმდინარეობდა, ჯარისკაცებით იყო გარშემორტყმული და წმინდა მამები ფიზიკური და მორალური ტერორის ქვეშ იმყოფებოდნენ. მათ მიერ ყოველი მართლმადიდებლური მოძღვრების ჩამოყალიბების ჟამს ხმამაღალი შეძახილებით ახშობდნენ მათ ხმას და გაიძახოდნენ: „ორად განკვეთთ ქრისტეს, ბუნების ორად განმკვეთნი.“ ამ პერიოდში ეპისკოპოსი ევსევი საპატრიარქოში ყავდათ და არ აძლევდნენ საშუალებას, კრებას დასწრებოდა და არგუმენტირებულად უარეყო ევტიქის მონოფიზიტური ბოროტმადიდებლობა. მართლმადიდებლობის მტრებმა მოახერხეს ისიც, რომ პაპის ლეგატებს არ მისცეს შესაძლებლობა, წაეკითხათ ლეონ დიდის წერილი, რომელსაც აუცილებლად მოჰყვებოდა ფლაბიანესადმი მიწერილი „ტომოსის“ წაკითხვაც, რომელშიც ცხადად იყო წარმოჩენილი ჭეშმარიტი სწავლება. მოაწევდა თუ არა ჟამი რომის ეკლესიის წარმომადგენელთა სიტყვის თქმისა, მაშინვე სხვა არამთავარი თემით ჩაანაცვლებდნენ განსახილველ საკითხს.

დიოსკორეს წინამძღოლობით ეფესოში გამართული კრება,

თამამად შეიძლება ითქვას, იყო შარჟი მესამე წმიდა კრებისა. ამ კრებაზე ნიკეის სიმბოლოს გარდა სხვა სიმბოლოს გაგონებაც კი არ სურდათ, რითაც კონსტანტინეპოლის II მსოფლიო კრების უარყოფილნიც გამოვიდნენ. დიოსკორე ამბობდა: „სარწმუნოების სფეროში უკვე საკმარისია გაკეთებული განმარტებები, რელიგიის სფეროში არანაირი გამოკვლევა საჭირო არ არის და ეს ყველაფერი რწმენას უქმნის საშიშროებას.“ დიოსკორეს აზრები, ისევე როგორც ევტიქისა, თითქოს ათანასე დიდის შეხედულებებს ეფუძნებოდა, რომელსაც არასწორად და არამართებულად განმარტავდნენ ეკლესიის მტრები. ცნობილია რომ ალექსანდრიელი მღვდელმთავარი თავის დროზე ნიკეის სიმბოლოს ხელშეუხებლობაზე საუბრობდა და იბრძოდა ამისთვის. ეს ის პერიოდი, როდესაც იგი სიცოცხლის ფასად იბრძვის არიანული ერესის წინააღმდეგ და მართლმართო ღალატებს ჭეშმარიტებას, რომელსაც ნიკეის I კრება ადგენს სულიწმინდის მადლით. ხსენებული მამის მაღალი მისწრაფებები აბსურდამდე დაიყვანეს მისმა უგუნურმა „მიმდევრებმა“ საკუთარი ინტერპრეტაციებით. მას შემდეგ დიდი დრო იყო გასული და ახლა ეკლესიის წინაშე სხვა მოთხოვნები იდგა. ათანასე ასწავლიდა, რომ ნიკეის მრწამსი ერთგულად დაეცვათ, ხოლო მონოფიზიტები ასკვნიდნენ, რომ საღვთისმეტყველო სწავლება მხოლოდ ნიკეის კრებით უნდა შემოფარგლულიყო.

მონოფიზიტთა სამხილებლად უნდა ითქვას ისიც, რომ ევტიქის მსგავსად არც დიოსკორე და, საერთოდ, კრების არც ერთი მონაწილე, რომელიც მათ შეხედულებას იზიარებდა, არ განმარტავდა, თუ რა საფუძველსა და რომელ სარწმუნოებრივ დოქტრინას ემყარებოდა მონოფიზიტური შეხედულებები. 449 წლის კრებაზე ევტიქის მიერ წარმოთქმულ სიტყვას: „ვაღიარებ, რომ უფალი ჩვენი შეერთებამდე ორი ბუნებისაგან შედგება, შეერთების შემდეგ კი ერთ ბუნებას ვაღიარებ,“ იზიარებდა დიოსკორეც: „ჩვენც ყველა ასე ვაღიარებთ.“ მან საკითხი ასეც დას-

ვა: „განა შესაძლებელია იმის გამოთქმა, რომ განხორციელების შემდეგ ჩვენს უფალ იესო ქრისტეში ორი ბუნებაა? არამცაა არამც.“ სარწმუნოებრივი კუთხით კრებამ ასეთი განაჩენი გამოიტანა: „ანათემა მას, ვინც ასეთ გამოთქმას გამოიყენებს; თუ ვინმე იტყვის ქრისტეში ორ ბუნებას – ანათემა.“ კრების მსვეურთა მონოფიზიტობა აშკარა ფაქტია.

ახლა, რაც შეეხება ავაზაკთა მიერ პიროვნებათა მიმართ ანგარიშსწორებას. როდესაც კონსტანტინეპოლის კრების ოქმები წაიკითხეს, ევტიქი უდანაშაულოდ ცნეს და მას აღუდგინეს სამღვდლო ხარისხი და თანამდებობა. შემდეგ წაიკითხულ იქნა ეფესოს I კრების VII კანონი, რომელიც ადგენს, რომ თუ ვინმე შეცვლის ნიკეის კრების მიერ მიღებულ სიმბოლოს, თუ სასულიერო პირია - განკვეთა, ხოლო თუ ერისკაცია - ანათემა. ევტიქიმ, ამის გამგონებ, მოითხოვა და თავისას მიადწია. ხარისხი ჩამოართვეს ფლაბიანესაც და ევსევსაც. თუ რა ისტორიული ვითარების გამო იქნა მიღებული ეს კანონი და რა შინაარსის მატარებელი იყო თავის თავში, ამას არც ევტიქი და არც კრების თავმჯდომარე დიოსკორე ყურადღებას არ აქცევდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ ეს კანონი ეფესოს წმინდა კრებამ შემდეგი გარემოების გამო მიიღო: ნესტორის მიმდევრები თხზავდნენ რწმენის ახალ სიმბოლოებს, რომელთაც მრევლში ავრცელებდნენ და არცთუ უშედეგოდ. ასე მოქცეულან ვინმე ანტონი და იაკობი, რომელნიც საკუთარ თავს მღვდლებს უწოდებდნენ და კონსტანტინეპოლიდან ჩასულან ლიდიაში. იქაური ეპისკოპოსები თავიანთი მზაკვრობით მოუხიბლავთ და მათგან ნებართვა მიუღიათ მათ სამწყსოში მოღვაწეობისა. იაკობი ფილადელფიის ლიდიაში დარჩენილა და არაერთი ადამიანი უცდუნებია, ხოლო ანტონის „მოღვაწეობის“ შესახებ ზუსტი ცნობები არ ქონია ქარსის, რომელმაც ეფესოს წმინდა კრებას ამცნო ეს ამბავი. ქარსის თან ჰქონია მათ მიერ შედგენილი სარწმუნოების სიმბოლოც, რომელიც ასევე კრებას წარუდგინა და რომლის შესახებაც იქნა მიღე-

ბული ზემოთ ხსენებული კანონი.

მართალია, კანონში მხოლოდ ნიკეის კრებაზეა ყურადღება გამახვილებული, მაგრამ მასში არა მარტო ნიკეის I, არამედ კონსტანტინეპოლის II მსოფლიო კრების მიერ მიღებულ მრწამსზეა საუბარი, რადგან ადრე შუასაუკუნეებში სწორედ ნიკეის კრების მრწამსის სახელით იცნობდა ეკლესიის კრებული სამარადჟამო ჭეშმარიტებას, უწყებულს წმინდა მამათაგან, რომელსაც დღეს ნიკეა-კონსტანტინეპოლის სიმბოლოს ვუწოდებთ. მიუხედავად ფლაბიანეს დიდი მცდელობისა, რომელსაც ლათინებიც უჭერდნენ მხარს, ის ვერაფერს გახდა. მას მხარს სხვა მღვდელმთავრებიც უჭერდნენ კერძოდ კი, ონისიფორე იკონიელი, მარინიან სიადელი, ეპიფანე პერგამოსელი, მაგრამ ევტიქი პროვოკაციაზე წავიდა და ჯარისკაცებს უხმო, რომელთა დახმარებითაც კიდევ უფრო გამკაცრდა ზეწოლა მამებზე. ზოგიერთი მათგანი სკამის ქვეშაც კი დაიმალა შიშით. ბევრმა მათგანმა კი ცარიელ ქალაქს მოაწერა ხელი, რომელზეც შემდეგ მწვალებელთა მიერ მათთვის სასურველი შინაარსის განაჩენი და გადაწყვეტილება იქნა დაწერილი.

ამ კრების მსხვერპლნი გახდნენ მოღვაწენი: ანტიოქიელი პატრიარქი დომნე, ნეტარი თეოდორიტი კვირელი, იბა ედესელი, ტვიროსის ეპისკოპოსი ირინეოსი და ყველა ის პირი, რომელიც არ იზიარებდა ავაზაკთა საკრებულოს სულისკვეთებას. დიოსკორეს მიმართ შემდეგი შეძახილები გაისმოდა: „შენი პირით ღმერთი ღალატდება, შენში სულიწმინდა ლაპარაკობს,“ ხოლო მათ მიერ შეჩვენებულ წმინდა მამათა მისამართით კი ისმოდა შემდეგი: „ეშმაკი მათზე ღვთისმოსიშია.“

მონოფიზიტთა საბოლოო მარცხი

451 წლის 8 ოქტომბერს ქალაქ ქალკედონში, წმინდა ეფემიას ბაზილიკაში, 500-ზე მეტი ეპისკოპოსის დასწრებით გაიხსნა საეკლესიო კრება, რომელსაც ეკლესიის ისტორიაში ქალკედონის IV მსოფლიო საეკლესიო კრების სახელით ვიცნობთ. იმპერატორი მარკიანე ამ პერიოდისთვის დედაქალაქში არ იმყოფებოდა, ამიტომ კრების ადმინისტრირებას მისი წარმომადგენლები უზრუნველყოფდნენ, სულ 18 ადამიანი. მათ უნდა გაეხსნათ და დაეხურათ კრების სხდომები, უზრუნველყოთ კენჭისყრა და სხვა ასეთი საკითხები. ტაძარში მარცხენა მხარეს დასხდნენ პაპის ლეგატები, კონსტანტინეპოლის, ანტიოქიის და აზიის ოლქის ეპისკოპოსები, ხოლო მარჯვენა მხარე ეგვიპტის, ილირიკის და პალესტინის ეკლესიათა წარმომადგენლებმა დაიკავეს. მართლმადიდებლებს კონსტანტინეპოლის პატრიარქი ანატოლი მეთაურობდა, ხოლო მონოფიზიტებს - ალექსანდრიელი ეპისკოპოსი დიოსკორე. რადგან მოსამართლისა და ბრალდებულის ერთ პიროვნებაში შეჯერება შეუძლებელი იყო, ამიტომ დიოსკორეს უბრძანეს ტაძრის შუანაწილში გადასულიყო, როგორც მსჯავრდებული, ხოლო მისი ბრალდებელი იყო ევსევი დორილიელი, რომელიც „ავაზაკთა კრებამ“ განკვეთა. იგი ითხოვდა, კრებას დაწვრილებით განეხილა ევტიქის საქმე და წაეკითხათ 449 წლის კრებაზე გაკეთებული ჩანაწერები, რაც დიოსკორეს ცდომილების წარმოსაჩენად იყო საჭირო. დიოსკორე ითხოვდა, ჯერ ის გამოეკვლიათ, რაც სარწმუნოებრივ საკითხებს ეხებოდა, მაგრამ ამაზე უარით უპასუხეს, რადგან მას, როგორც ბრალდებულს, ჯერ პასუხი უნდა ეგო.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თავდაპირველად რომის ეკლესია მონოფიზიტური კამათის დროს ალექსანდრიელთა მხარეს იდგა. პაპმა შეამჩნია რა, რომ რომისა და ალექსანდრიის ინტერესები სცილდებოდა ერთმანეთს, ამასთანავე გაიხსენა

ისიც, რომ 448 წლის კონსტანტინეპოლის კრების მიერ ეგვიპტის სააპელაციო საჩივარს არ გამოეყომაგა პაპი ლეონი, ხოლო ეგვიპტე რომს ზურგი აქცია და ეს იქნა აღქმული როგორც პაპის შეურაცხყოფა, რომის საყდარმა ახლა უკვე კონსტანტინეპოლის პოზიცია გაიზიარა და მიემხრო მას. რომისა და კონსტანტინეპოლის დაახლოება დიდად იყო განპირობებული პატრიარქ ფლაბიანეს მეცადინეობით.

რაც შეეხება დიოსკორეს, იგი კარგად ხვდებოდა, რომ კრება მისთვის სასურველ შედეგს ვერ გამოიღებდა. ერთადერთი, მას საერო ხელისუფლების იმედი თუ ექნებოდა, მაგრამ არც ამ მხრივ ჰქონდა საქმე კარგად. იმპერატორი მარკიანე ნამდვილად არ იყო თეოდოსი II. მით უფრო შეუძლებელი გახდა დიოსკორეს დახმარება საიმპერატორო კარის მხრიდან მას შემდეგ, რაც ერესიარქმა სცადა ალექსანდრიაში შეთქმულება მოეწყო იმპერატორისათვის, მაგრამ წარუმატებლად.

კრების მოთხოვნით, წმინდა ფლაბიანემ დააფიქსირა საკუთარი საწმუნობრივი აღმსარებლობა. მისი ნათქვამიდან ცხადი გახდა, რომ ის აღიარებდა უფალ იესო ქრისტეს როგორც სრულ ღმერთსა და სრულ კაცს, გონიერი სულითა და სხეულით, მამის თანაარსს ღმრთეებით და დედის, ყოვლადწმინდა ქალწულის, თანაარსს კაცობრივად. ის ამბობდა რომ ქრისტეში განხორციელების შემდეგ არის ორი ბუნება ერთ ჰიპოსტაზში. ეპისკოპოსთა უმრავლესობამ აღიარა ფლაბიანეს მართლმადიდებლობა, მათ შორის პაპის ლეგატებმა. პალესტინელმა ეპისკოპოსებმა, რომელთაც ჭეშმარიტების მიღებისათვის გული გაეხსნათ, დატოვეს მწვალებელთა რიგები და მოპირდაპირე მხარეს გადასხდნენ. მათ მიჰყვნენ ილირიკის ეპისკოპოსები და 4 ეგვიპტელი მღვდელმთავარი: ათანასე ბუსირიელი, აესონი სებენიტელი, ნესტორ ფრაგონისელი და მაკარი კაბასელი. მათგან განსხვავებით, დიოსკორე ჯიუტად არ აღიარებდა ფლაბიანეს მართლმადიდებლობას და შეკითხვაზე, თუ რისთვის გაასამართლეს 449 წელს კონსტანტინე-

პოლელი მღვდელმთავარი, მან ასე უპასუხა: „იმისთვის, რომ შეერთების შემდეგ ორ ბუნებას აღიარებდა.“ არამართებულად აპელირებდა რა ეკლესიის წმინდა მამათა თხზულებებიდან ამონარიდებით, დასძენდა, რომ შეერთების შემდეგ არ უნდა იქნეს ქრისტეში აღიარებული ორი ბუნება, არამედ ღმერთი სიტყვის ერთი, განხორციელებული ბუნება და თუ მისი გასამართლება მოხდება, ეს მოხდეს „მამებთან ერთად.“

როგორც უკვე გამოიკვეთა, მხარეთა შეხედულებები ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდებოდა. მარცხნივ მსხდომნი „ავაზაკთა კრებაზე“ გაკიცხულ მამებს მართლმადიდებლობის დამცველად და ბურჯებად აღიარებდნენ, საპირისპიროდ მსხდომნი კი - პირიქით. მათ განსაკუთრებით ნეტარი თეოდორიტეს სახელის ხსენება სძაგდათ. პირველნი კონსტანტინეპოლის II მსოფლიო საეკლესიო კრების სიმბოლოს აღიარებდნენ, მეორენი კი რადიკალურად უარყოფდნენ. დიოგონე კვიზიკელი აცხადებდა, რომ ნიკეის სიმბოლოს წარმოთქმა არამართებული იყო, თუ მას 381 წლის კრების მიერ შეესებულად არ წარმოაჩინდა მალიარბელი. „ეგვიპტეში ნიკეის კრება პირველ ადგილზე მზაკვრობით დააყენა, მაშინ როცა კონსტანტინეპოლის კრებამ მიღებული სიმბოლო აპოლინარის, მაკედონისისა და მათი მიმდევრების საწინააღდეგოდ მიიღო და დაამატა სიტყვები: „გარდამოხდა ზეციით და ხორცნი შეისხა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა.“ ეგვიპტისათვის, როგორც აპოლინარის მიმდევრისათვის, ეს სიტყვები მიუღებელი არის და გაურბის გამოთქმას „სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა.“ ევსევი დორვილელი კი აცხადებდა: „ეგვიპტე უარყოფდა, რომ უფალ იესო ქრისტეს სხეული ზეციური, მაგრამ ამასთანავე უარს ამბობდა იმის განმარტებაზე, თუ საიდან იყო იგი.“ მარცხენა მხარეს მსხდომ მამათა შეხედულებით, იესო ქრისტეს ჰიპოსტაზში შეერთებული ბუნებანი განსხვავდებიან, ბუნებანი, რომელნიც ერთ ჰიპოსტაზში შეერთდნენ. დიოსკორესა და მის

მომხრეთა აზრით კი: „შეერთების შემდეგ ერთ ბუნებას კი არ უნდა ვაღიარებდეთ, არამედ სიტყვის ერთ განხორციელებულ ბუნებას.“ „ორი ბუნებისაგან ვაღიარებ, ორს არ ვაღიარებ. ვამტკიცებ, შეერთების შემდეგ ორი ბუნება არ არის,“ - მტკიცედ გაიძახოდნენ ეგვიპტისა და დიოსკორეს.

სევესტოპოლის ეპისკოპოსის, კეკროპიოსის თხოვნით, წაიკითხეს ნიკეის წმინდა მამათა მიერ მიღებული მრწამსი და წმინდა ლეონ პაპის ეპისტოლე. ასევე მოისმინეს კონსტანტინეპოლში შეკრებილ მამათა მიერ (381 წ.) მიღებული სარწმუნოების სიმბოლო, ამონარიდები წმინდა კირილე ალექსანდრიელის ეპისტოლედან, რომელიც მან იოანე ანტიოქიელს გაუგზავნა. წაკითხულ იქნა ასევე ილარიონ პიქტაველის და წმინდა გრიგოლი ღმრთისმეტყველის, წმინდა ამბროსი მედიოლანელისა და ნეტარი ავგუსტინეს თხზულებიდან ამონარიდები, რომელნიც წამოჭრილი საკითხების ჭეშმარიტების სასარგებლოდ გადაწყვეტას შეუწყობდნენ ხელს. კრების მესამე სხდომაზე საკუთარი პოზიცია ნათლად წარმოაჩინა და სარწმუნოების შესახებ სიტყვა წარმოთქვა პასკასინოს ლიდიბიელმა, რომელიც რომის პაპის წარმომადგენელთა სახელით გამოვიდა: „წმინდა კრება ეთანხმება ნიკეაში შეკრებილი 318 წმინდა მამის სარწმუნოებრივ განსაზღვრებებს და მისდევს მათ მიერ გამოცემულ განსაზღვრებებს, მით უფრო, რომ კონსტანტინეპოლში შეკრებილმა 150-მა მამამ დაამტკიცა და უქცევდნენ ეს მრწამსი. მივესალმებით ეფესოში შეკრებილ წმინდა კრებას, რომელიც ნეტარი კირილეს დროს შედგა და რომელმაც გაასამართლა ნესტორი. ვეთანხმებით ნეტარი ლეონის გამოგზავნილ ეპისტოლეებს, რომლებშიც დაგმობილია ნესტორისა და ეგვიპტის მწვალებლური შეხედულებები და ცხადად ჩანს, რომელი სარწმუნოებაა ჭეშმარიტი. ჩვენი წმინდა კრება იცავს ამ სარწმუნოებას, მიჰყვება მას და ამის შემდეგ არც რაიმეს დამატება შეიძლება და არც მოკლება.“ სამეფო მოხელეთა შეკითხვაზე, ლეონის ეპისტოლეს ეთანხმება თუ არა 318

წმინდა მამისა და 150 მამის მიერ დედაქალაქში გამართული კრებების დადგენილებები, კრების მონაწილეთა უმრავლესობამ, სულ 305 ადამიანმა, დადებითად უპასუხა, თუმცა იყვნენ ისეთები, რომელთაც უარყოფითი პასუხი გასცეს. ცხადია, ისინი ეგვიპტისა და დიოსკორეს ბანაკს წარმოადგენდნენ. განსაკუთრებული სიმძაფრით იყო გამორჩეული დავა II მსოფლიო კრების მიერ საბოლოოდ ჩამოყალიბებული მრწამსის მიღებასთან დაკავშირებით. მას წინააღმდეგობას ეგვიპტის მიმდევრები უწევდნენ, რომელთათვისაც ცხადად მამხილებელი და მათი უკეთურების წარმომადგინებელი იყო ეს სიმბოლო.

საუკუნეთა მანძილზე ალექსანდრიული და ანტიოქიური სკოლების მიმდევართა შორის წამოჭრილ და ჯერაც მოუგვარებელ საკითხს, თუ რა ადგილი ეთმობოდა სარწმუნოების სფეროში ადამიანის გონებას, საბოლოო პასუხი ქალკედონის წმინდა კრებამ გასცა: „არავის ეკრძალება გამოთქვას თავისი აზრი და გამოხატოს საკუთარი სარწმუნოება მხოლოდ ერთი პირობით, იგი წმინდა მამათა სწავლების შესაბამისად უნდა იყოს გადმოცემული, რადგან ეკლესიის მამათა თხზულებებს იგივე ადგილი აქვთ დათმობილი და იმავე სიმაღლეზე არიან, როგორც სარწმუნოების სიმბოლოდ მიჩნეული ნიკეა-კონსტანტინეპოლის მრწამსი.“ ასეთ მოძღვრებად კრებამ აღიარა ბასილი კესარიელი, ათანასე და კირილე ალექსანდრიელები, იოანე ანტიოქიელი, პაპი დამასი, ლეონ დიდი. კრების გადაწყვეტილებით საღვთისმეტყველო მეცნიერება საუკუნოდ იკურთხა. და ბოლოს, წმინდა მამებმა მართლმადიდებელი ეკლესიის სასიქადულოდ მიიღეს გადაწყვეტილება და ნათლად ჩამოაყალიბეს ქალკედონის კრების სარწმუნოებრივი დოქტრინა, რომელიც ასე ლაღადებს: „ამრიგად, შედგომილნი წმინდა მამებს, ყველანი ერთხმად ვასწავლით ერთი და იმავე ძის, ჩვენი უფლის იესო ქრისტეს აღსარებას, მასვე სრულს ღმრთეებაში და მასვე სრულს კაცებში, მასვე ჭეშმარიტად ღმერთს და ჭეშმარიტად ადამიანს, გონითი

სულისა და სხეულისგან, მამის თანაარსს ღმრთეებითად და მასვე ჩვენს თანაარსს კაცობრივად, ყოვლითურთ ჩვენს მსგავსს ცოდვის გარეშე, საუკუნეთა უწინარეს მამისგან შობილს ღმრთეებითად, უკანასკნელ დღეებში კი მასვე ჩვენს გამო და ჩვენი ცხონებისთვის კაცობრივად [შობილს] მარიამ ქალწულისგან, ღვთისმშობლისგან, ერთსა და იმავე ქრისტეს, ძეს, უფალს, მხოლოდშობილს, ორი ბუნებისგან თანაშეურველად, უცვალეზლად, განუყოფლად, განუშორებლად ცნობილს, ბუნებათა განსხვავებას არ-აღსოცილს შეერთების გამო, უფრო კი დაცულს თითოეული ბუნების თვისებას და ერთ პირსა და გვაძოვნებაში თანამსრბოლს, არათუ ორ პირად დანაწილებულს ან განყოფილს, არამედ ერთსა იმავე ძეს და მხოლოდშობილს, ღმერთ-სიტყვას, უფალ იესო ქრისტეს, როგორც მის შესახებ ძველთაგან წინასწარმეტყველებმა და თვით მან, უფალმა იესო ქრისტემ, განგვსწავლეს ჩვენ და მამათა მრწამსმა გადმოგვცა ჩვენ.“ აი, ამგვარია მართლმადიდებელი ეკლესიის უცდომელი მოძღვრება ჩუენი უფლის, იესო ქრისტეს განხორციელებისა და გამომხსნელი ღუაწლის შესახებ.

კრების უკანასკნელ სხდომას თვით იმპერატორი მარკიანე და მისი მეუღლე პულქერიაც დაესწრნენ. ხელმწიფის შეკითხვაზე, იყვნენ თუ არა წმინდა მამები ერთობლივად შეჯერებულნი იმ მოძღვრების უცდომელობაში, რომელიც კრებამ დაამტკიცა, ასეთი პასუხი მიიღო: „ყველას ასე გვწამს, ყველანი შევთანხმდით და ხელმოწერით დავადასტურეთ. ეს არის მართლმადიდებელთა უტყუარი მოძღვრება და რწმენა, რომელმაც სამყარო იხსნა.“ ყოვლადწმინდა სამებამ სამი პირი განკვეთა: ნესტორი, ევტიქი და დიოსკორე.

თავნი სომეხთა წვალეებისანი ოცდაათნი

1. პირველად უკუე იტყვან ყოვლად ბოროტნი სომეხნი, ვითარმედ: ¹ „ძესა ღმრთისასა² შემდგომად განჯორციელები-საცა³ ერთი ბუნებაა და ერთი ნებაა და ერთი მოქმედებაა აქუს შეზავებული“, რომელ ესე არს⁴ სარწმუნოებაა სერგისი, პიროსისი და პავლესი და სხუსა მის კრებულისა მათისაა, რომელნი-იგი კონსტანტინუპულეს⁵ შეკრებილმან⁶ წმიდამან მეექუსემან კრებამან, წმიდათა ასსამეოცდაათთა ღმერთშემოსილთა მამათამან, შეაჩუენნა⁷ კონსტანტინეს⁸ ზე მეფისა, რომელი იყო მამაა მცირისა იუსტინიანესი, რომელთა წვალეებასა⁹ ამხილებს¹⁰ ღმრთისმეტყუელიცა გრიგოლი¹¹ მეტყუელი ესრეთ: „მრწამს ძე და¹² სიტყვაა ღმთისაა ორთა შინა ბუნებათა, სული და ხორცი ვნებული და უვნებელი“ და საღმრთოა კვრილე¹³ მკობელი, ვითარმედ: „ერთსა მას ევნო და მოკუდა და ერთი¹⁴ უვნებლად და უკუდავად ეგო,“ ამათ თანა სანატრელი¹⁵ ეფრემცა, ვითარმედ: „ორნი ბუნე-ბანი ერთად შემოკრბეს, არამედ ღმრთეებაა¹⁶ არა იქცა

¹ ვითარცა F

² საღმთოჲსა F

³ განხორციელებისა F

⁴ არს] -F

⁵ კონსტანტინუპოლის BH, კონსტანტინუპოლეს E, კონსტანტინუპოლის FG

⁶ შეკრებულმან CFH

⁷ შეაჩუენა C

⁸ კონსტანტინეს BDFG კონსტანტინე EH

⁹ რომელთა] + არამედ ED

¹⁰ ამხილებს] - E

¹¹ გრიგოლი DH

¹² ძე და] - BFGH

¹³ კირილე D

¹⁴ ერთი]+იგი F

¹⁵ სანატრელ C

¹⁶ ღმრთაებაა F

პორცად და პორცთა მიმხუმელი¹⁷ უფალი არა შემატება იქმნა ღმრთეებისა¹⁸.”

2. მეორე ძვრ მათდა არს, რამეთუ დიდად სცთებიან¹⁹ სამწმიდაობითსა შინა ანგელოზებრსა²⁰ გალობასა შეძინებითა ამისითა, ვითარმედ: „რომელი ჯუარს-ეცუ²¹“ –ცხად არს, ვითარმედ შედგომითა პეტრე მკაწრვალისა²² მოძღურებისაჲთა ვინაჲ ამასცა ზედა ამხილებს წარმრეველობასა მათსა სხუათა მამათა თანა ღმრთისმეტყუელივე გრიგოლი,²³ მეტყუელი ესრეთ: „უკუე არიან წმიდანი წმიდათანი, რომელნი სერაფიმთადცა²⁴ დაიფარვან სამითა სიწმიდითა ერთად, რაჲ უფლებად და ღმრთეებად²⁵ შემოკრებოდინ,“ ხოლო უკუეთუ მიზეზობდენ დაწყეულნი და იტყოდინ, ვითარმედ არა წმიდისა სამებისა, არამედ მხოლოდ²⁶ ძისა მიმართ ოდენ ვიტყვთ ეგვევითარსა მას გალობასა, მეყსეულად საბელიოზისსა მზრახველობაჲ²⁷ ემხილების და არა სამთა, არამედ ერთსა პირსა ღმრთეებისასა²⁸ რწმუნებაჲ და კუალად, უკუეთუ ძმა-ცუვიდენ,²⁹ ვითარმედ სამწმიდასა ვიდრემე გალობასა ღმრთეებისა³⁰ მიმართ, ხოლო ჯუარცუმულობასა

¹⁷ მიმხუმელი

¹⁸ ღუთაებისა H

¹⁹ ჰსცთებიან F

²⁰ ანგელოსებრსა H

²¹ ეცუ H

²² მკაწრვალისა H

²³ გრიგორი D

²⁴ სერაფიმთადცა D

²⁵ ღმრთეება B G ღმრთაებაჲ F, G

²⁶ მხოლოდ C

²⁷ მზრახველობა BGH, მზრახულობაჲ,

²⁸ ღუთაებისასა H

²⁹ ძმაცვიდენ BDFGH

³⁰ ღუთაებისა H

ძისა მიმართ აღვიყვანებთ. ნესტორისსა მრწმუნებელობაჲ³¹ ემხილების სამებისა წილ ოთხებისა აღმსარებელთა³².

3. მესამე ძვრ: რამეთუ სამთა ჯუართა შეაუღლებენ და აღჰმართებენ³³ საეშმაკოთა შინა შესაკრებელთა მათთა³⁴ - ორთა უკუე სწორ საზომთა და სწორ სახეთა, ხოლო ერთსა-უკნინესსა და უმცირესსა და წმიდად სამებად უწოდენ მათ. ხოლო ჰქონან საქმესა ამას ორნი დიდნი წვალებანი ერთად უკუე, რამეთუ წმიდა სამებასა, ვითარცა ნივთიერსა დაჰსახავენ³⁵ ქუეყანასა ზედა და მეორედ, რამეთუ ერთსა წმიდისა სამებისასა უდარესად აღიარებენ.

4. მეოთხედ, რამეთუ წმიდათა ხუთთა სამოციქულოთა საყდართაგან უცხო არიან და ჰელთდასმაჲ არავინაჲ აქუს, ვინამთგან გარდამავალ ექმნენ წმდათა მამათა წესთდამსხმელობასა³⁶ და ემხილების თვსთა წიგნთა შინა წერილთა და დღითი-დღე მათ მიერ აღმოკითხულთა სიტყუათა მიერ. რამეთუ³⁷ გრიგოლი³⁸, დიდისა სომხეთისა დიდმან და პირველმან ეპისკოპოსმან, მიითუალა ველთდასმაჲ კესარიას შინა კაპადუკიისასა³⁹ ლეონტის მიერ, მთავარეპისკოპოსისა მის ეკლესიისა,⁴⁰ რომელმანცა სანატრელმან ლეონტიოს, ვითარცა მეცნიერმან სომეხთა ყოვლად ბოროტისა ნებისამან, წერით განუცხადა მეფესა ტირიდატის,⁴¹ მიმწერელმან ესრეთ: „ოჲ მეფე, მღ-

³¹ მრწმუნებელობაჲ A

³² აღმსარებელთა E

³³ აღმართებენ BFG აღიმართებენ H

³⁴ საკებულოთა შინა მათთა საეშმაკოთა BFGH

³⁵ დასახვენ H

³⁶ დამსმელობასა G

³⁷ -რამეთუ]+ხოლო BHGH

³⁸ გრიგორი D

³⁹ კაპადუკიისასა BFGH, კაპადუკიისასა CDE

⁴⁰ ეკკლისიისა C, ეკკლესიისა D

⁴¹ თრდატს CDE

ელობა⁴² რომელი შეიწყნარეთ ჩემ მიერ და საყდრისა ჩემისა უცვალებელად დაჰმარხეთ უქცევლად გებულ ჩუენსა ამას შინა წმიდასა დედაქალაქსა უკუნითი უკუნისამდე.“ რომლისა მიმართ, ამათმან შემწყნარებელმან, მეფემან ტირიდატი⁴³ მიწერა ესრეთ: “ესევითარისა ამის პირისათვის, რომლისათვის მოსწერე ჩემდა, ყოვლად სანატრელო მეუფეო, თავსმდებად მივსცემ დიდსა სიწმიდესა შენსა მარჯუენესა მალლისასა და პატროსანსა ჯუარსა, რომელსა ზედა ქრისტე ამაღლდა ჩუენთვის, და წმიდასა ნათლისღებასა, რომლისა მიმართ ნათელღებულ ვართ სახელითა მამისაათა და ძისაათა და სულისა წმიდისაათა სიკუდილისა ქრისტესთვის ვნებულთა⁴⁴ წმიდათასა, ვითარმედ შეურყეველად ვეგნეთ ეგევითარისა მაგის აღსაარებისაგან.“ ესენი ტირადი სხუათა მიმდგომთა მისთა თანა დაწერნა მამინ, ხოლო აწინდელნი სომეხნი შეურაცხისმყოფელ და მაგინებელ⁴⁵ და გარდამავალ არიან ესევითარისა საიდუმლომასა.

5. რამეთუ სცთებიან ჟამისწირვასა შინა მათსა⁴⁶ და არა აქუს საიდუმლო მსხუერპლი, რომელი თქუა ქრისტემან სახარებასა შინა, ვითარმედ: “მოიბთ ზუარაკი ჭამებული და მჭამელნი ვიხარებდეთ.“ (შდრ. ლკ. 25,23) არამედ სხუად საეშმაკო, რომელი შემდგომთა სიტყუათა შინა ცხად ვყოთ⁴⁷. რამეთუ იტყვეს საიდუმლომასათვის მსხუერპლსა და ჭამებულისა ზუარაკისა ოქროპირი: “წმიდა არს მამა, რომელმან ინება საიდუმლო მსხუერპლი;⁴⁸ წმიდა არს ძე, რომელი სამარადისოდ

⁴² მლუდელობა DEH
⁴³ ტირიდატი მეფემან CDE
⁴⁴ ვნებულსა H
⁴⁵ მაგინებელ] + არიან F
⁴⁶ მათსა]-BFGH
⁴⁷ ცხად-ვყოთ D
⁴⁸ მსუერპლი E

დაიკლვის და არაოდეს⁴⁹ განილევის, წმიდა არს სული წმიდად სრულების მოქმედი ესევითარისა მის მსხუერებლისა. “ამათ თანა გრიგოლიცა⁵⁰ ღმრთისმეტყუელი⁵¹ ჳმობს: “ამისთვის კრავად სახელ-იდებისო ქრისტე სიმშვიდისათვის⁵² და შემოსელობისა პირველისა სიშიშულისა,⁵³ რომლისათვის აწინდელიცა⁵⁴ ესე საიდუმლო მსხუერპლი საიდუმლოსა⁵⁵ ზედა ტრაპეზსა სამოსელ უხრწნელებისა და საბლარდნელ სიწმიდისა მექმნების ჩუენ.“

6. რამეთუ უცომოსა და მკუდარსა მსხუერპლსა მოცემისაებრ ჰურიათამსა ურცხუნოათა პირითა⁵⁶ წარდგებიან შეწირვად წინაშე ღმრთისა, რომლისათვის დიდი პავლე მრავალსახედ ესრეთ მისწერს კორინთელთა მიმართ: “მცირე ცომი ყოველსა შესუარულსა⁵⁷ აღაფუენებს⁵⁸.“ (I კორ. 5,6) და კუალად: “უკუეთუმცა⁵⁹ პირველი უბიწო იყო, მეორესა არღარამცა აქუნდა ადგილ⁶⁰.“ (ებრ. 7,7) და კუალად გალატელთა მიმართ, ვითარმედ: “განქარდებიან ქრისტესგან, რაოდენნი შიჯულითა⁶¹ განმართლდებიან და განვარდებიან მალლისაგან.“ (შდრ. გალ. 5,4) და კუალად: “უკეთუ ვისმე ჰნებავს⁶² ქმნაჲ ერთისა შიჯულისაგან⁶³, წყეულ არს, უკუეთუ

⁴⁹ არა]-ოდეს BFG
⁵⁰ გრიგორი D
⁵¹ ღმრთისმეტყუელიცა DE
⁵² სიმდაბლისათვის FH
⁵³ სიშიშულისა F
⁵⁴ აწინდელი BF
⁵⁵ საიდუმლო BF
⁵⁶ პირთა D
⁵⁷ შესუარულსა D
⁵⁸ აღაფუენებს H
⁵⁹ უკეთუ BGH, უკუეთუ F
⁶⁰ ადგილი DFGH
⁶¹ შიჯულითა BFG
⁶² ჰნებავენ CDE
⁶³ შიჯულისაგან BGH

არა ქმნეს ყოველნი.“ და უფალმან ქორსა შინა საიდუმლოდ სერობადა რაჟამს ინება, მოწაფეთა თვსთა გამოცხადებამა საიდუმლოდსა არა უცომოდათა, არამედ სრულითა პურიითა სრულიყო, ვინათგან არლა იყო მაშინ ჟამი უცომოთა⁶⁴ შჯულისაებრ⁶⁵ პურიათადასა. ვითარცა მახარებელი იოვანე ღაღადებს განცხადებულად, ვითარმედ: “ხოლო უწინარეს დღესასწაულსა პასექისასა.“ (მდრ. ინ. 13,11) და კუალად, ვითარმედ: “ხვალისაგან მოიყვანეს იესუ კაიფაჲსით⁶⁶ პრეტორიად⁶⁷ და იგინი არა შევიდეს, რაათა არა შეიგინნენ, არამედ რაათა ჭამონ პასექი.“ (ინ. 28,28).

7. რამეთუ წყლითა არა განაზავებენ⁶⁸ საღმთოსა საიდუმლოსა და ამისთვისცა ღმრთისმეტყველი იოვანე დასწერს, მეტყუელი, ვითარმედ: „ესრეთ არს სულითა და სისხლითა და წყლითა, და სამნივე ესე წამებენ და სამნივე⁶⁹ ერთ არიან.“ (მდრ. I ინ. 5,8) და ვინათგან პატროსანი უკუე ჯუარი ტრაპეზად იწოდა, ხოლო ხორცნი უფლისანი პურად ცხორებისა⁷⁰ და წყალსა საიდუმლოდ ღმრთეებისა აქუს, ვინადაცა საღმთოი ჟამისწირვაჲ, თვნიერ წყლისა ქმნილი, ლიტონსა კაცსა მოასწავებს.

8. რამეთუ თვნიერ მარილისა შეიქმან მათ მიერ⁷¹ შეწირულსა საიდუმლოსა და არა ესმის უფლისა მეტყუელისაჲ მოწაფეთა მიმართ: „თქუენ ხართ მარილნი სოფლისანი.“ (მთ. 5,19) და ვითარმედ: „ყოველი გუარი მარილითა დაიმარილოს.“ (მკ. 9,49).

⁶⁴ უცომოთა H

⁶⁵ სჯულისაებრ GH

⁶⁶ კაიფაჲსით B, კაიფასით DFH, კაიფისით E

⁶⁷ ტპრეტორად F

⁶⁸ განაზავებენ CDEG, განაზავებენ FH

⁶⁹ სამნი FGH

⁷⁰ ცხორებისად C

⁷¹ მათ მიერ] - BFGH

9. (9) რამეთუ ხარებაჲ ღმრთისმშობელისაჲ არა უწყიან, არცა აღმოიკითხვენ, ვითარმედ კუალად თავისუფლებისა უწყებანი და შემდგომი.

10. (9) რამეთუ უცნობელ არიან და უგულისვმო უფლისა ჩუენისა⁷² იესუ⁷³ ქრისტეს შობისთვის და არცაღა თუ წმიდისა გრიგოლი⁷⁴ ღმრთისმეტყუელისა ირწმუნებენ ესრეთ თქუმაჲსა:⁷⁵ „ქრისტე იშვა, აღიდებდით.“

11. (9) რამეთუ იანვარისა თთვისა⁷⁶ ხუთსა ჰყოფენ ხარებაჲსა უწესობითა,⁷⁷ არა⁷⁸ პატრივად ღმრთისმშობელისა, არამედ უფროდსა უპატრიოებად, ვინათგან საიდუმლონი უფლისა ჩუენისა განკაცებისანი წესისაებრ წელიწდისა სრულ⁷⁹ იქმნებიან.

12. (9) რამეთუ არა ექუსსა იანვარისასა⁸⁰ დღესასწაულობენ ნათელთასა, არცა აქუს რაათურთით განგებაჲ მის⁸¹ დღესასწაულისაჲ⁸², არამედ მხოლოდ განვლენ ოდენ⁸³ მდინარედ მაჩუენებლობით. ხოლო ამხილებს მათ ღმრთისმეტყუელი გრიგოლი⁸⁴, დღესასწაულობდეს რაჲ მას დღესა დაწერდს: „კუალად იესუ⁸⁵ ჩემი და კუალად საიდუმლოდ.“

⁷² ჩუენი H

⁷³ იესო C

⁷⁴ გრიგორი DH

⁷⁵ თქუმაჲსა G, თქმაჲსა H

⁷⁶ თთვისა H

⁷⁷ უწესობითა H

⁷⁸ არა]-BFGH

⁷⁹ სრულ]-FGH

⁸⁰ იანვარისასა DE, იანვრისა E

⁸¹ მისი FG

⁸² დღესასწაულისასა

⁸³ ოდენ]-FGH

⁸⁴ გრიგორი D

⁸⁵ იესო H

13. (9) რამეთუ დღესასწაულობენ ცხრასა იანვარისასა სხუასა ხარებასა, რომელ არს წვალებამ დიდი და გალობენ დასდებელთა ხარებისათა და წარიკითხვენ სახარებასა ხარებისასა, ხოლო სახმარ არს ცნობად, ვითარმედ ყოველთა აპრილსა თთუეთა გარდაიჯდიან ხარებასა, ხოლო ქრისტეს შობასა იანვარსა თთუესა, მიმწუხრი უკუე ქრისტეს შობასა დღესასწაულობენ, ხოლო ცისკრად ექუსსა მისვე თთუსასა ნათელთასა.

14. (9) რამეთუ დღესასწაულობენ ათორმეტსა⁸⁶ იანვარისასა⁸⁷ ნათლისღებასა ქრისტეშისა და გალობენ ცისკრად ყოველსა განგებასა განცხადებისასა, რომელ არს გარდაქცეულებამ დიდი.

15. (10) რამეთუ არა აქუს მიჰრონი⁸⁸, არცა რამ ნივთი შეზავებისა მისისამ, არამედ ბალასანსა ზეთსა⁸⁹ იკმარებენ მიჰრონად და ჰყიდიან მას დიდ ფასის.

16. (11) რამეთუ ნათლისღებასა არა სცხებენ ზეთსა ახალ ნათელღებულთა მათ, არამედ უდებ-ჰყოფენ, ვითარცა მწვალებელნი და ნაწილნი შეჩუენებისანი, რომელი-ესე წესით მოცემულ არს და წესად ეკლესიისა⁹⁰ დამტკიცებულ არს. რომელსა დიონუსიოსცა⁹¹ არეოპაგელი⁹² იგავის სახედ სარწმუნოჰყოფს ესრეთ თქუმითა, ვითარმედ: “ჟამსა დგენით⁹³ სრბისასა, გამოცდილნი მსრბოლნი სცხებენ თავთა თუსთა

⁸⁶ თორმეტსა A

⁸⁷ იანვარისასა DF

⁸⁸ მირონი BFGH

⁸⁹ ზეთისასა DE

⁹⁰ ეკლესიისა C, ეკლესიისა DH

⁹¹ დიონუსოსცა D, დიონუსოსცა E

⁹² არეოპაგელი BDFGH

⁹³ დგინებით FHG

ზეთსა, რამთა არა ვითარ სახედც უფლებულ იქმნენ წინამოსაჯულისა ეშმაკისაგან, არამედ განერნენ ცხებიტაცა⁹⁴ ზეთისაათა და წმიდისა ნათლისღებისა მიერით შეწეენითა სულისა წმიდისაათა.“ არამედ დიდისა სომხეთისა პირველმან ეპისკოპოსმანცა გრიგოლი⁹⁵, ოდეს იგი ათცხრამეტთა ბევრთა და⁹⁶ კუალად ათორმეტთა ბევრეულთავე მდინარესა შინა ევფრატსა ნათელ-სცა, ესოდენი ზეთი წარმოაცალიერა⁹⁷ მათ ზედა, ვიდრემდის კნინლა ყოვლისა მის მდინარისა აღვსებადმდე და სრულებით გარეშეცვად მათდა. აქუს უკუე მამხილებლად დიდი პაპამ სილვესტროსცა,⁹⁸ რომელი ნათელსცემდა რამ დიდსა კონსტანტინეს,⁹⁹ ზეთი სცხო პირველად, რამეთუ წერილ არს, ვითარმედ: “მცხებელმან მისდა ზეთისამან ნათელ-სცა მას.“

17. (12) რამეთუ გარდამავალ არიან მცნებათა ქრისტეშისა, რამეთუ მან უკუე მოწაფეთა თუსთა „მამო ჩუენო, რომელი ხარ ცათა შინა“ (მთ. 6,9) ამცნო ლოცვად, ხოლო ამათ არცა ერთსა ლოცვასა შინა ამისი თქუამა დაუც¹⁰⁰ შჯუღად.¹⁰¹

18. (13) რამეთუ ნათლისღებასა შინა არა იქმნების მათ მიერ შებერვამ ნათელღებულთამ, დაღათუ ვმობს ღმრთისმეტყუელი გრიგოლი.¹⁰² „მქონან სამნი შებერვანი სარეფთელისა ძისათუს, რომელთა მიერ განვაცხოველო იგი მომკუდარი.“ და სხუაგან წერილ არს, ვითარმედ: „სამი შებერვამ სულსა¹⁰³

⁹⁴ ცნებათა DFGH

⁹⁵ გრიგორი D

⁹⁶ და]-B

⁹⁷ წამოაცალიერა A, წარმოაცარიელა C

⁹⁸ სილვესტროცა B, სილივისტროცა DFGH, სილივესტროცა H

⁹⁹ კონსტანტინეს BDEFGH

¹⁰⁰ დაოც C

¹⁰¹ სჯუღად BCFGH

¹⁰² გრიგორი D

¹⁰³ სულისა DE

ცხოველყოფს, ცოდვასა მოჰკლავს და ქრისტესა შეჰმოსს ნათელღებულსა.“

19.(14) რამეთუ პატიოსანთა და წმიდათა ხატთა ქრისტესსა და ღმრთისმშობელისა¹⁰⁴ და ყოველთა წმიდათასა არა თაყუანისცემენ,¹⁰⁵ დაღათუ აქუს წერილად წიგნთა მათთა შინა¹⁰⁶ ესე მისვე ღიღისა ჰრომთა პაპის სილვესტროსტუს,¹⁰⁷ ვითარმედ ღიღმან მეფემან კონსტანტინე¹⁰⁸ წმიდათა ხატთა მიერ პეტრესსა და პავლესსა იცნა ჭეშმარიტებად და მაცხოვარებად.

20.(15) რამეთუ ჟამსა წმიდისა ზიარებისასა არცა ეკლესიად¹⁰⁹ შევლენ, არცაღა ჯუარსა თაყუანის-სცემენ.¹¹⁰

21.(16) რამეთუ შჯულად¹¹¹ დაუც, ვითარმედ: „ვინცა ვინ შაბათი ანუ კურიაკე მარხვასა თანა აღრაცხნეს თვნიერ ხოლო განცხადებისანი, შეჩვენებულ იყავნ.“ ამისტუს შიშითა ესე ვითარისა მის¹¹² შეჩვენებისადათა¹¹³ წმიდათა შინა და ღიღთა მარხვათა შაბათსა და კურიაკესა ჭამენ¹¹⁴ სძესა და კუერცხსა¹¹⁵ და ერბოსა, რომელნიმე ცხადად, ხოლო რომელნიმე იღუმალ.

22.(17) რამეთუ საჯსენებელთა¹¹⁶ წმიდათასა არა აღას-

¹⁰⁴ ღმრთისმშობლისა H

¹⁰⁵ თაყუანს-ცემენ FG

¹⁰⁶ შინა მათთა BG

¹⁰⁷ სილვესტროსტუს BGH, სილვესტროსტუს D

¹⁰⁸ კონსტანტინე BDEGH

¹⁰⁹ ეკლესიად CDH

¹¹⁰ თაყუანის-ცემენ DEFG

¹¹¹ სჯულად BFGH

¹¹² მის]-H

¹¹³ შეჩვენებისათა BFH

¹¹⁴ სჭამენ BFG

¹¹⁵ კუერცხსა BFG

¹¹⁶ საჯსენებელსა BDFH

რულეებენ ამით, რამეთუ უცხონი არიან მათგან, არცა ჰრწამს ოქროპირისა ესრეთ მეტყუელისადა, ვითარმედ: „ფრიაღითა კადნიერებითა მდგომარე არიან წმიდანი¹¹⁷ წინაშე ღმრთისა.“

23.(18) რამეთუ მიცვალებასა ღმრთისმშობელისასა და ამაღლებასა პატიოსნისა ჯუარისასა დაღათუ დღესასწაულობენ, არამედ ვითარცა¹¹⁸ მპარაენი, ოღესმე სხუასა ადგილსა გარდაიხდიან და ოღესმე - სხუასა.

24.(19) რამეთუ ვმაგანსმენილობით ქადაგებული მათ¹¹⁹ მიერ მარხვად არაჯგორისადა, რომელი მიიღეს მათ უღმრთოთა¹²⁰ და საძაგელთა მანწკერტს¹²¹ და თეოდოსიპოლის¹²² შეკრებულთა მწვალებელთაგან, რომელნი გამოსქედეს¹²³ მართლმადიდებელთა სარწმუნოებისაგან და დააწესეს ესევეთარი ყოვლად ბილწი მარხვად, მსგავსი არს იეზაბელის მარხვისადა,¹²⁴ რამეთუ მათცა ქადაგეს მარხვად არა სიმართლისა და სიწმიდისა, არამედ დათხევვისა სისხლთადასა მქონებელი და¹²⁵ მიზეზითა მის მარხვისადათა მოკლეს ნაბოთე, რომელსა მრავალთაგან მრავალთა წიგნთა შინა განაქიქებს საღმრთოდ ოქროპირი და იტყუს: „ომ მარხვად, ნაწილი ზაკუვისადა, სახლი ანგაპრებისადა,¹²⁶ საჭურველი სისხლის დამთხველობისადა და საღმრთოდასა რისხვისა აღმძრველი.“ ეგრეთვე მწვალებელთა მათ სომეხთა ეგევეთარივე ქადაგებს მარხვად არა განწმედისათუს, არამედ მართლმადიდებელისა სარწმუნოებისა-

¹¹⁷ წმიდანი]-BFGH

¹¹⁸ ვითარცა]-BFGH

¹¹⁹ მათ]მის D

¹²⁰ უღმრთოთა FG

¹²¹ მანწკერტს BCDEFGH

¹²² თეოდოსიპოლის BFGH

¹²³ გამოსქედეს CDEFGH

¹²⁴ მარხვასა G

¹²⁵ და] +რამეთუ CDEFG

¹²⁶ ანგარებისადა F, ანგაპრებისადა G, ანგაარებისა H

გან¹²⁷ გამოხეტქვისათვის თავთა თვსთამსა, და ესრეთ განამაგრეს და განამტკიცეს იგი, ვიდრემდის ესრეთ ემინის მისგან, ვითარცა რისხვისაგან ღმრთისა. გარნა უკუეთუ ჰკითხო ვისმე მათგანსა ეგევითარისა მის მარხვისათვის, მოგიგნეს შენ მტყუარნი და საძაგელნი სიტყუანი. და უკუეთუ კუალად სხუასა სხუანი რამე გრილნი და შეუწყობელნი და საენებელნი, და ესრეთ არა ურთიერთას¹²⁸ თანამოწამე,¹²⁹ არამედ უფრომსლა წინააღმდგომად¹³⁰ არიან მათისა¹³¹ მის მარხვასათვის. ხოლო დასწერს იგავთა აღმწერელიცა, ვითარმედ: “რომელი ესვიდეს ტყუილთა,¹³² მწყის იგი ქართა და¹³³ ვალს¹³⁴ ადგილსა უდაბნოსა და ურწყულსა და უნაყოფოსა.”

25. (20) რამეთუ ყველიერი, რომელი მოიღეს ქრისტეანეთა წმიდისა სილვესტრომას¹³⁵ და წმიდისა კონსტანტინესაგან¹³⁶ და შემდგომითი შემდგომად ყოველთა წმიდათა მამათაგან და წმიდამან ბასილი¹³⁷ დაამტკიცა და უქცეველ-ჰყო,¹³⁸ ამათ შედგომითა¹³⁹ უღმრთოთა წვალების დასაბამთაათა¹⁴⁰ შეაბილწეს.

26. (21) რამეთუ შეურაცხ-ჰყოფენ საღმრთოსა ჟამისწირვასა და არცა შეიმოსებიან, არცა აქუს¹⁴¹ შესამოსელი წმიდისა

¹²⁷ სარწმუნოებისათვის ACDE

¹²⁸ ურთიერთას CE

¹²⁹ თანამოწამენი CDE, თანამოწამედ FGH

¹³⁰ წინააღმდგომ CH, წინამდგომად FG

¹³¹ მათისა]-BFG

¹³² ტყუილსა BFG

¹³³ და-ვალს ადგილსა უდაბნოსა და ურწყულსა და უნაყოფოსა]-BFG

¹³⁴ ვალს]+ერთსა H

¹³⁵ სილვესტროს BFG, სილვესტროს E, სილვესტროის H

¹³⁶ კონსტანტინესგან BDEFGH

¹³⁷ ვასილი D

¹³⁸ უქცეველ-ყო C, უქცეველ-ყო FGH

¹³⁹ შედგომათა BG, შემდგომთა F

¹⁴⁰ დასაბამთაათა]-BFGH

¹⁴¹ აქუნ FG

ჟამისწირვისაჲ, რომელი კანონითა დააწესა¹⁴² დიდმან სილვესტროს¹⁴³ და ცხად-ყო საიდუმლოჲ მისი თქუმიტა ესრეთ, ვითარმედ: „ფელონისა გარეშემომცველობაჲ ვითარცა ზღუდისაჲ და ყოველთა ასოთა მღღელისათა¹⁴⁴ შინაგან შემაწყუდეველობაჲ დაჰსახავს, ვითარმედ შიშითა ღმრთისაჲთა უვს მას შეყენებაჲ უშინაგანესთა შინა ადგილთა გონებისათა და მუნ ზრახვაჲ ღმრთისაჲ.“ ხოლო იგინი თითოეული თვისითა ტანის სამოსითა,¹⁴⁵ რომლითა მოქალაქობს და იქცევის და შურების, მითვე შევლენ საკურთხეველად. არამედ ეპისკოპოსნიცა მათნი და კუალად მონაზონნიცა, და წინამძღუარნი მონასტერთანი, არა ხოლო,¹⁴⁶ თავდაბურილნი წირვენ, არამედ კუალად სხუათაცა დაიბურვენ ქუდთა და ორითა ქუდითა წირვენ.

27. (22) რამეთუ დიდსა ხუთშაბათსა, საიდუმლოსა სერობასა უფლისა ჩუენისა იესუ¹⁴⁷ ქრისტესსა და დასაბამსა ახლისა აღთქუმისასა, ოდეს-იგი¹⁴⁸ ყოველნი ქრისტეანენი ეზიარებიან, ყოვლად არა აღასრულებენ ესენი, არამედ სრულად უგულებელს-ჰყოფენ.

28. (23) რამეთუ კინლა და ჰურიათასავე ზრახვენ იგინიცა, რაჟამს გარდაიხდიდენ პასექსა აღვსებისასა წელიწდეულითა კრავითა და სცხებენ¹⁴⁹ სისხლსა მისსა წყირთლთა¹⁵⁰ და დასაცველად¹⁵¹ სიწმიდისა თავთა თვსთამს შეჰრაცხდენ¹⁵² მას.

¹⁴² დააწესა]დაამტკიცა BFGH

¹⁴³ სილვესტროს BFG

¹⁴⁴ მღღელისათა BFGH

¹⁴⁵ ტანის სამოსლითა DH

¹⁴⁶ ხოლო]+რამეთუ ADE

¹⁴⁷ იესო H

¹⁴⁸ ოდეს იგინი

¹⁴⁹ სცხებდენ CH

¹⁵⁰ წყირთლთა H

¹⁵¹ დასაცველად] დასათხველად G, დასათხველად H

¹⁵² შეჰრაცხდენ CDE, შერაცხდენ H

გამოყენებული ლიტერატურა

1. „ახალი აღთქმა“, თბ. 2003 წ.
2. „ბიბლია“, თბ. 2001 წ.
3. „დავითნი“, გამომცემლობა „ორთოდოქს კიპსელი“ თესალ-ინიკე (საბერძნეთი). 1993 წ.
4. წმ. იოანე დამასკელი: „მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა“, თბ. 2000 წ.
5. წმ. ეფთვიმე მთაწმინდელი „წინამძღუარი“ თბ. 2007 წ.
6. „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“ (A კოლექციის), ტ. I. თბ. 1973 წ.
7. „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“ (A კოლექცია), ტ. V. თბ. 1955 წ.
8. „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“ (A კოლექცია), ტ. I. თბ. 1980 წ.
9. „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“ (Q კოლექცია), ტ. I. თბ. 1957 წ.
10. „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“ (S კოლექცია), ტ. II. თბ. 1961 წ.
11. „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“ (H კოლექცია), ტ. I. თბ. 1944 წ.
12. საეკლესიო ბიბლიოთეკა ტ. XI. „ეკლესიის ისტორია მსოფლიო კრებების პერიოდში“, თბ. 2009 წ.
13. „მსოფლიო საეკლესიო კრებები“, თბ. 2009 წ.
14. „მსოფლიო საეკლესიო კრებები“. საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა. თბ. 2004 წ.
15. „ძველი ქართული ენის შეერთებული ლექსიკონი“, თბ. 2008 წ.
16. „მართლმადიდებელი ეკლესიის კანონები განმარტებებით“, ტ. I. თბ. 2007 წ.
17. „ანტინესტორიანული ტრაქტატები არსენი ვაჩეს ძის დოგმატიკონში“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბ. 1997 წ.
18. „სპეკალი მართლმადიდებლობისა“, თბ. 2007 წ.

29. (24) რამეთუ შჯულისაებრ ჰურიათაჲსა ჰყოფენ რათმე ესევეთართა საძაგელთა მსხუერპლთა, რამეთუ მოიყვანებენ ვარსა და ვერძსა და შეამკობენ მათ¹⁵³ ლებილითა¹⁵⁴ ძოწეულითა და შორის რქათა მათთა დამოჰკიდებენ ხილსა თითოფერსა, და მიიყვანებენ მათ კართა თანა ეკლესიისათა¹⁵⁵ და პირველად სცხებენ ერბოსა ასოთა მის ხარისათა და ვერძისათა და დაჰკლვენ მათ კართა ზედა¹⁵⁶ ეკლესიისათა,¹⁵⁷ და სახელ-სდებენ მათ სამეუფოდ მსხუერპლად მატალად.

30. (25) რამეთუ უცნობელ და უგულისვმო არიან არა მრწმუნებელნი ამისნი, ვითარმედ სისხლი ქრისტესი დაითხია საცხორებელად¹⁵⁸ სოფლისა, არამედ იტყვან, ვითარმედ: უკუეთუ არა იქმნას დაკლვამ ცხოველისა და დათხევამ სისხლისა ზროხისა ანუ ცხოვარისა, რაჟამს ჰყოფენ¹⁵⁹ ჟამისწირვასა მიცვალებულსასა, არა იქმნებისო განსუენებაჲ სულისა მისისა.

¹⁵³ მათ] მას EGH

¹⁵⁴ ლებულითა H

¹⁵⁵ ეკლესიისათა CEF

¹⁵⁶ ზედა]თანა FGH

¹⁵⁷ ეკლესიისათა CDH, ეკლესიისათა E

¹⁵⁸ საცხოვრებელად DH

¹⁵⁹ ჰყოფდენ C



წმინდა კასიანე რომაელი

თხრობამ წესსა და განგებასა
ეგვიპტისა და აღმოსავლეთისა მონასტერთა
საკრებულოთასა

წინასიტყვა

რეცენზენტები:

ღვთისმეტყველების კანდიდატი, დეკანოზი
მაქსიმე ჭანტურია,

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
გიორგი ალიბეგაშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
მაია რაფაუა

წინამდებარე პუბლიკაცია ეხება IV-V საუკუნეებში მოღვაწე ეკლესიის გამორჩეული მოძღვრის, წმინდა კასიანე რომაელის, შრომის ძველ ქართულ თარგმანს, რომელიც შავ მთაზე მოღვაწე დიდმა ქართველმა ბერმა, წმინდა ეფრემ მცირემ (XI) თარგმნა. თხზულება ასკეტური შინაარსისაა და მოგვითხრობს ეგვიპტისა და სხვა აღმოსავლეთის მონასტრებში არსებული წესებისა და ტრადიციების შესახებ. მისი სრული სათაურია: „წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა კასიანე ჰრომისაჲ, თხრობაჲ წესსა და განგებასა ეგვიპტისა და აღმოსავლეთისა მონასტერთა საკრებულოთასა“.

აღნიშნული თარგმანი შემოგვინახა ცხრა ხელნაწერმა, რომელთაგან უძველესია A 682, XIII-XIVსს.; შემდეგ მოდის: A 196, XVII-XVIIIსს.; A 166, 1710წ.; ქუთ. 80, 1757წ.; S 3639, 1758წ.; A 154, XVIIIსს.; A 362, XVIIIსს.; S 2566, XVIIIსს.; A 400, XIX ს.

ტექსტზე მუშაობისას ძირითად ნუსხად, არქაულობის ნიშნით, ავირჩიეთ A 682 ხელნაწერი, კრიტიკული ტექსტის დასადგენად კი მას შევუდარეთ ოთხი ზემოთ დასახელებული ნუსხა, კერძოდ: A 196, A 154, A 362 და A 400. შედარებამ გვიჩვენა, რომ ნუსხათა შორის არ აღინიშნება შინაარსობრივი სხვაობები, არის რამდენიმე შემთხვევა ფრაზათა და სიტყვათა მეტ-ნაკლებობისა, ასევე, რიგ შემთხვევებში, გვხვდება სიტყვების ვარიანტული ფორმასხვაობები.

გამოცემაში, ტექსტთან ერთად, წარმოვადგენთ გამოკვლევას, სადაც მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, ერთი თავი მიგვეძღვნა ბერმონაზვნობისა და მონასტრული ცხოვრების ისტორიისათვის, რათა წარმოჩენილიყო ის გზა, რამაც განაპირობა მწყობრი ბერმონაზვნური სისტემის ჩამოყალიბება. აქვე მოგვყავს ბიოგრაფიული ცნობები

ავტორის შესახებ, განვიხილავთ თხზულების დაწერის მიზეზსა და დროს, ტექსტის შემცველ ქართულ კრებულებსა და თვით ტექსტის შინაარსს. ასევე შევადგინეთ ტექსტის ამომწურავი ტერმინოლოგიური ლექსიკონი და საკუთარ სახელთა საძიებელი.

ბერმონაზვნობისა და მონასტრული ცხოვრების მოკლე ისტორია

ბერმონაზვნობა თავისი არსებით წმინდა ქრისტიანული მოვლენაა. იგი აღმოცენდა და ჩამოყალიბდა ქრისტიანული ეკლესიის წიაღში. მისი ფორმაცია ეკლესიის დაარსების დღიდან პერიოდულად მიმდინარეობდა. მორწმუნე ქრისტიანთა შორის აღმოჩნდნენ ადამიანები, რომელთა მიზანსწრაფვა ღვთისადმი სრული ერთგულება იყო. მათ უარი თქვეს ამცხოვრებისეულ ფასეულობებზე და მტკიცედ გადაწყვიტეს შესდგომოდნენ ქრისტეს მიერ ნაქადაგებ ცხოვრების წესს. მათმა გარკვეულმა ნაწილმა განიშორა, რაც კი რამ ფასეული გააჩნდა და სიქალწულითა და მაცხოვრებელი მცნებების მორჩილებით მოღვაწეობას შეუდგა. სწორედ ეს სამი პირობა: უპოვარება, ქალწულება და მორჩილება არის მონაზვნობის არსის განმსაზღვრელი. ასეთი მდგომარეობა ერთგვარი საშუალებაა ადამიანისათვის, მთელი არსებით შეუდგეს ღვთისადმი მსახურებას, რაც, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის განწმენდასა და ღვთისადმი შერიგებას ემსახურება.

განდეგილური ცხოვრებისა და ქალწულების გარკვეული წინასახე ძველი აღთქმის პერიოდშიც არსებობდა, მაგალითად, იეფთელის ასულები, რომელთაც უარი განაცხადეს ქორწინებაზე და კიდობნის მსახურება განიზრახეს. ასევე, წინასწარმეტყველებმა ილიამ და ელისემ ქორწინების გარეშე იცხოვრეს იმ დროს, როცა იუდეველებში უქორწინებლობა დანაშაულად მიიჩნეოდა. ქრისტეს შობამდე, ეგვიპტეში მცხოვრებ იუდეველებში ჩამოყალიბდა მიმდინარეობა, ეგრეთწოდებული „თერაპევტებისა“. ამ მიმდინარეობის მამაკაცებს ეწოდებოდათ „თერაპევტები“, ხოლო ქალებს – „თერაპევტიდები“ (იხ. ევსები კესარიელი, „საეკლესიო ისტორია“, თბ. 2007, გვ. 67), რომლებიც ასევე არ ქორწინდებოდნენ, თუმცა, იმ დროისათვის უპირატესობა ქორწინებას ენიჭებოდა.

მონაზვნობის სახეა უფლის წინამორბედი იოანე ნათლისმცემელი, რომელიც უდაბნოში ცხოვრობდა, ტყავის შესამოსლით იმოსებოდა და ბალახეულობით იკვებებოდა. ეკლესიის მამები სწორედ იოანე ნათლისმცემელს მიიჩნევენ განდევნილობის პირველ მაგალითად.

განსაკუთრებული ცხოვრებისა და ღვთის ერთგულების სახეა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი, რომელიც სამი წლის ასაკიდან მიძღვნილი იყო ღვთისადმი. ასევე მონაზვნობის წინასახედ შეიძლება მივიჩნიოთ ანნა წინასწარმეტყველი, ფანოელის ასული (იხ. ლუკ. 2.36-37), რომელიც დაქვრივების შემდეგ, მრავალი წლის განმავლობაში არ განშორებია ტაძარს და დღედაღამ მარხვასა და სულიერ მღვიძარებაში აღასრულებდა ღვთისსათნო ცხოვრებას.

ქრისტიანულ ეკლესიაში ყველა სწავლება წმინდა წერილიდან და წმინდა გარდამოცემიდან იღებს სათავეს, მათ შორის – მონაზვნობაც. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მონაზვნობას სამი ძირითადი პირობა აქვს: უპოვარება, ქალწულება და მორჩილება. ახალ აღთქმაში ამ საკითხებზე სხვადასხვა ადგილას არის საუბარი. ამჯერად მოვიყვანთ თითო მაგალითს: 1) როდესაც ახალგაზრდა ჭაბუკი ჰკითხავს მაცხოვარს: „რამ კეთილი ვქმნე, რამთა მაქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ?“ (მთ. 19.16), იესო ქრისტე უპასუხებს და ყველაზე აღმატებული მსახურებისათვის მოუწოდებს მას: „უკუეთუ გნებავს, რამთა სრულ იყო, წარვედ და განყიდე მონაგები შენი და მიეცე გლახაკთა და გაქუნდეს საუნჯე ცათა შინა და მოვედ და შემომიდეგ მე“ (მთ. 19.21). უპოვარება – ეს ისეთი მდგომარეობაა, რომელიც მეტწილად ათავისუფლებს ადამიანს ამსოფლიური ფიქრებიდან, მას თავისუფალსა და დამოუკიდებელს ხდის, რაც ერთგვარი საშუალება ხდება ღვთისადმი სწრაფვისა. 2) ქალწულობის შესახებ კი მაცხოვარი ბრძანებს: „არიან საჭურისნი, რომელთა გამოისაჭურისნეს თავნი თჳსნი სასუფევლისათჳს ცათაჲსა. რომელი შემძლებელ არს დატ-

ვენად, დაიტყინ“ (მთ. 19.12). 3) მორჩილების მაგალითად გამოდგება მაცხოვრის სიტყვები: „უკუეთუ ვისმე უნდეს სული თჳსი განრინებად, წარიწყმიდოს იგი; და რომელმან წარიწყმიდოს სული თჳსი ჩემთვის, მან პოოს იგი“ (მთ. 16.25). ამ სიტყვებს ფართო გაგება აქვს, მაგრამ, ვფიქრობთ, „სულის წარიწყმედაში“, შესაძლოა, ვიგულისხმოთ საკუთარი ნებით მორჩილების ტვირთვა, რადგანაც საკუთარი სურვილების უგულვებლყოფით მიიღწევა სულის თავისუფლება, რაც სულს ხელს უწყობს ღვთისადმი მარადიული სვლისაკენ.

მაცხოვრის, ხოლო შემდგომში მოციქულების ქადაგებებმა ცხოველყოფელი განვრცობა მყისიერად დაიწყო. ქრისტიანულ თემებში გაჩნდნენ ადამიანები, რომლებიც სიყრმიდანვე ირჩევდნენ ქალწულებას და მთელ ცხოვრებას მარხვასა და ლოცვაში ატარებდნენ. მთელი მათი მოღვაწეობა ღმერთის ერთგულებას ეძღვნებოდა.

ცხოვრების ამგვარი წესით ცხოვრობდნენ თვით მოციქულები. მაგალითად, იაკობი, ხორციელი ძმა უფლისა. იგი დედის წიაღიდანვე მიძღვნილი იყო უფლისადმი. მან ცხოვრების ბოლომდე დაიცვა ქალწულება, არ იხმევდა ღვინოს, ხორცს, ლოცვის დროს გაუთავებელი მუხლთდრეკისაგან გაუხმებული ჰქონდა მუხლისთავები; საეკლესიო გადმოცემით, მოციქული იოანეც ცხოვრების ბოლომდე ქალწულების მატარებელი იყო. წმინდა მამათა მიხედვით, მისი ძმა იაკობიც უქორწინებელი იყო; კორინთელთა მიმართ ეპისტოლეში პავლე მოციქული საკუთარ თავს უწოდებს ქალწულს (იხ. I კორ. 7. 8). მისი მოწაფეები, ტიმოთე და ტიტე, არ დაქორწინდნენ, რათა მთელი არსებით ღვთისმსახურნი ყოფილიყვნენ. მათ თავიანთი მოძღვრისაგან იცოდნენ: „უქორწინებელი იგი ზრუნავს უფლისასა, ვითარ-ძი სათნო-ეყოს უფალსა, ხოლო ქორწინებული იგი ზრუნავს სოფლისასა, ვითარ-ძი სათნო-ეყოს ცოლსა“ (1 კორ. 7.32-33).

პირველ ქრისტიანებს განსაკუთრებული საღმრთო მოშურ-

ნეობა გააჩნდათ. მათი დიდი ნაწილი უარს ამბობდა ქორწინებაზე. ეს მდგომარეობა იქამდეც კი მივიდა, რომ ზოგიერთ მათგანს კანონიერი ქორწინება ცოდვად მიაჩნდა. ხშირ შემთხვევაში არათუ დაუქორწინებლების დაქორწინებას მიიჩნევდნენ დანაშაულად, არამედ დაქორწინებულების განქორწინებასაც კი სავალდებულოდ თვლიდნენ. საჭირო გახდა შუალედური ზღვარის დადება ქალწულებსა და ქორწინებას შორის. საფიქრებელია, რომ მსგავსი ფაქტებით იყო გამოწვეული პავლე მოციქულის მსჯელობა ამ საკითხზე კორინთელთა მიმართ ეპისტოლეში (იხ. 1 კორ. 7). შესაძლოა, ვიფიქროთ, არა მხოლოდ კორინთელ ქრისტიანებს გაუჩნდათ მსგავსი ზრახვები, არამედ ეფესელებსაც, რადგან მოციქული პავლე აქაც ქორწინების მნიშვნელობაზე საუბრობს (იხ. ეფეს. 5.22-33). ამ საკითხს ეხება მოციქულთა მესამე და ორმოცდამეთერთმეტე კანონიც (იხ. „დიდი სჯულისკანონი“, თბ., 1975, გვ. 216; 222).

პირველ საუკუნეში მოღვაწე წმინდანთა ნაწერებშიც არის დადასტურება ღვთის გულისათვის ქალწულებით მცხოვრებთა შესახებ. წმინდა ეგნატე ღმერთშემოსილი (+118წ.) ტარასელთა მიმართ ეპისტოლეში წერს: „რომელნი ქალწულებით ცხოვნდებოდნენ, პატივ-ცემდით მათ, ვითარცა მსხვერპლთა უფლისათა; და ღმრთისმოყვარეთა და პატიოსანთა ქურითა – ვითარცა საკურთხეველთა ღმრთისათა“ (საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ., 1988, გვ.559). ეპისკოპოსი ეგნატე კიდევაც მოუწოდებს ქალწულებით ცხოვრებისაკენ და გარკვეულ წესსაც განუჩინებს მათ. მისი თქმით: „უკუეთუ ვისმე ძალ-ეღვას სიწმიდით დადგრომად, დაადგერინ პატივად ვორცთა უფლისათა. და ნუცა იქადის და ნუცა მალლომს და უკუეთუ იქადოს – წარწყმდა. და უკუეთუ ვისმე განუცხადოს, თვნიერ ეპისკოპოსისა, საიდუმლომ თვისი – განიხრწნა“ (იქვე, გვ. 591). ასევე, სხვა ადგილას ამბობს: „უკუეთუ ვინმე ქალწულებდეს, გინა ილუწიდეს, ნუ მალლომს, რამთა არა წარწყმიდოს სასყიდელი თვისი“ (იქვე, გვ. 569).

ნეტარი იერონიმესა და წმინდა ეპიფანეს უწყებით, კლიმენტი რომაელმა ქალწულებით მცხოვრებ ქრისტიანებს მისწერა ეპისტოლე, სადაც შეჯამებულად იყო საუბარი ქალწულების მნიშვნელობაზე (იხ. Казанский П., История православного монашества на Востоке, ч. I. М. 1854г., ст. 29). წმინდა ეგნატე ღმერთშემოსილის ეპისტოლეებიდან იკვეთება, რომ ქალწულებით მოღვაწენი განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდნენ პირველქრისტიანთა შორის (იქვე, გვ. 29). წმინდა პოლიკარპე მოიხსენიებს მათ, როგორც „ღმრთისადმი შეწირულებს“ და თავის მსჯელობაში კლირიკოსთა შორის აყენებს (იქვე, გვ. 29). მოციქულთა დადგენილებებში კი წერია: „მოღვაწენი ეზიარონ უშუალოდ კლირიკოსთა შემდეგ“ (იქვე, გვ. 30). წმინდა იუსტინე მარტვილი მოგვითხრობს: ვიცი ადამიანები, ორივე სქესის, რომელთაც ადრეული ასაკიდან შეიტკბეს ქრისტიანობა, ახლა კი ისინი სამოცი-სამოცდაათი წლისანი არიან და ქალწულებას ინარჩუნებენ (იქვე, გვ. 30). ათენაგორა ათენელი ამბობს: ქრისტიანებს შორის მრავლად არიან ადამიანები (კაცებიცა და ქალებიც), რომელნიც ღრმა სიბერემდე დარჩნენ უქორწინებლები, რადგან ეს გაცილებით მოხერხებული წესია ღვთის სათნოსაყოფად (იქვე, გვ. 30). მესამე საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწე, ეპისკოპოსი მეთოდი ტვირელი საუბრობს ქალწულების აღმატებულობის შესახებ. იგი აღიბებს ქალწულებას, საოცარსა და დიდებულს უწოდებს მას. მისი თქმით: „ქალწულებით მოღვაწეობა ეს არის სასმელი, რომელიც მოედინება დედამიწაზე, მაგრამ გადმოიღვრება ზეციდან“ (იქვე, გვ. 31). წმინდა გრიგოლ ნეოკესარიელი კი ქალწულებას ანგელოზთა მონათესავედ სახელდება და ამბობს: „ქალწულებაჲ ჭეშმარიტი ანგელოზთა ნათესაობა არს“ (იხ. „სინური მრავალთავი“ თბ. 1959, გვ. 9).

ქალწულებით მცხოვრები პირველქრისტიანები იგივე სულისკვეთებით იყვნენ გამსწავლულნი, როგორითაც შემდეგში ასკეტები. მათი დიდი ნაწილი მთელ საკუთარ ქონებას ყიდ-

და და მოციქულებთან მიჰქონდა, რათა მათ გაენაწილებინათ საჭიროების შესაბამისად. ისინი ძირითადად თავიანთ სახლებში ცხოვრობდნენ, მაგრამ არაიშვიათად გარკვეულ ერთობას ქმნიდნენ. მათი ერთობა შემოიფარგლებოდა გაძლიერებული ლოცვით და ეპისკოპოსის ლოცვა-კურთხევის აღსრულებით. პირველ საეპისკოპოსოებთან სწორედ ასეთი ადამიანები შეიკრიბნენ, რამაც მათი ეკლესიის წიაღში განსაკუთრებული მყოფობა განაპირობა. იყო შემთხვევები, როცა ქალწულებით მცხოვრებნი მარტოვდებოდნენ და ქალაქთან ახლოს გამოქვაბულებში მკვიდრდებოდნენ.

ქრისტიანთა დევნის პერიოდში ბევრმა ქალწულმა საკუთარი სისხლით დაამოწმა ზეციური სიძისადმი (მაცხოვრისადმი) ერთგულება. იმპერატორ დიოკლეთიანეს მიერ წარმოებული დევნისას მათ განსაკუთრებული ერთგულება გამოიჩინეს და მტკიცედ დაიცვეს მაცხოვრებელი აღმსარებლობა. ბევრი მათგანი სულიერი სიხარულით შეეგება მოწამეობრივ გვირგვინს.

მესამე საუკუნემდე ქრისტიანულ ეკლესიას უწყვეტად ამშვენებდა ქალწულებით მცხოვრებთა ღვაწლი. გარე ვითარებების გამო ქრისტიან მოღვაწეებს არ ეძლეოდათ საშუალება, მწყობრი, ორგანიზებული მონასტრული ერთობა ჩამოეყალიბებინათ. რომაული კანონები კრძალავდა დაუქორწინებელ ცხოვრებას (ეს კანონი კონსტანტინე დიდის დროს გაუქმდა). იმავდროულად, იმპერიაში ჩამოყალიბებულ ნებისმიერ ერთობას განსაკუთრებული ეჭვით უყურებდნენ. ეს გარემოებები მნიშვნელოვნად ართულებდა მონაზვნური ცხოვრების სისტემატიზაციას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, იმდროინდელმა მოღვაწეებმა შეძლეს, ქრისტიანულ ეკლესიაში ჩამოეყალიბებინათ განსაკუთრებული ფენა, რომელიც ძირითადად ოჯახური გარემოთი შემოიფარგლებოდა. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ოჯახები მცირე მონასტრები იყო, სადაც ყველა წევრი განსაკუთრებული ღვაწლით აღასრულებდა მაცხოვრებელი

ცხოვრების წესს.

რაც შეეხება განდევილობას, იგი ერთგვარი გაგრძელებაა მოწამეთა ღვაწლისა. რასაც პირველ სამ საუკუნეში აღასრულებდნენ ქრისტეს მარტვილნი, მეოთხე საუკუნეში განდევნილებმა დაასრულეს. ისინი არიან ახალი მოწამეები; როგორც მარტვილთა მაგალითი ამტკიცებდა ქრისტიანებს რწმენაში, ასევე განდევნილთა მოღვაწეობა აღძრავდა რწმენასა და კეთილკრძალულებას მორწმუნეთა შორის. როგორც მოწამეთა სიმტკიცემ დაარღვია წარმართთა სიძლიერე, ისე განდევნილთა ცხოვრების წესმა შემუსრა წარმართთა ბომონები. ისეთი სიმტკიცითა და სიხარულით, როგორითაც მოწამეები ეწამებოდნენ, ვლინდებოდა ქრისტიანული ძლიერება, ხოლო იმ მზადყოფნით, რასაც განდევნილები იჩენდნენ ყოველგვარი ამსოფლიურის უარყოფისათვის, გამოჩნდა ქრისტიანული სწავლების სიღიადე.

მონაზვნობის მტვირთველს განსაკუთრებული სულიერი სიმტკიცე ესაჭიროება. ლოთის ცოლის მსგავსად, მან უკან არ უნდა მიიხედოს, ანუ ამსოფლიურს არ უნდა მიაპყროს ყურადღება და ამქვეყნიურ გულისზრახვებს არ უნდა უერთგულოს. ჭეშმარიტ მოღვაწეს კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ არ უნდა მიეცეს შიშს, განკითხვას, მწუხარებას, არ უნდა გაუჩნდეს შური და სასოწარკვეთა. მას სწამს, რომ ღვთის შეწევნით ყველა ადამიანს შეუძლია მიაღწიოს მადლმოსილ მდგომარეობას; უფალი ბრძანებს: „სასუფეველი ღმრთისა შორის თქვენსა არს“ (ლკ. 17.21). ასევე ყველა ადამიანს მოუწოდებს: „იყვენი თქვენ სრულ, ვითარცა მამა თქუენი ზეცათაჲ სრულ არს“ (მთ. 5.48).

ამ მდგომარეობის მისაღწევად კი საჭიროა საკუთარი ნების ღვთისადმი დამორჩილება. ადამიანში ჩანერგილია სათნოება და სულს მის შესახებ ცოდნა აქვს. გავიხსენოთ სახარებისეული ეპიზოდი, როცა ეშმაკი ევედრება მაცხოვარს, ნება მიეცა ღორებში ჩასახლებულიყო (იხ. მკ. 5.1-13). ამ

თხრობიდან ნათლად ჩანს, რომ ეშმაკს ღორებზეც კი არ აქვს ხელმწიფება, მით უფრო ვერ ექნება ღვთის ხატად შექმნილ ადამიანზე. ადამიანს მხოლოდ თავისი ნებით ძალუძს, დაემორჩილოს უკეთური ძალის მიერ შემოთავაზებულ საცთურთ, მათი თვისებაც და სურვილიც ხომ მხოლოდ ადამიანთა და-ლუპვაა. სახარებაში ასევე ვკითხულობთ: „ესე ნათესავი ვერ შესაძლებელ არს განსვლად, გარნა ლოცვითა და მარხვით“ (მკ. 9.29). ეკლესიის მამათა განმარტებით, „ნათესავში“ დაცემული ძალები იგულისხმება, რომელთაგან თავდასალწევად განდევილმა მოღვაწეებმა გულშემუსვრილი მარხვა, განუწყვეტელი ლოცვა და მოღვაწეობა დაიდეს ცხოვრების წესად. წმინდა იოანე ოქროპირის თქმით, მოღვაწეებმა „ალიძარცუეს ყოველივე საქმე სოფლისაჲ და ჯუარსა აცუნეს თავნი თუსნი და მერმელა უმეტესისა მიმართ რბიან, ვითარცა კეთილად მსრბოლნი მკვდარნი“ (იხ. „თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ“ თბ., 1996, ტ. I, გვ. 144). ლოცვასა და მარხვასთან ერთად მონაზონთა თანამგზავრია ფიზიკური შრომა, რის შესახებაც წმინდა მამა ამბობს: „არა თუ მარხვასა და მღვდარებასა კმაჰყოფენ, არამედ ველთა საქმესაცა ვორცთა თუსთა აჭირობენ, წარაგებენ ღამეთა ლოცვასა შინა და გალობასა და დღეთა ეგრეთვე ლოცვასავე შინა და ველთსაქმარსა, რაჲთა მობაძავე იქმნენ მოქალაქეობასა მის სამოციქულოჲსა“. ხელსაქმე დიდი სარგებლობის მომტანია მოღვაწისთვის, ამით ისინი მოიპოვენ საკუთარ სარჩო-საბადებელს და გასცემენ მოწყალეობას.

რაც შეეხება განდევილობის სისტემურ ჩამოყალიბებასა და პოპულარიზაციას, იგი იწყება მესამე საუკუნის ბოლოსა და მეოთხე საუკუნის დასაწყისში. ეს მოძრაობა უკავშირდება წმინდა ანტონი დიდის პიროვნებას, რომელიც დაიბადა 251 წელს ეგვიპტეში, თებაიდის უდაბნოს მახლობლად მდებარე სოფელ კომაში. მისი მშობლები კეთილმორწმუნე და შეძლებული ადამიანები იყვნენ. მათი გარდაცვალების შემდეგ ანტონს დიდი ქონება დარჩა. სიყრმიდანვე იგი მორწმუნე ქრისტიანი იყო, ძა-

ლიან უყვარდა საეკლესიო მსახურებაზე დასწრება. ერთხელ, მშობელთა გარდაცვალების შემდგომ, როცა ის თავის მცირეწლოვან დასთან ერთად ეკლესიაში იყო, სახარების კითხვისას მოისმინა ის ეპიზოდი, როცა უფალმა მდიდარ ჭაბუკს უთხრა: „უკუეთუ გნებაეს, რაჲთა სრულ იყო, წარვედ და განყიდე მონაგები შენი და მიეცე გლახაკთა და გაქუნდეს საუნჯე ცათა შინა და მოვედ და შემომიდევ მე“ (მთ. 19.21). ეს სიტყვები წმინდა ანტონმა საკუთარ თავზე მიიღო და მტკიცედ გადაწყვიტა, მთელი ცხოვრება უფლისთვის მიეძღვნა. მეორე ფრაზა, რომელმაც ასევე დიდი გავლენა იქონია ანტონის გადაწყვეტილებაზე, განდგომოდა ამსოფლიურ ცხოვრებას, იყო: „ნუ ჰზრუნავ ხვალისათუს, რამეთუ ხვალემან იზრუნოს თავისა თუსისა; კმა არს დღისაჲ მის სიბოროტე თუსი“ (მთ. 6.34). ამ სიტყვებში წმინდანმა დაინახა ღვთის ლოცვა-კურთხევა საკუთარი სურვილებისა და მისწრაფებების აღსასრულებლად.

განდევილური ცხოვრების პირველ წლებს წმინდა ანტონი თავისი სოფლის მახლობლად ატარებდა. ამ დროისათვის ეგვიპტეში უკვე იყვნენ ცნობილი მოსაგრენი, რომელთაგან იგი სულიერ მოღვაწეობას სწავლობდა და მათი სულიერი ზედამხედველობის ქვეშ, მონაზონთა საფუძველთა-საფუძველში – მორჩილებაში განისწავლებოდა.

წმინდა ათანასე ალექსანდრიელის თქმით (მან აღწერა წმინდა ანტონი დიდის ცხოვრება), ანტონი, მსგავსად ბრძენი და დაუღალავი ფუტკარისა, ყველა მხრიდან აგროვებდა სულიერ თავფლს და ასე მდიდრდებოდა გამოცდილებით. იგი ყველა მოღვაწისაგან საუკეთესო თვისებას იღებდა და საკუთარი სულის მშენებლობას ახმარდა.

ამგვარ მოღვაწეობაში ანტონმა თხუთმეტი წელი დაჰყო, შემდეგ კი სოფლიდან უფრო მოშორებით, თავის მოწყობილ სენაკში განაგრძო მოსაგრეობა. მასთან დროდადრო მიდიოდა მისი მეგობარი და მოწაფე, რომელსაც ცოტაოდენი პური მიჰქონდა და წმინდანის ხელსაქმის ნაკეთობას ყიდდა. დიდი

მოღვაწე ყოველთვის საკუთარი ხელით შრომობდა, რადგან მოციქულისგან სმენოდა: „უკუეთუ ვისმე არა უნებს საქმის, ნუცალა ჭამნ“ (II თეს. 3.10). იგი თავისი შემოსავლის ნაწილს გამოსაკვებად იყენებდა, ნაწილს კი მოწყალეების სახით გასცემდა. ძირითადი მისი საქმიანობა ლოცვა და წმინდად ცხოვრება იყო. მისთვის ყოველი დღე ახალი ფურცლით იწყებოდა, იგი ისე იქცეოდა, თითქოს მხოლოდ იმ წამს იწყებდა მონაზვნურ ცხოვრებას. ამით იგი მარადჟამ იმძაფრებდა ღვთისადმი მოშურნეობას. წმინდა ათანასე წერს: „ხოლო იგი არასადა მოიხსენებდა წარსულთა მათ ჟამთა, არამედ დღითი-დღედ, რამეთუ იწყებნ მონაზვნობასა, უფროდსლა სურვილი აქუნდა წარსამატებელად“ (იხ. „მამათა ცხოვრებანი“ თბ.1975, გვ.14).

წმინდა ანტონმა გადაწყვიტა ეგვიპტის შორეულ უდაბნოში გასვლა, სადაც ოცი წელი სრულიად მარტო მოღვაწეობდა. თუ როგორ ცხოვრობდა და რა შეემთხვა მას ამ ოცი წლის განმავლობაში, უცნობია, მაგრამ თუ ვიმსჯელებთ იმის მიხედვით, როგორი გამოვიდა იქიდან, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს იყო სულიწმინდის მიერ მისი სულის გამდიდრებისა და აღორძინების წლები.

მისმა განსაკუთრებულმა ცხოვრების წესმა მრავალ ადამიანს აღუძრა სურვილი, მიეზაძა მისთვის. იგი მონაზვნური ცხოვრების მაგალითად იქცა. მასთან განდეგილობის მსურველები რჩევა-დარიგების მისაღებად მიდიოდნენ. მისმა მოღვაწეობამ ეგვიპტის უდაბნო „უშვენიერეს სამოთხისად ჰყო“, სადაც იხილებოდნენ „ბევრეულნი დასნი ანგელოზთანი კაცობრივითა ამით ვორციითა, კრებულნი მოწამეთანი და სიმრავლენი ქალწულთანი“, მათ დახსნეს ეშმაკის მძლავრება და ქრისტეს მეუფება განაბრწყინეს. იოანე ოქროპირის თქმით: „არა ბრწყინავს ესრეთ ცაჲ სიმრავლითა მით ვარსკულავთაჲთა, ვითარ-იგი უდაბნონი იგი ეგვიპტისანი ბრწყინვენ საყოფელებითა მით მონაზონთაჲთა“ (იხ. „თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ“ თბ., 1996, ტ. I, გვ. 144).

როგორც აღინიშნა, ანტონი დიდმა განსაკუთრებული პოპულარიზება გაუწია განდეგილურ ცხოვრებას, მან, ფაქტობრივად, საფუძველი დაუდო სისტემურ და ორგანიზებულ ბერმონაზვნობას. მისი სწავლებანი თავდაპირველად ზეპირი გზით ვრცელდებოდა მის მოწაფეთა შორის, ხოლო მოგვიანებით ამ სწავლებებმა წერილობითი სახე მიიღო და განდეგილური ცხოვრების წესდებად იქცა, სადაც მოთხრობილია მონაზვნური ცხოვრებისათვის საჭირო ყველა ელემენტის შესახებ. მკვლევარ James E. Goehring-ის თქმით, თვით ანტონზე არანაკლები პოპულარიზება განდეგილურ ცხოვრებას ანტონი დიდის ცხოვრების წერილობითმა გადმოცემამ გაუწია, რომელიც მისივე სულიერმა შვილმა, წმინდა ათანასე ალექსანდრიელმა შეადგინა (დაიწერა 356წ.). მკვლევარი ამბობს: „ანტონის, როგორც ქრისტიანული მონასტიციზმის მამამთავრის სახე უფრო ნაკლებადაა დამოკიდებული ანტონის ისტორიულ მოღვაწეობაზე, ვიდრე „ანტონის ცხოვრების“ სალიტერატურო წარმატებაზე“ (შდრ. The image of Antony as the father of Christian monasticism is dependent less on the historical undertalking of Antony than on the literary success of the Life of Antony. იხ. James E. Goehring, Ascetics, society, and the desert: studies in early Egyptian monasticism, 1999, p.19). იქვე დასძენს: „ანტონის, როგორც ქრისტიანული მონასტიციზმის მამამთავრის სახე არის ნაყოფი ანტონის მხოლოდ შემდგომი წარმარტებისა, რაც, თავის მხრივ, გამრავლდა მისი „ცხოვრების“ წარმატებით“ (შდრ. The image of Antony as the father of Christian monasticism is but a product of Antony's subsequent success multiplied in turn by the success of the Vita. იხ. იქვე, გვ.20). ამ ძეგლმა ფართო გავრცელება პოვა, რომლის მეშვეობითაც როგორც მოღვაწეებისათვის, ისე მოღვაწეობის მსურველთათვის ცნობილი გახდა წმინდა ანტონის ღვთივსულიერი ცხოვრება.

ანტონი დიდი არა მარტო განდეგილური მოღვაწეობის

სათავესთან არის, არამედ მონასტრული ცხოვრების ამ-
ლორძინებლადაც მიიჩნევა, არა პირდაპირი გაგებით, არ-
ამედ იმ ნიშნით, რომ მისი მოწაფეები და მოწაფის მოწა-
ფეები იყვნენ მონასტრული ცხოვრების დამაარსებლები.
კერძოდ, მონასტრული ცხოვრების დაწყება უკავშირდება
წმინდა პახუმი დიდის სახელს, რომელმაც IV ს-ის 40-
იან წლებში, მდინარე ნილოსის სანაპიროსთან, ზემო ეგ-
ვიპტეში, დააარსა პირველი კვინობიალური მონასტერი.
გადმოცემის თანახმად, წმინდა მამას ლოცვისას ეჩვენა
ანგელოზი, რომელმაც უთხრა: „დაემკვიდრე აქ და ააშენე
მონასტერი და შენთან შეიკრიბება მრავალი მოღვაწე“.
ამასთანავე, ანგელოზმა მას გადასცა „კეცი“, რომელზეც
მონასტრული წესები იყო ამოტვიფრული. გამოცხადების
შემდეგ წმინდა პახუმი გულმოდგინედ შეუდგა ღვთისგან
უწყებულის აღსრულებას. იგი იქცა მოღვაწეობის მაგ-
ალითად ძმებისთვის, რომელთა რიცხვმაც 1300-ს მიაღ-
წია. იმავდროულად, დაარსდა სხვა მსგავსი კრებულები,
რომელნიც იგივე წესებით ხელმძღვანელობდნენ. ძველი
გადმოცემის თანახმად, პახუმი დიდმა ანგელოზის გა-
მოცხადების საფუძველზე ეგვიპტურ ენაზე დაწერა მონ-
ასტრული ცხოვრების წეს-განგება, რაც საფუძვლად დაე-
ლო ცხოვრების ამ გამორჩეულ წესს.

წმინდა კასიანე რომაელის შესახებ

ღირსი მამა იოანე კასიანე რომაელი¹ არის განსაკუთრებ-
ული საეკლესიო მოღვაწე. იგი დაიბადა დაახლოებით 360
წელს, რომის პროვინციაში, კერძოდ, მცირე სკვითიაში
(Scythia Minor, ახლანდელი Dobrogea, რუმინეთში).² მისი

¹ წმინდა კასიანე რომაელს ასევე მოიხსენიებენ იოანე კასიანე რომაელად.
² რიგი წყაროებისა წმინდა კასიანეს დაბადების ადგილად ასახელებს
რომს, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ მცირე სკვითია იმ დროისათვის რომის
იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა.

მშობლები წარჩინებული და ცნობილი ადამიანები იყვნენ,
მათი ოჯახი გამოირჩეოდა ქრისტესადმი სიყვარულითა და
კეთილმორწმუნეობით, რამაც ყრმა კასიანეს ქრისტიანული
აღზრდა განაპირობა. იგი იცავდა ქალწულებს, გამოირჩეო-
და სულიერი სიწმინდითა და ღვთივსათნო საქმიანობით. წმინ-
დანმა იმ დროისათვის შესანიშნავი კლასიკური განათლება
მიიღო. ზედმიწევნით ფლობდა ლათინურ და ბერძნულ ენებს.
განსაკუთრებით შეისწავლა ანტიკური პოეზია, რიტორიკა,
ფილოსოფია და ასტრონომია, ამავედროულად, უღრმავდებო-
და წმინდა წერილს. გადმოცემის თანახმად, იგი თავისი გან-
სწავლულობით ერთ-ერთი გამორჩეული იყო თანამედროვეთა
შორის. განსწავლულობა საშუალებას აძლევდა მას შეექმნა
კარგი საერო კარიერა, მაგრამ ღმერთის სიყვარულისთვის
ყოველივე ამსოფლიური უარყო და მონაზვნური ცხოვრება
გადაწყვიტა. ამ მიზნით იგი გაემგზავრა პალესტინაში და
ბეთლემში, მაცხოვრის შობის ადგილის სიახლოვეს მდებარე
მონასტერში, მონაზვნად აღიკვეცა. ის დიდი მოშურნეობით
შეუდგა მონასტრულ ცხოვრებას, მკაცრად მარხულობდა და
უდრტვინველად აღასრულებდა მძიმე მონაზვნურ ღვაწლს,
ხოლო შემდგომ უფრო აღმატებული მოღვაწეობის სურვი-
ლი აღეძრა, რასაც მეუდაბნოება, განმარტოებით ცხოვრება
ჰქვია.

მოღვაწეობიდან გარკვეული დროის შემდეგ მან კურთხ-
ევა გამოითხოვა და მონაზონ გერმანესთან¹ ერთად ეგვიპ-
ტის, თებაიდისა და ნიტრიის, ასევე კაპადოკიისა და პონ-
ტოს მონასტრების მოსანახულებლად გაემგზავრა. მათ ათი
წელი იმოგზაურეს სხვადასხვა მონასტრებში და გაეცნენ მათი
ცხოვრების წესს, შეხვდნენ გამორჩეულ ასკეტებს, რომელთა-

¹ კასიანე რომაელის თქმით, გერმანე მისი სიყრმის მეგობარია, ისინი ერთად
სწავლობდნენ სასწავლებელში, ასევე ერთად იყვნენ სამხედრო სამსახურში,
და ბოლოს, განდევნილურ ცხოვრებაში. იხ. „საეკლესიო ბიბლიოთეკა“ V,
2006, გვ. 125.

განაც იღებდნენ სულიერ საზრდოსა და იზიარებდნენ გამოცდილებას. მათ მონათხრობს იწერდნენ, ზოგსაც ზეპირად იმასსოვრებდნენ, რათა შემდგომში სხვებისთვისაც გადაეცათ ამ დიდ ღვთივსულიერ მოღვაწეთა ნააზრვეი.

იმ დროისათვის ეგვიპტეში გაჩნდა ანთროპომორფისტთა¹ ერეტიკული მოძრაობა. მათ განსაკუთრებულად დაუპირისპირდა ალექსანდრიის მაღალი იერარქია. დაძაბულობამ ხელი შეუშალა მონასტრული ცხოვრების მშვიდობიან რიტმს, რის გამოც კასიანე და გერმანე კონსტანტინეპოლში გამგზავრა, სადაც შეხვდნენ წმინდა იოანე ოქროპირს, რომელმაც კასიანეს დიაკვნად, ხოლო გერმანეს მღვდლად დაასხა ხელი (იხ. Преподобного отца нашего Иоанна Кассиана Римлянина собеседования египетских отцов, Москва, 2003, ст. 6).

405 წლის შემოდგომაზე, როცა იმპერიაში დაიწყო წმინდა იოანე ოქროპირის დევნა, კასიანე და გერმანე წარგზავნილ იქნენ რომში, რათა რომაელ ხელისუფალთაგან წმინდა მღვდელმთავრისათვის დახმარება გამოეთხოვათ. მისიამ შედეგი ვერ გამოიღო, რის შემდეგაც წმინდა კასიანე დარჩა დასავლეთში².

წმინდანს აქ ხელი დაასხეს მღვდლად და მიავლინეს ქალაქ მასალიაში (Massilia, ახლანდელი მარსელი), გალიაში (Gallia Narbonensis ან Gallia Provincia, ახლანდელი ჩრდილო-აღმოსავლეთ საფრანგეთი). იგი გახდა გალიაში ბერმონაზვნობის დამაარსებელი. მან მასალიაში აღმოსავლეთის მონასტერთა მაგალითით დააარსა ორი მონასტერი (დედათა და მამათა). ღირსი მამა ცხოვრების ბოლომდე ამ მხარეში განაგრძობდა მოღვაწეობას და პოპულარიზებას უწევდა ასკეტურ ცხოვრებას. იგი 435 წლის 23 ივლისს გარდაიცვალა და დაკრძალეს

¹ ისინი ასწავლიდნენ, რომ ღმერთი და ადამიანი სხეულებრივად ერთმანეთს გვანან.

² ამის შემდეგ გერმანეს შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება.

მისავე დაარსებულ მამათა მონასტერში. წმინდა ეკლესიაში მისი ხსენების დღე აღინიშნება 29/13 თებერვალს¹.

რაც შეეხება წმინდა მამის წერილობით მემკვიდრეობას, მისი უმრავლესობა ასკეტური შინაარსისაა და ყველა მათგანი დაწერილია გალიაში. ასევე მის კალამს ეკუთვნის ნესტორიანობის საწინააღმდეგო შრომა „ღვთის სიტყვის განკაცება ყოვლადწმინდა ქალწულისაგან“. მის თხზულებას – „გასაუბრება“ – ყველაზე ხშირად კითხულობდნენ დასავლეთში მოღვაწე ბერმონაზვნები. ღირსი მამა ბენედიქტე ნურსელი (V ს.) თავის „კანონებში“ მონაზვნებს განუჩინებს, ყოველ საღამოს წაიკითხონ რაიმე წმინდა კასიანეს სწავლებებიდან (იქვე, გვ.8). ასევე ცნობილი კასიადორი ურჩევდა საძმოს წევრებს, ეკითხათ კასიანეს თხზულებები (იქვე, გვ.8).

კასიანე რომაელის თხზულებებს მაღალი შეფასება ჰქონდა აღმოსავლეთშიც, თვით იოანე კლემაქსი (VIII ს.) მას უწოდებს დიდს და ამბობს, რომ „კასიანე ბრწყინვალე და გან-

¹ ვრცლად კასიანე რომაელის და მისი თხზულებების შესახებ იხილეთ შემდეგი ლიტერატურა: Малков Ю, Сотериология преподобного Иоанна Кассиана Римлянина Альфа и Омега М., 1999, №4. Ст. 108-135; Феодер (Поздеевский), иеромонах, Аскетические воззрения преподобного Иоанна Кассиана, Казань, 1902; Beaudry J. L., Humilite selon Jean Cassien. Montreal, 1967; Chadwick O, John Cassian, Cambridge, 1950; Christophe P., Cassien et Cesaire, Predicateurs de la morale monastique. Gembloux, P., 1969; Cristiani L., Jean Cassian, La spiritualite du Desert: En 2 t. Abbaye Saint Wandrille, 1946; Guy J. C., Jean Cassian, Vie et doctrine spirituelle. P., 1961; Hoch A., Die Lehre des Johannes Cassianus von Natur und Gnade. Ein Beitrag zur Geschichte des Gnadestreites im 5. Jahrhundert. Freiburg I.B., 1895; Laugier J.S., Jean Cassien et sa doctrine sur la grace. Lyon, 1908; Messana V., Poverta e lavoro nella paideia ascetica di Giovanni Cassiano Caltanissetta, 1985; Pricoco S.L Isola dei Santi. It cenobio di Lerino e il origini del monachesimo gellico. Roma, 1978; Prinz F. Frudes Mönchtum im Frankenreich. München, Wien, 1965; Rousseau Ph, Ascetics, Authority and the Church in the Age of Jerome and Cassian, Oxford, 1978; Summa G. Geistliche Unterscheidung bei Johannes Cassian, Würzburg, 1992; Weber H.O. Die Stellung des Johannes Cassianus zur ausserp-achomianischen Mönchstradition, Münster, 1961.

საკუთრებული სიბრძნისმოყვარეა“ (იქვე, გვ.9). წმინდა ფოტი კონსტანტინეპოლელი (IX ს.) კი კასიანეს სწავლებებს განსაკუთრებულსა და აუცილებელს უწოდებს მათთვის, ვინც ასკეტური ცხოვრება აირჩია (იქვე, გვ.9).

ქართველი მკითხველისათვის ღირსი კასიანეს სწავლებები ხელმისაწვდომი გახდა მეთერთმეტე საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც ექვთიმე მთაწმინდელმა თარგმნა წმინდა მამის „რვათა მათ გულისსიტყუათათს ბოროტთა“, შემდეგ მისი ორი თხზულება თარგმნა წმინდა ეფრემ მცირემ.

აქვე შევეხებით ერთ საკითხს, კერძოდ, წმინდა ეკლესიაში ღირს მამა კასიანე რომაელს ევედრებიან აზროვნების, კეთილგონიერების მადლის მოსახვეჭად.

თხზულების დაწერის მიზეზი და დრო

როგორც ცნობილია, დასავლეთის ეკლესიაში მწყობრი ბერმონაზვნური ცხოვრება უფრო მოგვიანო პერიოდს უკავშირდება, ვიდრე ეს მოხდა აღმოსავლეთში. წმინდა კასიანე რომაელის მოღვაწეობისას დასავლეთში ჯერ კიდევ არ არის სრულად ჩამოყალიბებული მონასტრული წესდებები. შეიძლება ითქვას, რომ ეს პროცესი წმინდა მამის მოღვაწეობის თანადროულია. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, გალიაში, კერძოდ, მასალიაში, წმინდა კასიანემ დააარსა პირველი მონასტრები. მსგავსად ამისა, იმ დროინდელი დასავლეთელი საეკლესიო მოღვაწეები პოპულარიზებას უწევდნენ მონაზვნურ ცხოვრებას და სხვადასხვა მხარეში კვინობებს, იგივე მონასტრებს, აარსებდნენ. ყოველი ასეთი საკრებულოს გაჩენა თავისთავად მოითხოვდა ჩამოყალიბებულ წესდებას. აქედან გამომდინარე, ლათინი მოღვაწეები ცდილობდნენ, გაცნობოდნენ აღმოსავლეთში მოღვაწე ბერმონაზონთა გამოცდილებას, მათ მიერ ჩამოყალიბებულ მონასტრულ ტრადიციებს და ამ ცოდნის

გათვალისწინებით თავიანთი მონასტრების მოწყობას¹.

სწორედ ამგვარი მიზანდასახულობით ეპისკოპოსმა კასტორმა², რომელმაც ახლად დააარსა მონასტერი, თხოვნით მიმართა წმინდა კასიანეს, რომ მიეწერა მისთვის აღმოსავლეთისა და, განსაკუთრებით, ეგვიპტის მონასტრების წეს-განგებანი, ვინაიდან იცოდა, რომ იგი კარგად იცნობდა იქაურ წეს-ჩვეულებებს. ყოველივე ამის შესახებ ინფორმაციას თვით თხზულების შესავალი გვაწვდის, სადაც ნათქვამია: „ვინამთგან უკუე გებრძანა ჩემდა, სანატრელო მამაო კასტორ, უწყებად შენდა კანონსა და წესსა საკრებულოთა აღმოსავლეთისა და უფროასლა ეგვიპტისა მონასტერთასა, რომელთა თუალითმხილველ ვიქმენ, ამისთუსცა მორჩილ ვექმენ ბრძანებასა თქვენსა და ესე შემოკლებულითა და მცირითა სიტყვთა აღწერილი წარმოვეც თქუენდა, რაათა აქუნდენ მიზეზად და მომატყუებელად სათნობისა ღმრთივშეკრებულთა მაგათ ახალსა მაგას მონასტერსა შენსა ნეტართა მათ წმიდათა კაცთა კანონნი და მოლუაწებანი“.

რაც შეეხება თხზულების დაწერის დროს, ამ საკითხის შესახებ ზუსტი მითითება არ მოგვეპოვება, მაგრამ ცნობილია, რომ წმინდა კასიანე თავის ყველა შრომას წერდა გალიაში, ანუ ეს ის პერიოდი, როცა იგი მღვდელმსახ-

¹ მსგავსი მიდგომა ქართულ სინამდვილეშიც არსებობს. კერძოდ, წმინდა გრიგოლ ხანძთელი იხილავს რა თავის მონასტრებში მაღალსულიერებას, ამბობს: „წეს არს წესი საღმრთო საეკლესიო ეკლესიასა შინა ჩემსა დაწესებად ბრძენთაგან განუკითხველი“. ამ მიზნით იგი კონსტანტინეპოლის და საბერძნეთის სხვა წმინდა ადგილების მოსანახულებლად გაემგზავრა, ხოლო იერუსალიმში მიმავალ თავის მეგობარს საბაწმინდის წესის დაწერა და ჩამოტანა სთხოვა. იხ. „ქართული მწერლობა“ ტ. I, გვ. 548.

² ეს იგივე კასტორ ეპისკოპოსია, რომელსაც წმინდა კასიანე რომაელმა მისწერა „ბოროტების რვა გულისზრახვის შესახებ“, თხზულების შესავალში წერია: „ისევე, როგორც თავდაპირველად, კვინობთა განაწესის შესახებ სიტყვის შეწყობისას, ამჯერადაც თქვენს ლოცვებს მინდობილნი შეუუდექით ბოროტების რვა გულისზრახვის შესახებ წერას...“ იხ. „საეკლესიო ბიბლიოთეკა“ V, თბ., 2006, გვ. 96.

ურად იქნა განწყობილი ამ მხარეში. ეს კი მოხდა მისი კონსტანტინეპოლიდან დაბრუნების შემდეგ, დაახლოებით 406 წელს. გამომდინარე აქედან, უნდა ვივარაუდოთ, რომ თხზულება დაწერილია 406-435 წლებს შორის.

ტექსტის შემცველი ქართული ხელნაწერებისა და მთარგმნელის შესახებ

როგორც ზემოთაღნიშნულთა მიხედვით, წმინდა კასიანე რომაელის თხზულება – „თხრობაა წესსა და განგებასა ეგვიპტისა და აღმოსავლეთისა მონასტერთა საკრებულოთასა“ – შემოგვინახა ცხრა ხელნაწერმა: A 682, XIII-XIVსს.; A 196, XVII-XVIIIსს.; A 166, 1710წ.; ქუთ. 80, 1757წ.; S 3639, 1758წ.; A 154, XVIIIსს.; A 362, XVIIIსს.; S 2566, XVIIIსს.; A 400, XIX ს¹. ჩამოთვლილი კრებულები ყველა ასკეტური შინაარსისაა და ძირითადად ერთი და იმავე ტექსტებს შეიცავს, მათი უმრავლესობა კი ნათარგმნია წმინდა ეფრემ მცირის მიერ. მოკლედ შევეხებით თითოეულ მათგანს:

1) A 682, XIII-XIVსს – შესრულებულია ნუსხურით, ეკუთვნოდა გელათის მონასტერს, შეიცავს: პალადი ჰელენეპოლელის „ლაესაიკონს“ (გამოქვეყნებულია ქეთევან მამასახლისის მიერ, იხ. „საეკლესიო ბიბლიოთეკა“ XIV, თბ., 2011); კასიანე რომაელის „თხრობაა წესსა და განგებასა ეგვიპტისა და აღმოსავლეთისა მონასტერთა საკრებულოთასა“; ასევე კასიანე რომაე-

¹ აღვნიშნავთ, რომ თ. ბრეგაძე ჩამოთვლილ ნუსხებს უმატებს კიდევ ერთს, S 5160 ხელნაწერს (იხ. „ეფრემ მცირის ნათარგმნი ძეგლები“, მრავალთავი I, 1971. გვ. 454), რაც სიმართლეს არ შეესაბამება, ამ ხელნაწერში მხოლოდ პალადი ჰელენეპოლელის „ლაესაიკონია“ დაცულია. (იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, VII, 1973). ასევე ე. გაბიაშვილი, ჩამოთვლილ ნუსხებს უმატებს A 1101-ხელნაწერს (იხ. ე. გაბიაშვილი, „ქართული ნათარგმნი ასკეტიკა და მისტიკა, თბ., 2006, გვ. 141), რაც ასევე შეცდომაა. ამ კრებულში შედის მხოლოდ ექვთიმე ათონელის მიერ ნათარგმნი ძეგლები, მათ შორის – კასიანე რომაელის „რვათა მათ გულისსიტყუათათს ბოროტთა“.

ლის „მიწერილი ლეონტის მიმართ მოქალაქობისათს წმიდათა მამათა სკიტისათა“¹; თეოდორიტი კვირელის „ღმრთისმოყუარებითი თხრობაა გინა თუ მოლუაწეთა მოქალაქობაა“²; მისივე: „სიტყუაა საღმრთოთასა სიყვარულისათს“, „ცხორებაა და მოქალაქობაა წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა ტიმოთე საკრველთმოქმედისა“, „ცხორებაა და მოქალაქობაა წმიდისა მამისა ჩუენისა თეოდორესი, რომელი პირველად მოლუაწობითა განბრწყინდა დიდსა შინა ლავრასა წმიდისა საბაძსა და მერმე მთავარეპისკოპოს იქმნა ქალაქსა მას ედესელთასა, აღწერილი ბასილის მიერ, დისწულისა მისისა, და ემესელ ეპისკოპოსისა“ და „ცხორებაა და მოქალაქობაა და ლუაწლი წმიდისა მამისა ჩუენისა ათინოგენი მღვდელმოწამისა“.

2) A 196, XVII-XVIIIსს. – შესრულებულია ნუსხურით, გადამწერი ბესარიონ ორბელიშვილი, ეკუთვნოდა მრავალმთის იოანე ნათლისმცემლის უდაბნოს. შეიცავს: ეფრემ ასურის „ასკეტიკონს“, ეგრეთ წოდებულ „ეფრემ პირველსა“ და „ეფრემ მეორეს“, პალადი ჰელენეპოლელის „ლაესაიკონს“, კასიანე რომაელის „თხრობაა წესსა და განგებასა ეგვიპტისა და აღმოსავლეთის მონასტერთა საკრებულოთასა“, მისივე, „თქუმული რვათა მათ გულისსიტყუათათს ბოროტთა“ და კვლავ კასიანეს „მიწერილი ლეონტის მიმართ მოქალაქობისათს წმიდათა მამათა სკიტისათა“.³

¹ ამ თხზულების ბოლოს, ხელნაწერის 91-ე გვერდზე, არის მინაწერი: „აქა სრულ-იქმნა ლავსაიკონი“. ეს მინაწერი აშკარად შეცდომას შეიცავს, რადგან კასიანე რომაელის ეს ორი თხზულება ვერანაირად ვერ იქნება „ლაესაიკონის“ შემადგენლობაში, რადგან იგი არ არის კრებული, სადაც შესულია სხვადასხვა ავტორის თხზულებები, არამედ ის არის ერთი წიგნი და ჰყავს კონკრეტული ერთი ავტორი – პალადი ჰელენეპოლელი.

² თ. ჟორდანის მიერ შედგენილ აღწერილობაში მხოლოდ ეს ოთხი თხზულებაა მითითებული (დღეისათვის A ფონდის ამ ნაწილის სხვა აღწერილობა არ არსებობს).

³ ბოლოს აღნიშნული ორი თხზულების ახალქართული თარგმანი, ძველი ბერძნულიდან გადმოიღო ედიშერ ჭელიძემ. იხ. „საეკლესიო ბიბლიოთეკა“, V, თბ. 2006, გვ. 95-144.

3) A 166, 1710 წელი, ნუსხური, გადაწერილია დოდო გარეჯელის მონასტერში, ხუცეს-მონაზონ ნიკოლოზ ჯორჯაძის მიერ, რომელსაც შეუწირავს იგი ამავე მონასტრის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ეკლესიისათვის. შეიცავს იმავე თხზულებებს, რასაც A 196, გარდა ერთისა, კერძოდ, კასიანე რომაელის „მიწერილი ლეონტის მიმართ მოქალაქობისათვის წმიდათა მამათა სკიტისათა“.

4) ქუთ. 80, 1757 წელი, ნუსხური, არქიმანდრიტ გერმანე წინამძღვრიშვილის დაკვეთით გადაუწერია სიონის დეკანოზ ნიკოლოზს, ინახებოდა ხონის წმინდა გიორგის ეკლესიაში. შეიცავს იმავე თხზულებებს, რასაც A 196.

5) S 3639, მხედრული, გადაწერილია არქიმანდრიტ გალიელის მიერ 1758 წლის სექტემბერში, შეიცავს იმავე თხზულებებს, რასაც A 196, გარდა ეფრემ ასურის „ასკეტიკონისა“.

6) A 154, XVIII ს. შესრულებულია ნუსხურით, გიორგი ერისთავის ძის, არქიმანდრიტ რომანოზის დაკვეთით კრებული გადაუწერია ვინმე პავლეს („მწერალი საფასითა“) და შეუწირავს დავით გარეჯის მონასტრისათვის. შეიცავს იმავე თხზულებებს, რასაც A 196.

7) A 362, XVIII ს. გადაწერილია ნუსხურით ვინმე გაბრიელის მიერ. ეკუთვნოდა ქვათახევის მონასტერს. შედგენილობა იგივეა, რაც A 196-სი.

8) S 2566, XVIII ს, შესრულებულია ნუსხურით, შეიცავს პალადი ჰელენეპოლელის „ლავსაიკონს“, კასიანე რომაელის ორ თხზულებას: „თხრობა წესსა და განგებასა ეგვიპტისა და აღმოსავლეთისა მონასტერთა საკრებულოთასა“ და „მიწერილი ლეონტის მიმართ მოქალაქობისათვის წმიდათა მამათა სკიტისათა“, ასევე „ცხორება და მოქალაქობა წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა ტიმოთე საკრველთმოქმედისა“ (გამოქვეყნებულია კ. კეკელიძის მიერ, იხ. „ენიმიკის მოამბე“, VII, თბ., 1940წ., გვ. 9-150), „ცხორება და მოქალაქობა წმიდისა მამისა ჩუენისა თეოდორესი, რომელი

პირველად მოლუაწობითა განბრწყინდა დიდსა შინა ლავრასა წმიდისა საბაძსა და მერმე მთავარეპისკოპოს იქმნა ქალაქსა მას ედესელთასა, აღწერილი ბასილის მიერ, დისწულისა მისისა და ემესელ ეპისკოპოსისა“.

9) A 400, XIX ს. გადაწერილია მხედრულით გაბრიელ ბერის მიერ, რომელსაც ხელნაწერი უჩუქებია არაგვის ერისთავის ასულ ანნასთვის, ხოლო ანნას კრებული შეუწირავს „მღვათების“ ეკლესიისათვის. შეიცავს პალადი ჰელენეპოლელის „ლავსაიკონს“, კასიანე რომაელის სამსავე თხზულებას, რომელიც შედის A 196-ში, ასევე შედის „გამოჩინებისათვის მელქისედეკისა“ და აპოკრიფული შინაარსის კითხვა-მიგებანი.

ჩამოთვლილ კრებულებში სულ შედის თერთმეტი თხზულება. სამეცნიერო ლიტერატურაში მათგან ორის, კასიანე რომაელის „თქუმული რვათა მათ გულისსიღყუათათს ბოროტთა“ და „გამოჩინებისათვის მელქისედეკისა“, მთარგმნელად მიჩნეულია წმინდა ექვთიმე ათონელი, სამი თხზულების მთარგმნელი დღეისათვის არ არის ცნობილი, ესენია: „ცხორება და მოქალაქობა წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა ტიმოთე საკრველთმოქმედისა“¹, „ცხორება და მოქალაქობა და ლუაწლი წმიდისა მამისა ჩუენისა ათინოგე მღვდელმოწამისა“ და აპოკრიფული შინაარსის კითხვა-მიგებანი, ხოლო დანარჩენი ექვსის თარგმნა მიეწერება წმინდა ეფრემ მცირეს. მათ შორის ჩვენთვის საინტერესოა კასიანე რომაელის „თხრობა წესსა და განგებასა ეგვიპტისა და აღმოსავლეთისა მონასტერთა საკრებულოთასა“. აღნიშნულ თხზულებას ეფრემის თარგმანად ასახელებს კ. კეკელიძე თავის „უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში“ (იხ. „ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, V, გვ. 86, იმავეს იმეორებს „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში, ტ. I, გვ. 260). ასევე მკვლევარი თ. ბრეგაძე თხზულების თარგმანს მია-

¹ კ. კეკელიძის თქმით, ეს ძველი ნათარგმნი უნდა იყოს X ს. (იხ. „ენიმიკის მოამბე“, VII, თბ. 1940).

კუთვნებს წმინდა ეფრემ მცირეს (იხ. „ეფრემ მცირის მიერ ნათარგმნი ძეგლები“, მრავალთავი I, 1971., გვ. 454).

აქვე შევეხებით ერთ საკითხს, კერძოდ, კ. კეკელიძე თავის შრომაში – „უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში“ – წერს, რომ კასიანე რომაელის ორი თხზულება „თხრობაჲ წესსა და განგებასა ეგვიპტისა და აღმოსავლეთისა მონასტერთა საკრებულოთასა“ და „თქუმული რვათა მათ გულისსიტყუათათჳს ბოროტთა ...“ დედანში შეადგენს ერთს და შედგება 12 წიგნისაგან, რომელთაგან პირველი ოთხი ეფრემს უთარგმნია, ხოლო დანარჩენი რვა – ექვთიმეს (იხ. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. V. გვ. 86). მაგრამ, ვფიქრობთ, აქ „დედანში“ ვერ ვიგულისხმებთ წმინდა კასიანეს ხელიდან ერთ წიგნად გამოსულს, რადგან „რვათა მათ გულისსიტყუათათჳს ბოროტთას“ შესავალში აშკარად ჩანს, რომ წმინდა მამას მონასტერთა შესახებ თხრობა უკვე დაწერილი აქვს და შემდეგ იწყებს „რვათა გულისსიტყუათათჳს“ წერას (იხ. „საეკლესიო ბიბლიოთეკა“ V, თბ., 2006წ, გვ. 96).

შესაძლოა, ამ ორი თხზულების ერთ წიგნად გაერთიანება აიხსნას ერთი და იმავე ადრესატით, ორივე მათგანი მიწერილია კასტორ ეპისკოპოსისადმი.

თხზულების საღვთისმეტყველო რაობა

წმინდა კასიანე რომაელი თავის თხზულებაში სხვადასხვა საღვთისმეტყველო საკითხს ეხება. ტექსტი პირობითად შეიძლება ორ ნაწილად გაიყოს. პირველ ნაწილში გადმოცემულია აღმოსავლეთის მონასტრებში არსებული წესები და ტრადიციები, ხოლო მეორე ნაწილში მოთხრობილია ერთ-ერთი მონასტრის წინამძღვრის, ბერ პინუფიოსის საუბარი, რაც არის დარიგება მონასტერში ახალმიღებული წევრისადმი და ეხება

იმ სულიერ საკითხებს, რაც აუცილებელია მონაზვნისათვის წარმატების მისაღწევად.

ქვემოთ შევეცდებით თემატურად წარმოვადგინოთ ტექსტში არსებული საღვთისმეტყველო საკითხები:

1. მონასტრული ღოცვის შესახებ

ავტორი თავდაპირველად მსჯელობას იწყებს მონასტრული ღოცვის შესახებ, რადგან ღოცვაა „მიზეზი ყოველთა კეთილთაჲ“. მისი თქმით, ეგვიპტისა და თებაიდის მონასტრებში როცა საძმო შეიკრიბებოდა ღოცვისათვის, ფსალმუნთა კითხვის დასრულების შემდეგ, მეყსეულად არ იწყებდნენ მუხლმოდრეკას, არამედ მცირე დროით დადგებოდნენ ხელგანპყრობილნი და ისე ღოცულობდნენ. მხოლოდ ამის შემდეგ იწყებდნენ მუხლდრეკას, ყველა მათგანი სინქრონულად აღასრულებდა რა მეტანიას, კვლავ ხელგანპყრობილი „სულთქუმით ვედრებას“ სწირავდა შემოქმედს. არც ერთი მათგანი იკადრებდა მოდრეკას ან ადგომას მასზე ადრე, „რომელი იგი ღოცვათა დაჰბეჭდვიდა“. მათ შორის ისეთი სიჩუმე სუფევდა, თითქოს იქ არავინ იყო. ღოცვისას არავინ მისცემდა თავს დახველების, მოწყენილად დგომის ან თვლების უფლებას. მონასტრის წევრები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ღოცვის კეთილზმოვანებით და გონებით წარმოთქმას, რადგან ვინც განბნეული გონებით და „განტევებული“ ხმით ღოცულობს, ორ ცოდვას ჩადის. ერთი, როგორც „უდები“ ღოცულობს, ხოლო მეორე, მსმენელთა გონებას გაფანტავს და ხელს უშლის ღოცვით განწყობას. წმინდა კასიანეს თქმით, მსგავსი მკითხველები ეშმაკის თანაშემწენი ხდებიან, რადგან ბოროტიც ყოველმხრივ ცდილობს მლოცველთა ყურადღების გაფანტვას. არსებობდა რა მონასტრებში ეს ცოდნა, მამები ფსალმუნთა გალობას უმფოთველად და სინქარის გარეშე აღასრულებდნენ. უმჯობესად

თვლიდნენ ათი მუხლი წარმოეთქვათ შემოკრებილი გონებით, ვიდრე მთელი ფსალმუნთა წიგნი – განბნეული გონებით. ამით ისინი პავლე მოციქულის სიტყვებს აღასრულებდნენ, რომელიც ამბობს: „ვგალობდე თუ სულითა, ვგალობდე გონებითაცა“ (I კორ. 14.5). ერთობლივი ლოცვის დასრულების შემდეგ, არავინ საუბრობდა ერთმანეთში, არამედ თავიანთ სენაკებში ბრუნდებოდნენ და საკუთარ ლოცვით კანონს ან ხელსაქმის მორჩილებას აღასრულებდნენ, ხოლო როცა, საჭიროებიდან გამომდინარე, ერთად უწევდათ მორჩილების შესრულება, ყოველგვარი საუბრის გარეშე, შინაგანი ლოცვით აღასრულებდნენ მას.

ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ შუამდინარეთის, პალესტინის, კაპადოკიისა და აღმოსავლეთის ყველა მონასტერში საზოგადო ლოცვა დღის განსაზღვრულ პერიოდებში აღესრულებოდა. საკრებულოს წევრს, რომელიც მესამე, მეექვსე და მეცხრე ჟამის მსახურებაზე პირველი ფსალმუნის წაკითხვამდე არ შევიდოდა ტაძარში, შემდეგ ეკრძალებოდა შიგნით შესვლა. დაგვიანებული საძმოს წევრი დადგებოდა ტაძრის კართან და საკუთარი უძებებისათვის ყველა გამოსვლელისაგან მუხლმოყრით შენდობას ითხოვდა. ღამის ლოცვისას კი მეორე ფსალმუნის აღსრულებამდე შეეძლოთ დაგვიანება, ხოლო მის შემდეგ მისულნი ზემოთ ნახსენები წესით განკანონდებოდნენ.

2. მონასტერში მიღების წესი

ლოცვის შესახებ მსჯელობის შემდეგ წმინდა კასიანე იწყებს თხრობას, თუ როგორი წესი იყო მონასტრებში ახალმოსული წევრის მისაღებად. წმინდა მამის თქმით, როცა მონასტერში მონაზვნობის მსურველი მოვიდოდა, თავდაპირველად არ შეჰყავდათ მონასტრის საძმოში. ჯერ კარგად გამოცდიდნენ მის ღვთისადმი მსახურების სურვილს, ასევე ცდიდნენ მას სიმდაბლეში, მოთმინებასა და მორჩილებაში. ახალ წევრს

მოეთხოვებოდა ყოველგვარი პირადი ქონებისაგან განთავისუფლება, რადგან, მონასტრული გამოცდილების მიხედვით, საკუთარი ქონების განშორების გარეშე მოღვაწე ვერ შესძლებს ხანგრძლივი დროით მორჩილებაში ყოფნას, ვერ დაითმენს სიგლახაკეს და „ძვრისხილვასა საკრებულომასასა“. გაჭირვების ან უკეთური აზრების მოძალებისას, მისი ეს ქონება „შორად განაგდებს მას კრებულისაგან, ვითარცა შურდული ქვასა“.

ამ საცთურიდან თავის დაღწევის მიზნით, მონაზვნობის მსურველს ჩამოართმევდნენ პირად ნივთებს, მათ შორის შესამოსელსა და ფეხსაცმელს, რის შემდეგაც წინამძღვრისა და სულიერი მოძღვრის მიერ შეიმოსებოდა მონასტრის წესების შესაბამისად. ამით ახალმოსულს ეუწყებოდა, რომ ყოველგვარი ამსოფლიურის წილ „ქრისტეს სიგლახაკე შეიმოსა“. ხოლო მის შესამოსელს მონასტრის იკონომოსი მრავალი წლის განმავლობაში ინახავდა. თუ მოღვაწე გამოიჩინდა მონაზვნისთვის შესაფერის თვისებებს, მას იღებდნენ საძმოს წევრად, წინააღმდეგ შემთხვევაში კი უბრუნებდნენ საკუთარ ნივთებს და უშვებდნენ მონასტრიდან.

კრებულში მიღებულს თავიდანვე არ განუჩინებდნენ მონასტრის წევრებთან ერთად ცხოვრებას, არამედ მას ერთი წლის განმავლობაში უცხოთმსახურების მორჩილებაში ამყოფებდნენ. ამით სიმდაბლესა და სულგრძელებაში განსწავლიდნენ, მხოლოდ ამის შემდეგ შეუერთებდნენ მას ძმათა კრებულს და მიუჩინდნენ გამოცდილ ბერს, რომელიც ასწავლიდა, „თუ რომლისა გზისა დაწყებითა შემძლებელ არს მიწევნად სისრულესა სათნოებათასა“.

3. მონაზონთა განსწავლა და ცხოვრების წესი

დამწყებ მონაზვნებს, უპირველესად, მორჩილებასა და საკუთარი ნების უარყოფას ასწავლიდნენ. ამ მიზნით, სულიერი წინამძღვრები ისეთ კურთხევებს აძლევდნენ, რაც ეწინააღმ-

დეგებოდა მათ სურვილებსა და გულისთქმებს. მამათა სწავლებით, არავის დაუმარცხებია საკუთარი ვნებები მწუხარებისა და რისხვის დათმენის გარეშე, ასევე არავის მოუპოვებია ჭეშმარიტი სიმდაბლე, არც საკრებულოში აღუსრულებია წმინდა ცხოვრება, თუ არა, პირველ ყოვლისა, „მორჩილებით მოკუდეს ნებისაგან თვისა“.

ასევე, პირველ რიგში, მოღვაწეს საკუთარ გულისთქმათა მოძღვრის წინაშე დაუფარავ აღიარებას ასწავლიდნენ. ეწვეოდნენ რა ვნებიანი აზრები, მყისიერად უნდა მოეთხროთ სულიერი მამისათვის. მონასტრული ცოდნის მიხედვით, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში არის შესაძლებელი ჯერ კიდევ გამოუცდელი მოღვაწის მიერ ეშმაკის მანქანებისაგან თავის დაღწევა. მამათა გადმოცემით, ბოროტი ცდილობს, დაარწმუნოს მორჩილებაში მყოფი, რომ საკმარისია მხოლოდ იმის აღიარება მოძღვართან, რაც შეემთხვევა, სინამდვილეში კი გულისთქმათა აღიარებაც უმნიშვნელოვანესია, რათა შედგეს სრული აღსარება.

ჭეშმარიტ მორჩილებს განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდათ სულიერი წინამძღვრებისადმი, მათი ნებართვის გარეშე სენაკიდანაც კი არ გადიოდნენ, ყოველივე მათ მიერ თქმულს ისე აღიქვამდნენ, „ვითარცა პირისაგან ღმრთისა სმენილსა“.

ყოველ მოღვაწეს სენაკში საკუთარი კანონი გააჩნდა, როგორც ლოცვის, ასევე ხელსაქმისა, მაგრამ როგორც კი მოუწოდებდნენ მათ „ზოგადისათვის ლოცვისა“, ან რაიმე საქმისთვის, წამიერად მიატოვებდნენ საკუთარ სენაკს და საერთო მორჩილების აღსასრულებლად მიისწრაფვოდნენ. მონასტრის წევრებს პირადი არაფერი გააჩნდათ, გარდა „შესამოსელი იგი მოკლე და გარეშემოსასხმელი და სანდალნი და ხალენი და ჭილი“. მათთვის უცხო იყო სიტყვები: „წიგნი ჩემი, წერილი ჩემი, დაფა ჩემი“ და ა. შ., არამედ ყოველივე საერთო იყო, რაც კი მცირე რამ გააჩნდათ. თითოეული მათგანი გულ-

მოდგინედ შრომობდა, ისინი არა მარტო საკუთარ სარჩოსაბადებელს მოიპოვებდნენ, არამედ მათი ნაღვაწის დიდ ნაწილს მოიხმარებდნენ „სამსახურებელად უცხოთა და საზრდელად გლახაკთა“. იმ შემთხვევაში, როცა საძმოს რომელიმე წევრი დააზიანებდა მონასტრის რაიმე ნივთს, წინამძღვრის წინაშე სინანულით აღიარებდა საკუთარ ცდომილებას და ასე მიიღებდა მისგან შენდობას. ხოლო ის, ვინც იზარმაცებდა, ან მონასტრის წესდებას დაარღვევდა, მყისვე განკანონდებოდა და საძმოს ეკლესიაში შეკრებისას „დააგდებს თავსა თვისსა ქუეყანასა ზედა და შენდობასა ითხოვს თვისსა ცთომილებისასა“. განსაკუთრებულ განკანონებას კი ექვემდებარებოდა ის, ვინც ვინმეს შეურაცხყოფდა, ან კურთხევის გარეშე გავიდოდა მონასტრიდან, ასევე მკაცრ სასჯელს განუჩინებდნენ „დედათა მიმართ“ მოსაუბრეთ და „საზრდელისა იდუმალ“ მიმღებთ. ხოლო ვინც სასჯელის შემდეგ იმავე დანაშაულს გაიმეორებდა, უშვებდნენ მონასტრიდან.

4. ტრაპეზის წესი

რიგ მონასტრებში ტრაპეზის დროს დაწესებული იყო წიგნის კითხვა. ავტორის თქმით, ეს ეგვიპტელთა კი არა, არამედ კაპადოკიელთა ტრადიცია იყო და იგი არა იმდენად სულიერი თვალსაზრისით, არამედ „დაწყნარებულად ჯდომისათვის“ აღესრულებოდა. რაც შეეხება ეგვიპტის, განსაკუთრებით კი თებაიდის მონასტერთა ტრაპეზს, აქ სამარისებური სიჩუმე სუფევდა. ტაბლასთან მსხდომთაგან არავინ იკადრებდა საუბარს, გარდა წინამძღვრისა და „ტრაპეზთმოდურისა“, რომელნიც უფრო ხშირად სათქმელს რეკვით ამბობდნენ. მონასტრის წევრებს კუნკულა ისე ეფარათ, რომ თითქმის ვერ ხედავდნენ ერთმანეთს, ისინი მხოლოდ ტაბლას უცქერდნენ და „გამომზრდელსა მათსა ღმერთსა მღუმრად მადლობასა

შესწირვენ“. საძმოს წევრები განსაკუთრებულად იცავდნენ თავს, რომ ტრაპეზის გარეთ არანაირი საზრდელი არ მიეღოთ.

აღმოსავლეთის ზოგიერთ მონასტერში სამზარეულოსა და სხვა მსახურებისათვის მონასტრის წევრები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. ისინი თითო შვიდეულს მსახურებდნენ და ყოველ კვირა დღეს, ცისკრის მსახურების შემდეგ იცვლებოდნენ. ამ შენაცვლებით ისინი, ერთი მხრივ, საკუთარ თავს აძლევდნენ დასვენების საშუალებას და, მეორე მხრივ, სიყვარულისა და მსახურების წესს აღუსრულებდნენ ერთმანეთს. ზოლო ეგვიპტის მონასტრებში არ ხდებოდა ყოველი შვიდეულის შემდეგ მსახურთა შეცვლა, არამედ კრებულიდან ირჩევდნენ გამოცდილ ძმათაგანს, რომელიც სათნოებითაც გამოირჩეოდა და ფიზიკური ჯანმრთელობაც საშუალებას აძლევდა, რომ ღირსეულად აღესრულებინა სამზარეულოსა თუ სხვა რომელიმე მსახურება. მონასტრის ყველა წევრის მსახურება განსაკუთრებული გულმოდგინებით გამოირჩეოდა, ისინი დიდი რუდუნებით ეპყრობოდნენ მათდამი მიბარებულ ჭურჭელს, პროდუქტსა და ყოველივეს, რაც მონასტრის საკუთრება იყო, ზოლო თუ რომელიმე მათგანი უგულისხმოებაში იქნებოდა შემჩნეული, იკონომოსის მიერ მკაცრად განკანონდებოდა, როგორც „შეურაცხმყოფელი ღმრთისა მიერ რწმუნებულისა და დამთრგუნველი თვისისა სჯინდისისასა“.

5. სათნოებათა მაგალითები

წმინდა კასიანე რომაელს თავის თხრობაში შემოაქვს რამდენიმე ეპიზოდი მამათა ცხოვრებიდან, რათა ნათლად წარმოჩნდეს, თუ როგორი თავმდაბლობა, მორჩილება და სხვა სათნოებები გააჩნდათ მოღვაწე მამებს.

პირველად წმინდა მამა მოგვითხრობს ვინმე პატერმოთეს მორჩილების საოცარი მაგალითის შესახებ, რომელიც სოფლი-

სგან განშორების მიზნით მივიდა ერთ-ერთ მონასტერთან და „მრავალი ჟამი დაითმინა კართა ზედა მონასტრისათა“. მისი დიდი გულმოდგინების შედეგად იგი შეწყნარებულ იქნა მონასტერში თავის მცირეწლოვან ძესთან ერთად. გამოიცადა რა მონასტრების წესების შესაბამისად, ღირსი შეიქნა გამხდარიყო საკრებულოს სრულყოფილი წევრი. მამა და ძე სხვადასხვა სენაკში განაწესეს, რათა „ჯორციელითა მით განშორებითა გონებისაცა იგი შეერთებულებად დაჰყვნან“.

ერთ დღეს მონასტრის წინამძღვარმა განიზრახა პატერმოთეს გამოცდა. ამ მიზნით რისხვით აღენტო მისი ძის მიმართ და უბრძანა მამას საკუთარი შვილის მდინარეში გადაგდება. ნეტარმა პატერმოთემ, „ვითარცა ღმრთისა მიერ ბრძანებულმან“, ისე მიიღო წინამძღვრის ნათქვამი, სწრაფად წაიყვანა საკუთარი ძე მდინარისაკენ და ნაბრძანების მორჩილებით და სარწმუნოებით აღსრულებას ფიქრობდა. როცა იხილეს მისი საქციელი მონასტრის ძმებმა, დაედევნენ და „მოსტაცეს ყრმამ იგი“. წმინდა კასიანეს თქმით, მართალია, არ მისცეს მას ნაბრძანების შესრულების ნება, მაგრამ ღმერთმა იმდენად შეიწყნარა მისი რწმენა და მორჩილება, რომ წინამძღვარმა „ღმრთისამიერი ჩინებად“ მიიღო, „ვითარმედ საქმე აბრაჰამისი აღასრულა ძმამან მან“.

ღირსმა პატერმოთემ თავისი მოღვაწეობით იმდენად დიდი სათნოება მოიხვეჭა, რომ მცირე დროის შემდეგ, როდესაც მიიცვალა მონასტრის წინამძღვარი, იგი დაადგინეს წინამძღვრად, „ვითარცა ღირსი მუშაკი სათნოებისა“.

მეორე თხრობა ეხება ერთ-ერთ დიდებულს, რომელიც თავის ქალაქში წარჩინებული და მდიდარი პიროვნება იყო. მან მიატოვა ყოველივე ამსოფლიური პატივი და მონაზვნად ცხოვრება გადაწყვიტა. მისი მოთმინების, სიმდაბლისა და სარწმუნოების გამოსაცდელად მონასტრის წინამძღვარმა უბრძანა მას ათი „სპურიდის“ (გოდრის) წაღება და საკუთარ ქალაქში სათითაოდ გაყიდვა. მან კი ეს დავალება უდრტვინველად,

მოთმინებითა და სიმდაბლით აღასრულა, „არასადა მოიგონა უნდობადა საქმისადა, არცა შეურაცხებადა ვაჭრობისადა, არცა წარჩინებულებადა თვისისა ნათესავისადა, არამედ მოსწრაფე იყო თავისა თვისისა მიმსგავსებად სიმდაბლესა მეუფისა ქრისტესისა“.

მესამე თხრობა ენება მღვდელ პინუფიოსს, რომელიც პანეფო ქალაქთან ახლოს მდებარე ერთ-ერთი დიდი მონასტრის წინამძღვარი იყო. ყოველდღიური მოღვაწე საკუთარი სათნოებებისა და გამოცდილების გამო ყველასგან განსაკუთრებით პატივისცემას იმსახურებდა. მას კი თავმდაბლობითა და მორჩილებით მსახურების სურვილი ჰქონდა. ამ მიზნით მან ფარულად დატოვა მონასტერი და მარტო, თეზაიდისაგან მოშორებით არსებულ ტავენესელთა მონასტერთან მივიდა, რომ არ ეცნოთ, განიმოსა სამონაზვნო შესამოსელი და ასე მრავალი დღის განმავლობაში მონასტერში მიღებას ითხოვდა. თავისი დიდი მოთმინების გამო მიიღეს იგი კრებულში და ერთ ძმასთან ერთად ბოსტნის მოვლა დაავალეს. ხოლო იგი „საწადელსა მსახურებასა მორჩილებისასა“ ერთგულებითა და გულმოდგინებით აღასრულებდა.

ასეთ ყოფაში დაჰყო მან სამი წელი. ამ ხნის განმავლობაში არავინ გარშემო მყოფთაგან არ იცოდა, თუ სინამდვილეში ვინ იყო იგი. მისი მოწაფეები კი მთელ ეგვიპტეში ეძებდნენ საყვარელ მოძღვარს. ერთ-ერთმა მათგანმა, მივიდა რა ტავენესელთა მონასტერში, იხილა საყვარელი ბერი, მაგრამ თავდაპირველად დაეჭვდა, მართლა ის იყო თუ არა, რადგან „ხედვიდა მას კაცსა მოხუცებულსა და სათხროლი ველთა მისთა, და ეგრეთ იქმოდა ქუეყანასა და სკორე მვართა ზედა თუსთა ეტჯრთა და ძირსა მსლებისასა დაუსხმიდა“, მაგრამ როცა მისი ხმა გაიგო და დარწმუნდა, რომ ნამდვილად მისი მოძღვარი იყო, თავმდაბლად ფეხებში ჩაუვარდა. მსგავსმა პატივის მიგება ყველა გააკვირვა, ხოლო როცა გაიგეს მისი ვინაობა, კიდევ უფრო გაოცდნენ, რადგან მისი სახელი ცნობილი იყო მოღვაწეთა შორის, როგორც ღრმადსულიერი ბერისა. ყველა

მათგანმა შენდობა ითხოვა მისგან, რომ უმეცრების გამო ახალმონაზონთა შორის დაადგინეს. დიდი თხოვნის შემდეგ დაითანხმეს მამა პინუფიოსი საკუთარ მონასტერში დაბრუნებაზე, მაგრამ იგი წუხდა, რადგან „დაყენებულ იქმნა საწადელისა მის მისისა სიმდაბლისა და მორჩილებისაგან“.

ხოლო როცა დაბრუნდა თავის მონასტერში, მცირე დროის შემდეგ კვლავ „აღიძრა მის შორის საღმრთოთა იგი ცეცხლი სიმდაბლისა და მორჩილებისადა“, ღამით დატოვა მონასტერი და ნავით პალესტინაში გაემგზავრა, სადაც მაცხოვრის შობის ადგილის სიახლოვეს არსებულ მონასტერში დამკვიდრდა. მაგრამ ვერც მანძილის სიშორემ დაფარა იგი, რადგან ეგვიპტიდან მოსალოცად ჩასულმა მამებმა იცნეს და დიდი „ვედრებითა და იძულებით ძლით დაარწმუნეს და წარიყვანეს იგი კუალად თუსსავე მონასტერსა“, რითაც კიდევ ერთხელ აღსრულდა უფლის ნათქვამი: „ვერ შესაძლებელ არს დაფარვად ქალაქი მთასა ზედა დაშენებული“ (მთ. 5.14).

6. მღვდელი პინუფიოსის დარიგება მონასტერში ახალმიღებული წევრისადმი

წმინდა კასიანემ გარკვეული პერიოდი გაატარა ზემოთ ნახსენებ მამა პინუფიოსთან და საკუთარი თხრობის მეორე ნაწილში მოაქვს მისი დარიგება, რომელიც მონასტერში ახალმიღებულ წევრისადმია წარმოთქმული.

ბერი პინუფიოსი მონაზვნობის მსურველ ძმას თავდაპირველად თვით მონაზვნობის არსსა და მნიშვნელობას განუმარტავს. მისი თქმით, მორჩილება და მონაზვნობა სხვა არაფერია, თუ არა ჯვარცმისა და სიკვდილის ქადაგება, რადგან ჭეშმარიტი მოღვაწე ყოველდღიურად „ჯუარცუმულ არს და მომკუდარ სოფლისათუს და სოფელი მისთუს“ (მდრ. გალ. 6.14). ხოლო ჯვარცმის ძალა მდგომარეობს იმაში, რომ „არღარა შენ ცხოველ ხარ, არამედ იგი ცხოველ არს შენ შო-

რის, რომელი ჩუენთჳს მომკუდარ იქმნა“ (შდრ. გალ. 2.20). მაცხოვრის ჯვარცმის შემდეგ ყველა ადამიანისთვის „სათანადო არს აღსლვამ ცხოვრებისა ამისგან და ჯუარსა ჴედა მოლუაწებისასა დამსჭუალვამ“, როგორც დავით მეფსალმუნე ლოცულობს: „შემშჭუალვად ჳორცთა მისთა შიშსა ღმრთისასა“ (შდრ. ფს. 118.120), რადგან, ვისაც სხეული ჯვარზე აქვს მიმსჭვალული, შეუძლებელია მისთვის, აკეთოს ის, რაც მოესურვება. ასევე, ვინც „შემშჭუალულ იყოს შიშსა ღმრთისასა, შეუძრელად ჰგეის ეგევითარი ყოველთა მიმართ ჳორციელთა განზრახვათა და ნებათა“. და როგორც ჯვარზე მიმსჭვალული ამქვეყნიურს აღარაფერს ფიქრობს, არც შეურაცხყოფასა და გინებას აქცევს ყურადღებას, არც გზაზე გამვლელთ გააყოლებს მზერას, არამედ მთელი მისი არსებით, ყოველწამიერად ამ ცხოვრებიდან გასვლას მოელის, ასევეა ის, ვინც ჴემშმარტად, ყოველსავე ამსოფლიურს განერიდა და მონაზვნობა აირჩია, რადგან „შიშსა ღმრთისასა ჯუარისსახედ შემშჭუალულ არს და ცხოვრებისა ამისგან განსვლასა დღითი-დღე მომლოდე არს“. მისთვის უცხოა ფიქრი ხორციელ ფასეულობებზე, მთელი მისი მცდელობა მიმართულია მხოლოდ ერთისკენ, რომ როგორმე მოიმუშაკოს ღვთის სასუფეველი.

მადლმოსილი ბერი ასევე ურჩევს მონაზვნობის მსურველს, რომ არასდროს დაუბრუნდეს გონებით იმას, რაც მიატოვა, რადგან უფალი ბრძანებს: „რომელმან დასდევას ჳელი ერქუანსა და ხედვიდეს მართლუკუნ, ვერ წარემართოს სასუფეველსა ცათასა“ (ლუკ. 9.62). მოძღვარი ასევე დასძენს ერთ მნიშვნელოვან სწავლებას და ამბობს: „რომელნი-იგი მალღისა მოქალაქობისაგან გარდამოვლენ მდაბლისა და ქუეყნიერისა საქმისა მიმართ, იგინიცა გარეშე მცნებათა უფლისათა იქმნ, რამეთუ გარდამოვლენ ერდოთ სახიდ აღებად რამსამე უნდოთა და შეურაცხთაგანისა“. „მაღალი მოქალაქობა“ ყველაზე აღმატებულ მსახურებას, ღვთისმსახურებას ნიშნავს და მასთან შედარებით ყველა სხვა საქმე „უნდო და შეურაცხთაგანია“,

ამიტომაც მიუღებელია მონაზვნად შემდგარისათვის მონასტრის მიტოვება და ერში დაბრუნება.

ახალშემონაზვნებულს მოძღვარი ამპარტავნების ცოდვისაგან თავის დაცვას ურჩევს. მისი თქმით, თუნდაც ჴეპირად შეისწავლოს მოღვაწემ ფსალმუნთა წიგნი, ან წმინდა წერილის სხვა რომელიმე ნაწილი, მას არ უნდა სძლიოს ამპარტავნებამ, არამედ განსაკუთრებული სიმდაბლით უნდა აღასრულოს მთელი თავისი მოღვაწეობა, ყოველწამიერად უნდა შეჰმატოს საკუთარ ღვაწლს მსურვალება და ისე „აღიწიოდეს სრულებისა მიმართ“. ის მონაზონი კი არ არის სანატრელი, „რომელმან იწყო კეთილად, არამედ რომელი ვიდრე აღსასრულამდე კეთილსა მას შინა დაადგრა“, რადგან „ქუემძრომელი იგი გუელი მარადის ბრჭალსა ჩუენსა უმზირს“ (შდრ. დაბ. 3.15). ბოროტი ძალა, მოღვაწის აღსასრულამდე, ყოველწამიერად ცდილობს მის დაცემას, ამიტომაც „არად სარგებელ არს ჩუენდა არცა დასაბამისა იგი სოფლით გამოსვლისა მჯურვალეობამ, უკუეთუ არა დასასრულიცა მსგავსად პირველისა მის იქმნას“.

მამა პინუფიოსი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ბოროტ ჴრახვათა მოძღვრის წინაშე დაუფარავ აღიარებას და ამბობს: „ფრიად კეთილ არს დასაბამსა და დაწყებასა ბოროტთა მათ გუელთასა განქიქებად, რომელ არიან ბოროტნი გულისსიტყუანი, რომელთა უჯერო არს დაფარვამ სულიერისა მის მამისა ჩუენისაგან მიზეზითა სირცხვისადათა, რამეთუ ესრეთ შეიმუსვრიან თავნი იგი ბოროტთანი“. გამოცდილი მოძღვარი ასევე მუხლჩაუხრელ შრომასა და შეჭირვების დათმენაზე საუბრობს, რაც არის გზა სასუფეველისაკენ, რადგან სახარების თანახმად, „იწრო არს ბჭე და საჭირვო გზამ, რომელი მიიყვანებს ცხოვრებად“ (მთ. 7.14).

ამ დარიგებების შემდეგ ღრმად სულიერი მამა აყალიბებს ათსაფეხურიან სათნოებათა კიბეს, რომლის პირველი საფეხურია „შიში ღმრთისა“, მისგან იშვება სიმდაბლე, რო-

მელიც არის „სრულდება ყოველთა წარმართებათა“; მეორე საფეხურია საკუთარი ნების მოკვდინება და ყოველივეს მოძღვრისადმი აღიარება; მესამე – არასდროს უნდა ენდო საკუთარ თავს, არამედ ყოველთვის უნდა გსურდეს სულიერი მამისგან საკუთარი შეცდომებისა და სწავლების მოსმენა; მეოთხე – მოძღვრის ყოველი ნათქვამის უყოყმანოდ მიღება და აღსრულება; მეხუთე – არათუ ვინმეზე იტყოდეს ძვირს, არამედ საკუთარ შეურაცხყოფას სიხარულითა და მადლობით დაითმენდეს; მეექვსე – არანაირი ახალი საქმე არ უნდა წამოიწყოს მოღვაწემ, გარდა იმისა, რაც განსაზღვრულია საეკლესიო კანონებით და დაწესებულია წმინდა მამათა მიერ; მეშვიდე საფეხურის მიხედვით, მოღვაწე ყოველივე მასზე მოწვევნილ ჭირსა თუ შეურაცხყოფას მადლობით უნდა იღებდეს და უარესის ღირსადაც მიაჩნდეს თავი; მერვე – ძმათაგან ყველაზე უმდაბლესად თვლიდეს თავს; მეცხრე სათნოებაა ნაკლები საუბარი; მეათე საფეხური კი მოღვაწეს სიცილისა და ღიმილისაგან თავშეკავებისკენ მოუწოდებს. მოძღვრის თქმით, ამ სათნოებებში წარმატებული „მსწრაფლ ამაღლდეს სიმაღლედ მიმართ სიყუარულისა, სადა-იგი არღარა არს შიში ტანჯვისაჲ, სადა-იგი სიმრავლე ყოველთა სათნოებათაჲ არღარა ჭირით და იძულებით დაიწყების, არამედ სურვილითა და ცეცხლითა საღმრთოჲსა ტრფიალებისაჲთა კეთილად და ადვილად წარემართების“.

ბერი პინუფიოსი თავის დარიგებაში ასევე ეხება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს, კერძოდ, თუ როგორი დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს მოღვაწეს მონასტრის წევრებისადმი. უპირველესად, იგი ახალდამწყებ მონაზონს ურჩევს, ბაძადეს პატიოსნებით და სათნოებებით გამორჩეულ ძმას. მისი თქმით: „ბაძვაჲ და მსგავსებაჲ მოსწრაფეთაჲ დიდად სარგებელ ექმნების მათ, რომელთა ენებოს მიწევნად თავსა სისრულისასა“. ასევე მოჰყავს დავით მეფსალმუნის სიტყვები, რომლის გათვალისწინებაც დიდი სარგებლობის მომტანია საკრებულოში

მცხოვრებ ძმათათვის: „ხოლო მე, ვითარცა ყრუსა, არა მესმოდა და ვითარცა უტყუმან, არა აღვალე პირი ჩემი, ვიყავ მე კაცი უსმი, რომლისა თანა არა არნ პირსა მისსა სიტყუაჲ“ (ფს. 37,13-14). მოძღვრის განმარტებით, მსგავსადვე მართებს მოღვაწეს, რასაც იხილავს და მოისმენს „უცხოს სარგებლისაგან და არა აღმაშენებელს სულისას“, მის მიმართ იყოს ბრმა, ყრუ და უტყვი. გამოცდილი ბერი ურჩევს, უდრტვინველად მიიღოს მხილება და შეურაცხყოფა, მარად გულში ჰქონდეს ფსალმუნთა სიტყვები: „ვთქუ, ვიმარხნე გზანი ჩემნი, რაჲთა არა ვცოდო ენითა ჩემითა, დავსდევე საცოჲ პირსა ჩემსა, მივდებოდა რაჲ ცოდვილი წინაშე ჩემსა“ (ფს. 38.1). ასევე, მოუწოდებს მორჩილებისა და მოთმინებისაკენ. მისი თქმით, შეურაცხყოფის სიმშვიდით დამთმენი განსაკუთრებულ მადლს მიიღებს ღვთისაგან.

ბოლოს, საკუთარ შესანიშნავ დარიგებებს ერთგვარად აჯამებს სულიერი მოძღვარი და აყალიბებს სწავლებათა ჯგუფს, რომლის პირველი რგოლიცაა შიში ღვთისა. მისგან იშვება კეთილი მორჩილება, ხოლო მორჩილებისაგან გამომდინარეობს ამსოფლიურ საქმეთა უგულვებელყოფა, მისგან წარმოიშვება სიმდაბლე, სიმდაბლისაგან – „მოკუდინებაჲ ნებათაჲ“, რისგანაც „ძირნი ვნებათანი განვმებიან“ და „ვნებანი განიდევნებიან“; ვნებების განდევნით სათნოებები ნაყოფს გამოიღებენ და აღორძინდებიან, მათი აღორძინებით წარმოიშვება გულის სიწმინდე, სიწმინდისაგან კი „მოციქულებრი იგი სრულდება წარმოიჩინების და სიყუარულისა მადლი სრულ-იქმნების ქრისტეს იესუს მიერ, უფლისა ჩუენისა, რომლისა შუენის დიდებაჲ და სიმტკიცე, აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე, ამინ“.

ტექსტისათვის

როგორც ზემოთ მივუთითეთ, კასიანე რომაელის თხზულების კრიტიკული ტექსტის დასადგენად გამოვიყენეთ ხუთი ხელნაწერი, აქედან ძირითად ნუსხად წარმოვადგინეთ A 682 ხელნაწერს, ნუსხათა შორის განსხვავებებს კი აღვნიშნავთ სქოლიოში, რომელთაც შეესაბამება შემდეგი ლიტერები: A – A 682; B – A 154; C – A 362; D – A 196; რაც შეეხება A 400 ხელნაწერს, მასში არსებული განსხვავებების აღნიშვნა, სქოლიოთა გადატვირთვის გამო, მიზანშეუწონლად მივიჩნიეთ, რადგან A 400 XIX საუკუნეშია გადაწერილი და ხასიათდება ამ ეპოქის ორთოგრაფიით; ასევე, სქოლიოში, აღნიშვნის გარეშე, „უჭ“ კომპლექსი შევცვალეთ „უე“-თი.

ძირითადი ნუსხის დაზიანებული მონაკვეთები, რომლის ამოკითხვა შეუძლებელია, აღვადგინეთ სხვა ხელნაწერთა მიხედვით და აღვნიშნეთ კვადრატული ფრჩხილით.

რიგ შემთხვევაში, ნუსხებში არ აღინიშნება ვითარებითი ბრუნვის ნიშანი „დ“, რომელიც აღვადგინეთ და ჩავსვით კვადრატულ ფრჩხილში.

[73v II] წმიდისა და ნეტარისა მამისა¹ ჩუენისა კასიანე ჰრომისა², თხრობაჲ წესსა და განგებასა ეგვპტისა და აღმოსავლეთისა³ მონასტერთა საკრებულოთასა

ვინაძთგან უკუე გებრძანა ჩემდა, სანატრელო მამო კასტორ, უწყებად შენდა, კანონსა და წესსა საკრებულო[თა]⁴ აღმოსავლეთისა⁵ და უფროსლა⁶ ეგვპტისა მონასტერთასა, რომელთა თუალითმხილველ ვიქმენ, ამისთსცა მორჩილ ვექმენ⁷ ბრძანებასა თქუენსა და ესე შემოკლებულითა და მცირითა სიტყვთა აღწერილი წარმოვეც თქუენდა, რაძთა აქუნდენ⁸ მიზეზად და მომატყუებელად სათნოებისა ღმრთივშეკრებულთა მაგათ ახალსა მაგას მონასტერსა შენსა ნეტართა მათ და წმიდათა კაცთა⁹ კანონნი¹⁰ და მოლუაწებანი. ხოლო საჭირო¹¹ არს პირველად ყოვლისა მითხრობად თქუენდა ლოცვისათს, რომელი-იგი არს მიზეზი ყოველთა კეთილთა¹², თუ ვითარ ყოვლითა დაწყნარებულეზითა აღასრულებენ მას ეგვპტისანი იგი და თებაიდაძსა საკრებულონი მონასტერნი, რაძეთუ რაჟამს შემოკრბენ იგინი ჟამსა ლოცვისასა და აღესრულოს რაა ფსალმუნი, არა იწყებენ მეყსეულად მუკლთმოდრეკად, არამედ პირველ¹³ მუკლთმოდრეკისა მცირედ დადგებიან და

¹ მამის A.

² ჰრომისა BC

³ აღმოსავლეთისა D.

⁴ საკრებულოსა ABCD.

⁵ აღმოსავლეთისა D.

⁶ უფროსლა BC

⁷ ვიქმენ AB.

⁸ აქუნდეს C

⁹ – BC

¹⁰ კანონი A.

¹¹ საჭირო A.

¹² კეთილთა BC

¹³ პირველად ABCD.

ველნი განპყრობილად აქუნ¹⁴ და ეგრეთ ილოცვენ. ამისა შემდგომად ქუეყანად დავა[74r I]რდებიან და შემდგომად მცირედისა, იწყონ რამ მუკლთმოდრეკად, ყოველნი სწორად დავარდებიან და სწორად აღდგებიან, და კუალად აღიპყრობენ 5 ველთა და სულთქუმით ვედრებასა შესწირვენ. ხოლო არავინ მათგანი იკადრებს მოდრეკად გინა აღმართებად, უწინარეს მოდრეკისა, გინა აღმართებისა მისისა¹⁵, რომელი-იგი ლოცვათა დაპბეჭდვიდეს და ესევეითარითა სახითა რამ აღასრულონ ლოცვამ¹⁶, ვითარცა-იგი¹⁷ პირველ ვთქუთ, ესოდენი იხილ- 10 გების მათ შორის მდუმარებად, ვიდრემდის საგონებელ არს არცა ერთი კაცი ყოფად ესოდენსა მას შინა მრავალრიცხუედსა სიმრავლესა ძმათასა.

ხოლო უფროსლა¹⁸ ჟამსა ლოცვისასა, ოდეს-იგი არცა თუ ნერწყუვად, არცა ჯუელად, არცა მოწყინებად, გინა პრუ- 15 ლისა სიმძიმე, არცა სულთქუმად¹⁹ ჳმათად განტევებული იხილვების მათ თანა, რამეთუ გონებისა განბნეულებითა და ჳმისა განტევებულებითა აღმასრულებელთა ლოცვისათა ორსახესა ცოდვასა შინა მყოფად იტყვან: პირველად, რამეთუ ვითარცა უდები ილოცავს, ხოლო მეორედ, რამეთუ ვითარცა 20 უსწავლელი განტევებითა ჳმისაათა²⁰ სცემს სასმენელთა სხვსათა და წარსტყუენავს გონებასა მისსა და ესევეითარნი იგი თანამოდგამ იქმნებიან ეშმაკთა, რომელთა-იგი, რაჟამს გვხილნიან ჩუენ მდგომარენი ლოცვასა შინა, ისწრაფდიან დამძიმებად სულისა, გულისსი[74r II]ტყუათა მიერ უშუერთა. 25 და მოწყინებისა ამის ესევეითარისა მიზეზისათს ნეტარნი იგი მამანი ფსალმუნებასა მას არა შფოთით და

¹⁴ აქუნ AB.

¹⁵ მისა ABCD.

¹⁶ ლოცვა CD.

¹⁷ – B

¹⁸ უფროსლა BC

¹⁹ სულთქუმა BC.

²⁰ ჳმისათა BC.

სწრაფით აღასრულებენ, არცა სიმრავლესა ჳედა მუკლთასა, არამედ შემოკრებასა ჳედა გონებისასა იხარებენ, რამეთუ სიტყუასა მას შეუდგან, რომელი-იგი იტყვს, ვითარმედ²¹: „გვალობდე²² თუ სულითა, გვალობდე გონებითაცა“ (Iკორ.14,15.) და უსარგებლეს უჩნს ათთა 5 მუკლთა წართქუმად²³ გონებითა შემოკრებულთა, ვიდრე ყოველთა ფსალმუნთა გონებითა განბნეულითა. ხოლო²⁴ აღესრულნენ რამ ფსალმუნნი და კანონნი²⁵ იგი ლოცვისა თვისისა²⁶, ვითარცა პირველ²⁷ ვთქუთ, ვერვინ იკადრებს ძმათგანი დადგომად მეორისა თანა უბნობად, ვერცა თუ 10 მცირედჟამ, და არა ხოლო ესე, არამედ ვერცათუ თვისსა სენაკსა დაუტეობს გამოსლვად გარე და დახრწევად საქმესა მას, რომელი ველთა აქუნ, რამეთუ სამოციქულოსა მას აღასრულებენ²⁸ ბრძანებასა (იხ. Iთეს. 4,11).

ხოლო უკუეთუ ოდესმე საჳმარ იყოს მათდა შეკრება 15 ერთად საჭირომსა²⁹ რამსამე³⁰ საჳმრისათს, მაშინცა მყუდროებით და მოსწრაფებითა დაწყნარებისაათა³¹ აღასრულებენ, ვიდრემდის არცათუ ერთსახე³² უბნობისა³³ მათ თანა იპოების, არამედ³⁴ თითოეულსა³⁵ თვისი უპყრიენ ფსალმუნი და წურთითა

²¹ – BCD.

²² ჳვალობდე A.

²³ წართქუმა BC

²⁴ რამეთუ BC

²⁵ კანონნი B

²⁶ თვისისა BC

²⁷ – BCD.

²⁸ აღასრულებენ CD.

²⁹ საჭიროისა B; საჭირომსა A.

³⁰ რამსამე A.

³¹ დაწყნარებისათა BC.

³² ერთი სახე DA.

³³ უბნობისა BC.

³⁴ – B

³⁵ თვთოეულსა A.

თითოსახითა³⁶ აღასრულებენ ველთსაქმარსა³⁷ თუსსა.

ხოლო მრავლითა მოსწრაფებითა დაიცვენ თავთა თუსთა, რადთა არაინ თანა-აღერიოს სხუად სხუასა და უფ[74v I]როასლა ჭაბუკსა გინა ახალმოსრულსა მონაზონებად და არცა იკადროს თუსი ველი მიყოფად სხუსა თანა, არცა კუალად სხუსა³⁸ თუსსა თანა, ხოლო უკუეთუ ვინმე იპოს კანონისა ამის გარდამავალი, შერისხვასა და განკანონებასა მძიმესა მისცემენ ეგევითარსა მას. და ესე კმა-იყავნ ჩემ მიერ თხრობად ვედრებასა ლოცვისა მათისასა.

გვკმს ჩუენ ამიერიოგან თხრობად, თუ რომელნი-იგი სოფლით გამოვიდოდინ, ვითარითა სახითა ამათ საკრებულთა მონასტერთა შემოვლენ და თუ ვითარ სიმდაბლესა და მორჩილებასა შინა დაადგრებიან ვიდრე უკუანაასკნელად³⁹ სიბერედმდე ჰასაკისა მათისა, რამეთუ ესოდენი იპოების მათ თანა მორჩილება და სიმდაბლე ვიდრე სიბერედმდე, რაოდენი არა იპოების ჩუენ თანა, არცა თუ პირველსა მას წელიწადსა სოფლით გამოსლვისა ჩუენისასა და მონასტერთა ამათ ჩუენთა მორჩილება შემოსლვისასა.

რამეთუ არა პირველად შეიწყნარების⁴⁰ შინაგან მონასტრისა, რომელსა-იგი ენებოს მონაზონებად, ვიდრემდის არა აჩუენოს გამოცდილებით სურვილი თუსი ღმრთისა მიმართ და სიმდაბლე და სულგრძელება და ამის ყოვლისა⁴¹ თანა შეზავებული მორჩილება და მოთმინებით მტკიცედ დგომად და ამით ესევითარითა რადა სახითა გამოიცადოს, მიერიოგან კეთილად შეიწყნარების იგი მათ მიერ და ისწა[74v II]ვლების, რადთა არარადა სიმდიდრისა თუსისაგანი თუსსა დაიშთინოს, რამეთუ იტყუნ, ვითარმედ: რომელმან თუსთა სავმართაგანი

³⁶ თუთოსახითა A.
³⁷ ხელითსაქმარსა ABC.
³⁸ სხუსა BCD.
³⁹ უკანასკნელად C
⁴⁰ შეიწყნარებს B
⁴¹ ყოველისა A.

რადაცა დაიმჭიროს თუს თანა, ეგევითარი-იგი ვერ შემძლებელ არს სიმრავლესა ჟამთასა ყოფად მონასტერსა შინა მორჩილებით და გამოცდილებით და ვერცა წარჰმართებს სათნოებასა სიმდაბლისა და მორჩილებისასა, ვერცა დაითმენს სრულიად სიგლახაკესა და ძურისხილვასა საკრებულომასა⁴², არამედ რომლისაცა მიზეზისა გინა ჭირისა მიერ აღიძრას გონებად მისი, მეყსეულად⁴³ სავმარი იგი, რომელი აქუნდეს თავისა თუსისა, შორად განაგდებს მას კრებულისაგან, ვითარცა შურდული – ქვასა.

ამისთუსცა ესრეთ განაშიშულებენ თითოეულსა⁴⁴ თუსისა მონაგებისაგან, ვიდრელა არცათუ მით შესამოსლითა გინა ფერვთშესაცმელითა, რომლითა შემოსილი მოსრულ იყოს, არლარა უტევებენ ყოფად, არცა შემოსად რადასამე⁴⁵ მათგანისა, არამედ შეკრებულთა ძმათა მიერ განეძურცების⁴⁶ შესამოსელი იგი მათ ყოველთა წინა და ველითა წინამძღურისა⁴⁷ და სულიერისა მის მამისა⁴⁸ შეიმოსების სამოსლითა წესისაებრ მონასტრისა, რადთა ამით სახითა და წესითა გულისჯმა-ყოს მოსრულმან მან, ვითარმედ ყოველთა სოფლითა საქმეთაგან და ამპარტავენებისა⁴⁹ და ზუაობ[75r I]ისაგან განშიშულებულ იქმნა და მის წილ ქრისტეს სიგლახაკესა შემოსელ და ესრეთ ურცხუნელად⁵⁰ ძმათა მათ თანა აღრიცხუვასა⁵¹ მიმღებელ და მათსავე სწორებასა თავით თუსით მიწოდებულ, ხოლო სამოსელნი

⁴² საკრებულოსასა CD.
⁴³ მეყსეულად B
⁴⁴ თუთოეულსა A.
⁴⁵ რადასამე CD.
⁴⁶ განეძურცების A.
⁴⁷ წინამძღურისათა BC
⁴⁸ მამისათა C.
⁴⁹ ამპარტავენებისა BCD.
⁵⁰ ურცხუნელად CD.
⁵¹ აღრიცხუვასა BCD.

იგი, რომელიც განდარცუნენ⁵², მიიღებს მათ უკონომოსი მონასტრისა და მრავალთა წელთა დაჰმარხავს მათ, და ადროებს ვიდრე წარმართებადმდე და კეთილად ქცევადა და თითოსახეთა⁵³ განსაცდელთა მოთმინებით თავსმდელებ-
5 ლად იხილოს ძმად⁵⁴ იგი.

და უკუეთუ იხილონ იგი ყოველსავე მოთმინებით თავსმდე-
ბელი და მოსწრაფებით მჯურვალეებასა მას ზედა საღმრთოსა,
ვითარცა იწყო, ეგრეთვე მდგომარე, მაშინლა აღპრიცხუვენ⁵⁵
მას სხუათა მათ თანა. ხოლო უკუეთუ მდრტუნავ იპოს
10 რომელსაცა ზედა შეურაცხებისა საქმესა, გინათუ ცოდვიდეს
რომლისაცა ზედა ურჩებისა საქმესა⁵⁶, მაშინ განსდარცუ-
ვენ⁵⁷ მას, რომელი-იგი შეემოსა სამოსელი მონასტრისა, და
კუალად შეჰმოსენ მას სამოსელსა საერისკაცოსა, რომელი-
იგი პირველ აღსდარცუეს და განსდევნიან კრებულისაგან,
15 ვიდრემდის ამით ესევითარითა მიზეზითა არათუ ამას გა-
მოაჩინებენ, ვითარმედ ადვილ უჩნს განდევნად მონასტრით,
არამედ რაათა არა სულგრძელებითა მით და მიშუებითა
დაადგრეს თუსსავე⁵⁸ ვნებასა⁵⁹ ზედა და ჩუეულებასა, ამისთუს
შეჰმოსენ მას საე[75r II]რისკაცოთა⁶⁰ სამოსლითა და ესრეთ
20 განიყვანებენ მონასტრით.

ხოლო ვითარცა პირველ ვთქუ, უკუეთუ იპოს ღირსი და ჭემმარიტებით გამოცდილი და უბრალოდ პოვნილი და შეიწყნარონ იგი ძმათა თანა, არა უბრძანებენ მას ესრეთ მსწრაფლ კრებულსა თანა ძმათასა აღრევადა, არამედ

⁵² განსდარცუნენ A; განძუარცუნენ D.

⁵³ თუთოსახეთა A.

⁵⁴ ძმა BC

⁵⁵ აღრიცხვენ BC აღრიცხუვენ D.

⁵⁶ გინათუ ცოდვიდეს, რომელსაცა ზედა ურჩებისა საქმესა] - BC

⁵⁷ გასდარცვენ BC

⁵⁸ თუსსა A.

⁵⁹ ნებასა BCD.

⁶⁰ საერისკაცოთა ABC.

მიუთუალვენ მას ძმასა მას, რომელი-იგი დადგინებულ-იყოს განმგებელად უცხოთსადგურისა⁶¹, რაათა იგი უბრძანებდეს ყოველსა მოლუაწებასა და მსახურებასა. და რაჟამს აღასრულოს წელიწადი იგი მსახურებასა შინა უცხოთასა და ამის მიერ ისწაოს⁶² წესი სიმდაბლისა და სულგრძელები-
5 სად⁶³, მაშინლა თანა-აღპრაცხუვენ⁶⁴ მას კრებულსა თანა ძმათასა და შეჰვედრებენ მას მოხუცებულსა მონაზონსა, რომელსა აქუნდეს მსახურებადა ესე, რაათა ასწაოს⁶⁵ მას, თუ რომლისა გზისა დაწყებითა შემძლებელ არს მიწევნად სისრულესა სათნოებათასა. ხოლო იგი პირველად ისწრაფ-
10 ის სწავლად მისსა ძლეეასა თუსთა⁶⁶ გულისთქუმათასა და გემოვნებათასა, რამეთუ უბრძანებს მას ყოველსავე წინააღმდეგომსა⁶⁷ ნებისა მისისასა, რამეთუ არარას სხუასა იტყვან მამანი, რომლითამცა⁶⁸ შემძლებელ ვინ იქმნა თუსთა გულისთქუმათა⁶⁹ აღურსხმად, გინათუ რისხვასა და მწუხ-
15 არებასა ზეშთა-ყოფად.⁷⁰ გინა სიმდაბლესა ჭემმარიტსა მოგებადა, [75v I] გინათუ განმარტებულად საკრებულოსა შინა აღსრულებად ცხორებისა თუსისა, უკუეთუ არა, პირველ ყოვლისა, მორჩილებით მოკუდეს ნებისაგან თუსისა.

ამათ უკუე წესთა და მოძღურებათა მიერ მოწაფე-
20 თა თუსთა განსწავლიან, ვითარცა ასოთა⁷¹ რათმე, გინა მარცუალთა მიერ, და შემდგომად პირველისა მის ასომასა და ერთისა მის მარცულისა ამას ასწავებენ შემდგომად

⁶¹ უცხოთსადგურისა B

⁶² ასწავოს C ისწავოს D.

⁶³ სულგრძელებისა BC

⁶⁴ თანა-აღპრაცხვენ A თანა-აღრაცხვენ BC

⁶⁵ ასწავოს C

⁶⁶ - BCD.

⁶⁷ წინააღმდეგომსა A.

⁶⁸ რომელთამცა C.

⁶⁹ გულისთქუმათა C

⁷⁰ ზეთა-ყოფად D.

⁷¹ ასოთა BCD.

არადაფარვად დღითი-დღედთა გულისსიტყუათა თვსთა, არამედ მყის მასვე ჟამსა, რომელსა მოუვდეს გულისსიტყუა-
 აა, რაათა თვსსა მას სულიერსა მამასა გამოუცხადოს და
 ნურარას ესევითარსა თვსისა გულისა მოგონებასა ერჩიან⁷²,
 5 არამედ იგი უწყოდენ კეთილად, გინა ბოროტად, ვითარცა
 თვსმან სულიერმან მამამან უთხრას თვსითა მით კეთი-
 ლადგანმკითხველობითა, რამეთუ ამით სახითა შემძლებ-
 ელ არს განრომად ეშმაკისათა მათ ბოროტთა, ვითარცა
 კეთილთა და სათნოთა შეწყნარებასა ჯერეთ გამოუცდელი
 10 იგი და უმეცარი მტერისა მანქანებათა.
 და ამას იტყვან ჭეშმარიტად სახედ და მტერისა მან-
 ქანებათა გამოჩინებად წმიდანი იგი მამანი, ვითარმედ
 არწმუნებს მორჩილებასა ქუეშე მყოფთა, რაათა დაუ-
 ფარნენ თვსთა მამათა გულისსიტყუანი თვსნი, ვითარმცა
 15 კმა-ეყოფოდა⁷³ საქმეთა ოდენ შემთხუეულთა აღსარებაა
 და განზრახვად და ვითარმედ არა უვს [75v II] გულისსი-
 ტყუათა განქიქებაა. გინათუ ცუდადმზუაობრობით მოარ-
 თუამნ⁷⁴ სირცხვლსა⁷⁵ განცხადებისათვს თვსთა გულისსი-
 ტყუათამსა⁷⁶ და ესე იქმნების წულილად აღსარებისათვს.
 20 ხოლო შიშით და ძრწოლით მორჩილებაა ესოდენ დამ-
 არხულ არს მათგან, ვიდრედა ვერცათუ სენაკით განსლ-
 ვად იკადრებენ თვნიერ წინამძღურისა ბრძანებისა,
 არამედ ესრეთ აღასრულებენ ბრძანებულსა მის მიერ
 მოსწრაფებით, ვითარცა პირისაგან ღმრთისა სმენილსა.
 25 ხოლო რაჟამს სხდენ თვსთა სენაკთა და ველთსაქმარსა
 და ლოცვასა და წურთასა განკრძალულ იყვნენ⁷⁷ და ესმას

⁷² ერჩიან B

⁷³ კმა-ეყოფოდა AC

⁷⁴ მოართუამ BCD.

⁷⁵ სირცხვლისაგან AB.

⁷⁶ გულისსიტყუათასა BC

⁷⁷ იყუნენ C

რაა ვჰამ რეკებისა⁷⁸ კართა ზედა სენაკისათა, გინათუ
 ზოგადისათვს ლოცვისა, გინათუ საქმედ მიწოდებისა, მეყ-
 სეულად ყოველსა მას თვსსა საქმესა დაუტევებენ და ბრ-
 ძანებულისა მის საქმისა მიმართ მიისწრაფიან და ყოვლითა
 მოსწრაფებითა მორჩილებად ურთიერთას⁷⁹ ჰბაძვენ და არა
 5 ხოლო ველთსაქმრისა, არამედ სხუათა ყოველთა სათნოე-
 ბათა პირველად ამას უწოდენ, და სხუათა – შემდგომად
 და მეორედ საქმედ უწოდენ.

ხოლო სხუათა ყოველთა სათნოებათათვს ნამეტნავ არს
 თქუმად, ვითარმედ არავის მათგანსა სხუად რამე აქუს, 10
 თვნიერ შესამოსელი იგი მოკლე და გარეშემო[76r I]სასხ-
 მელი და სანდალნი⁸⁰ და ხალენი და ჭილი. სირცხვლ უკუე
 არს მათ თანა თქუმად, ვითარმედ: „წიგნი ჩემი“, „წერილი
 ჩემი“, „დაფა ჩემი“, გინა სხუად, რაადცა რაა საჯმართა-
 განი „ჩემი“, არამედ ყოველივე ზოგად აქუნ, მცირე იგი 15
 და რომელიცა რაა აქუნ.

ხოლო თითოეული ამათ დღითიდღე ესოდენსა⁸¹ შურე-
 ბინ და თვსთა ოფლთა მიერ ესოდენსა შეჰკრებენ მონას-
 ტერსა შინა, ვიდრედა არათუ თვთ ოდენ კმა-ეყოფინ საჯმ-
 რად, არამედ სამსახურებელადცა უცხოთა და საზრდელად 20
 გლახაკთა.

და ამით ესევითარითა რაა სახითა შურებოდინ, არა
 ამალღებნიან⁸², არცა ამპარტავან იქმნებიან, არცა ვინ
 მათგანი თვსთა ნაშრომთა და ოფლთაგან ეძიებენ რასმე
 უმეტესსა საჯმარსა მათისასა, რომელი-იგი მიეცემინ ყოვ- 25
 ელთა, არცა რას მიიღებენ ყოვლადვე საჯმრისა⁸³, გინა⁸⁴

⁷⁸ რეკებისა C.

⁷⁹ ურთიერთს B.

⁸⁰ სანდალი BCD.

⁸¹ ესოდენ CD.

⁸² ამალღებნი BC აღმალღებნიან D.

⁸³ საჯმარისა C.

⁸⁴ – ABC

ნივთისა მისგან, რომელი-იგი ექმნას, რამეთუ მწირ და წარმავალ სოფლისა ამისგან თავნი თვისნი შეურაცხიან და მონებასა ყოველთა მათ ძმათასა იგონებენ, ვიდრეღა მეუფებასა რომლისავე ერთისა ქუეყნისა სავმართაგანისასა.

5 ხოლო უკუეთუ განტეხოს ვინმე მათგანმან ჭურჭელი, გინა წარწყმიდოს სავმართაგანი, რომელიცა აღუარებს წინამძღუარსა თვისსა [76r II] უდებებისა და ცთომილებისათს და ესრეთ შენანებული მიიღებს შენდობასა.

კუალად, უკუეთუ ვინმე იწოდოს საქმედ, გინა 10 ლოცვად და უგულებელს-ყოს და მიმყოვრებულად-რე მივიდეს,⁸⁵ გინათუ ფიცხლად და წარმდებად და უდებებით მიუგოს, ანუთუ იდრტვნოს მისთვის, რომელმან-იგი უბრძანა მას მსახურებისა ყოფად⁸⁶, გინათუ წიგნის კითხვასა ანუ ველთსაქმარსა⁸⁷ უმეტეს პატივ-სცეს და 15 ბრძანებული იგი მისა საქმე გვანად აღასრულოს, გინათუ რაჟამს აღასრულონ ლოცვა⁸⁸, არა მირბიოდის მეყსეულად თვისსა საქმისა, გინათუ თვნიერ საჭირომსა⁸⁹ საქმისა უბნობდეს ვისთანამე, გინათუ კადნიერებით მიყოს ვისთანამე ველი, ანუთუ უცხოსა ვისმე ძმასა, გინა 20 მოყუარესა, გინა ნათესავსა ეზრახოს თვნიერ ბრძანებისა თვისსა ბერისა, გინათუ წიგნი ვისიმე შეიწყნაროს, ანუთუ მი-ვისსამე-წეროს თვნიერ წინამძღურისა ცნობისა, გინათუ სხუასა რასაცა მსგავსსა ამათსა სცთეს, ესევე-თარი-იგი განიკანონების ფიცხლად და შეკრებასა ძმა- 25 თასა ეკლესიად დააგდებს თავსა თვისსა ქუეყანასა ზედა და შენდობასა ითხოვს თვისსა ცთომილებისასა.

ხოლო უკუეთუ უმძიმესსა ამათსა ცთ[76v I]ომასა იბ-

⁸⁵ მოვიდეს B

⁸⁶ ყოფა BC

⁸⁷ ველთსავმარსა BCD.

⁸⁸ ლოცვა BC

⁸⁹ საჭირომსა A.

ლოს ვინმე მოქმედად⁹⁰, ესე იგი არს შეურაცხ-ყოფად⁹¹ ვისიმე, გინა ცილობად ამპარტავანებით⁹², გინა განსლვად მონასტრით თვნიერ წინამძღურისა ცნობისა, გინა დედათა მიმართ უბნობად, გინათუ ძურისვსენება⁹³ და ბრძოლად⁹⁴, გინა მოგება⁹⁵ რომლისავე სავმართაგანისა⁹⁶ თვნიერ მი- 5 ცემისა წინამძღუარისა, გინათუ საზრდელისა იღუმალ მიღებად თვნიერ კურთხევისა წინამძღურისა, – ესევეითარ-ნი⁹⁷ და სხუანი მსგავსნი ამათნი არა ხოლო პირველითა⁹⁸ მით კანონითა განიკანონებიან, არამედ ფრად უმძიმესითა, და უკუეთუ არა განემართოს, განიჯადების⁹⁹ მონასტრით. 10

კუალად, ჟამსა ძმათა საზრდელისა მიღებისასა დაწესებულ არს რომელთამე მონასტერთა წიგნის კითხვად¹⁰⁰, ხოლო ესე არა კანონისაგან მეგვპტელთაჲსა, არამედ წესისაგან კაპპადუკიელთაჲსა უსწავლიეს, რომელნი-იგი არა ესოდენ სულიერისა მოსწრაფებისა მიზეზითა, 15 რაოდენ დაწყნარებულად ჯდომისათს ესევეითარსა მას ჰბადვენ წესსა, ხოლო ეგვპტელთა თანა და უფრომსლა თებაიდელთა ესოდენი დუმილი იხილვების, რაჟამს ტრაპეზად შევიდოდინ¹⁰¹, ესოდენისა მის მრავალრიცხვსა სიმრავლისაგან, ვიდრეღა სხუათა ა[76v II]დგილთა ეს- 20 ევეითარი არასადა იპოების. დასხდეს რაჲ ტაბლასა ზედა, ვერვინ იკადრებს სიტყუად მეორისა მიმართ, თვნიერ

⁹⁰ მოქმედ D.

⁹¹ შეურაცხ-ყოფა C.

⁹² ამპარტავანებით BCD.

⁹³ ძურისვსენება C.

⁹⁴ ბრძოლა BC

⁹⁵ მოგება C.

⁹⁶ სავმართაგანისა BC

⁹⁷ ესევეითარი B

⁹⁸ პირველთა D.

⁹⁹ განიჯადების BCD.

¹⁰⁰ კითხვა BC

¹⁰¹ შევიდოდინ BCD.

მამისა და ტრაპეზთმოდურისა, რომელთა-იგი რაჟამს
 საჯმარ რაამე იყოს, რეკითა უფრომასად¹⁰², ვიდრელა
 ვმითა იქმნების, ხოლო კუნკულითა დაფარულ არიან
 წამწამნი მათნი, რაათა არა განღებულად რაა აქუნდენ
 5 თუალნი, განტევებულად ერთიერთსა ხედვიდენ, არამედ
 ტაბლასა ხოლო, და გამომზრდელისა მათისა ღმრთისა
 მდუმრიად მადლობასა შესწირვენ¹⁰³. ხოლო დიდითა მო-
 სწრაფებითა დაიცვენ თავთა თუსთა, რაათა არაეინ გა-
 რეშე ტრაპეზისა საზრდელი რაავე მიიღოს.

10 ხოლო რაათა არა ვიპოვნეთ დაკლებულ სხუათაცა
 საკრებულოთა წესთა მეტყუელებისაგან, ამისთუს უკუე
 ჯერ-არს, რაათა სხუათაცა მონასტერთა წესი ისმინოთ ჩუენ
 მიერ. რამეთუ ყოვლისა¹⁰⁴ შუამდინარისა¹⁰⁵ და პალესტინისა
 კერძოთა და კაპპადუკიისა და ყოვლისა აღმოსავლეთისათა
 15 ჟამთა ლოცვისათა სამჟამ და ექუსჟამ და ცხრაჟამ უკუ-
 ეთუ ვინმე პირველ პირველისა ფსალმუნისა აღსრულებისა
 არა შევიდეს ეკლესიად, მიერთგან დალათუ მივიდეს, ვერ-
 ღარა იკადრებს შესლვად და შერთვად მლოცველთა თანა,
 არამედ გარე დადგების კართა [77r I] ზედა და ყოველთა
 20 მათ გამომავალთა ქუეყანასა ზედა მოუდრეკს მუვლთა და
 ითხოვს შენდობასა თუსისა უდებებისათუს, ხოლო ლოცვათა
 ღამისათა ვიდრე მეორისა ფსალმუნისა აღსრულებამდე¹⁰⁶
 შენდობა-სცემენ დაყოვნებულთა და ამისსა შემდგომად
 ეგრეთვე განიკანონების, ვითარცა პირველთქუმულნი იგი.

25 ამას¹⁰⁷ ყოველსა თანა და შუდეულთაცა ზედა¹⁰⁸ იცვალე-
 ბიან მსახურნი სხუამ სხუსა წილ სამზარეულოს და სხუასა

¹⁰² უფროსად BC
¹⁰³ შესწირავენ A.
¹⁰⁴ ყოველსა A.
¹⁰⁵ შუამდინარესა ABC.
¹⁰⁶ აღსრულებამდე AB.
¹⁰⁷ ამან B
¹⁰⁸ – BCD.

ყოველსავე სამსახურებელსა, რაათა¹⁰⁹ თავთა თუსთაცა გა-
 ნუსუენონ და რაათა სიყუარულისა და მსახურებისა წესი ერთ-
 მანერთსა აღუსრულონ. ხოლო მსახურებამ იგი ესოდენითა
 მოსწრაფებითა აღესრულების მათ მიერ, ვიდრემდის ვერცა
 თუ ბრძანებული უფალთა¹¹⁰ მონათა მიერ, რაჟამს ებრძანოს. 5

და აღასრულონ რაა შუდეული თუსი დღესა კურიაკესა,
 შემდგომად ცისკრისა გალობისა სხუამ, შემავალი მსახ-
 ურებად, მიითუალავს ნიშნეულად ჭურჭელთა თვთოეუ-
 ლისა¹¹¹ მსახურებისათა, რომელნი-იგი მი-რაამ-ითუალნენ¹¹²,
 ესოდენი აქუს ზრუნვამ, რომელსა აჩუენებენ, რაათა არა 10
 წარწყმდეს მათგანი, გინა განტყდეს, ვითარცა იგი, რომ-
 ლისადა რწმუნებულ იყენიან¹¹³ ჭურჭელნი სამდღელონი და
 ღმრთისა შეწირულნი, რამეთუ სიტყუსა¹¹⁴ მიცემად¹¹⁵ გან-
 მზადებულ იყენიან¹¹⁶ არა ხოლო აქამასა ამის ჯკონომოსისა,
 არამედ ღმრთისა, ყოველთა განმგებელისა. ხოლო უკუეთუ 15
 უდებებისა, [77r II] გინა უგულუბელსყოფისაგან განტყდის
 რაამე მათგანი, ფრიად საძნაურ უნ მცველსა მას ჭურ-
 ჭელთასა და მიზეზ სინანულისა ყვის იგი. და უსარწმუ-
 ნოეს-ყოფად სიტყუსა ჩემისა ჩემ მიერ თუალითხილული
 საქმე შეესძინო თხრობასა ამას: 20

შუდეულსა რომლისამე ძმისასა მივიდა ჯკონომოსი და
 იხილნა მცირენი მარცუალნი ვნდურისანი დაცვენებულნი
 ქუეყანასა ზედა და არა შეურაცხ-ყენა¹¹⁷ იგინი სიმცრომსა-
 თუს და უნდოებისა მათისა, არამედ ფრიად აბრალა ძმასა

¹⁰⁹ რაითა] და BCD.
¹¹⁰ უფალთა ABCD.
¹¹¹ თითოეულისა BC
¹¹² მი-რაამ-თვალნენ C
¹¹³ იყუნიან C
¹¹⁴ სიტყვთ A სიტყუს D.
¹¹⁵ მიგებად BC
¹¹⁶ იყუნიან BC
¹¹⁷ შეურაცხყენა C

მას, რომლისადა რწმუნებულ იყო მსახურებად შვდუელისაჲ მის, და მისცა მას კანონი, ვითარცა შეურაცხისყოფელსა ღმრთისა მიერ რწმუნებულისასა და¹¹⁸ დამთრგუნველსა თვისსა სვნიდისისასა.

5 ესოდენი უკუე სარწმუნოებაჲ და მოსწრაფებაჲ მოუგის ნეტართა მათ ყოვლისავე მოლუაწებად და განგებად, ვიდრელა ესეცა, რომელნი ჩუენ უნდოდ და შეურაცხებისა ღირსად გუჩნან, იგინი მრავლითა კრძალულებითა და-
10 იცვენ მას, ვითარ ჭურჭლისა მირდომილისა აღმართებაჲ და თვისსა ადგილსა დადგამა, გინა დაბნეულთა რათმე საჯმართა სახლისათა ერთად შეკრებაჲ, რამეთუ ჰრწამნ ამათთსცა¹¹⁹ სასყიდელი მოღებად მეუფისა ქრისტესგან.

ესე უკუე, რომელ ვთქუენით კანონნი¹²⁰ შვდუელთა მსახურებისანი, ესე კერძოთა აღმოსავალისათა იქმნებიან
15 ესრეთ, ხოლო ეგვპტელთა თანა არა იქმნების ესრეთ ცვალებასა თანა შვდუელთასა ცვალებად მსახ[77v I]ურთა-ცა¹²¹, არამედ ერთსა გამოცდილთა ძმათაგანსა, რომელსა სათნოებაცა მიანიჭებდეს და ვორცთა ძალი შეეწეოდის, მას არწმუნებენ სამზარეულოსა, გინა რომელსავე მსახ-
20 ურებასა და მიერთგან არლარა დამაყენებელ ექმნების მას არცა სიბერე, არცა უძლურებაჲ აღსრულებად მსახურებისა მის.

ხოლო აწ ვინაფთგან შემოვიდა ჩუენ შორის სიტყუად სიმდაბლისათს და მორჩილებისა, რომლითა-იგი თავსა
25 სათნოებისასა აღსლვად შემძლებელ ვიქმნებით, საჭირო არს უკუე, რაათა მცირედი მრავლისაგან შორის-შემოვილოთ სათნოებისაგან წმიდათა მამათაჲსა¹²², რომელნი-იგი შორის კრებულისა გამობრწყინდეს, რაათა მიზეზად სახედ-

¹¹⁸ – ABC.

¹¹⁹ ამისთსცა B

¹²⁰ კანონი A.

¹²¹ მსახურებათაჲცა A.

¹²² მამათასა CD.

შემოღებისა შევსძინოთ ესეცა თხრობასა ამას ჩუენსა:

იყო ვინმე კაცი, რომელსა სახელი ერქუა პატერმოთე, რომელი სურვილითა სოფლით განშორებისაჲთა¹²³ მოუვდა საკრებულოსა მონასტერსა და მრავალი ჟამი დაითმინა კართა ზედა მონასტრისათა¹²⁴, ვიდრემდის ფრიადისა მის
5 მოთმინებისა მისისაგან შეწყნარებულ იქმნა შინაგან მონასტრისა ძითურთ თვისით მცირით, რომელი ჰყვა მის თანა. და ვითარცა გამოცდილ იქმნა წესისაებრ მონასტრისა და მრავლითა შრომითა ღირს-იქმნა მათ თანა აღრაცხვად, არა ხოლო თითოსახეობასა¹²⁵ მსახურებათასა¹²⁶ მიეცნეს იგინი,
10 არამედ სენაკსა შინა ერთბამად ყოფისაგანცა განშორებუ [[77v II]ლ იქმნნეს და თუსაგან შეიყენნეს] ურთიერთას განყოფილად, რაათა ვორციელითა მით განშორებითა გონებისაცა იგი შეერთებულებაჲ დაჰვსნან, ვინაჲცა მადლითა ქრისტესითა ყოვლითა განთავისუფლებითა სრულიად გან-
15 თავისუფლდა მამაჲ¹²⁷ იგი მის ყრმისაჲ¹²⁸.

ერთსა უკუე დღესა ყო ტანჯვად, გამოსაცდელი მოთმინებისა მისისაჲ¹²⁹ წინამძღუარმან, რამეთუ აღიძრა რეცა დრტუნვით და სიფიცხით ყრმისა მის მიმართ და უბრძანა მამასა მისსა მიყვანებად იგი და შთაგდებად მდინარესა.
20 ხოლო მას, ესე რაჲ ესმა, ვითარცა ღმრთისა მიერ ბრძანებულმან, აღიკიდა ყრმაჲ¹³⁰ იგი და სწრაფით¹³¹ მირბიოდა კიდედ მდინარისა¹³² და ისწრაფდა აღსრულებად საქმისა

¹²³ განშორებისათა B.

¹²⁴ მონასტრისაჲთა D.

¹²⁵ თვოსახეობასა A.

¹²⁶ მსახურებისათა B მსახურებათა CD.

¹²⁷ მამა BC

¹²⁸ ყრმისა B

¹²⁹ მისისა BC

¹³⁰ ყრმა BC

¹³¹ მსწრაფლ CD.

¹³² მდინარესა A.

მის მკურვალეებითა სარწმუნოებისა და მორჩილებისათა¹³³. მაშინ ძმათა მათ არა თავს-იდვეს საქმე იგი, არამედ მის-დევედეს მას სწრაფითა დიდითა და მისტაცეს ყრმა¹³⁴ იგი. ხოლო დაღაცათუ ძმათა მათგან დაყენებულ იქმნა, არამედ
5 ღმრთისა მიერ ესოდენ შეწყნარებულ იქმნა სარწმუნოებად და მორჩილებად მისი, ვიდრემდის გამოეცხადა წინამძღუ-არსა მონასტრისასა ღმრთისამიერი ჩინება¹³⁵, ვითარმედ საქმე აბრაჰამისი აღასრულა ძმამან მან.

ხოლო შემდგომად მცირედისა ჟამისა მიიცვალა წი-
10 ნამძღუარი იგი მის მონასტრისა და დაუტევა ადგილსა თუსსა წინამძღურად [78r I] ზემოვსენებული იგი პატერ-მოთე, ვითარცა ღირსი მუშაკი სათნოებისა¹³⁶.

კუალად, სსუა ძმა¹³⁷ ვიხილეთ, სოფლით მოსრული მონაზონებად, რომელი-იგი სოფელსა შინა დიდ იყო და
15 წარჩინებულ პატივითა, რამეთუ მამა¹³⁸ მისი სტრატიოტ¹³⁹ იყო და ფრიად მდიდარ და დიდებულ და¹⁴⁰ საღმრთოთა წერილთა სწავლულ. ხოლო ამან ნეტარმან დაუტევა მამა¹⁴¹ თუსი და ყოველნი სოფლიონი შფოთნი და პატივი¹⁴² და წარჩინებულებად და მონაზონებისა ცხორებად მოის-
20 წრაფა და გამოსაცდელად მოთმინებისა მისისა და სიმდაბ-ლისა და სარწმუნოებისა ებრძანა წინამძღურისაგან მონ-ასტრისა ათთა სპურიდთა აღკიდებად და თუსად ქალაქად წარღებად და მუნ განსყიდა და რაფთა არა ყოველნი ერთ-

¹³³ მორჩილებისათა BC

¹³⁴ ყრმა BC

¹³⁵ ჩუენებად BCD.

¹³⁶ სათნოებისა C.

¹³⁷ ძმა BC

¹³⁸ მამა BC

¹³⁹ სტრატიოტი A.

¹⁴⁰ - BCD.

¹⁴¹ მამა C

¹⁴² პატივნი B

ბამად¹⁴³ განსყიდნეს, არამედ თითოეული¹⁴⁴ თუსაგან. ხოლო მან მხიარულებით აღასრულა საქმე იგი მოთმინებით და სიმდაბლით და განსყიდა თითოეული¹⁴⁵ თუსაგან და არასადა მოიგონა უნდობად საქმისა¹⁴⁶, არცა შეურაცხებად ვაჭრო-ბისა, არცა წარჩინებულებად თუსისა ნათესავისა, არამედ
5 მოსწრაფე იყო თავისა თუსისა მიმსგავსებად სიმდაბლესა მეუფისა ქრისტესსა.

ამათ წმიდათა მამათა თანა ვიხილეთ ჩუენ სსუ-ა-ადაცა მოლუაწე ჭეშმარიტებისა¹⁴⁷, სახელით პინოფი-ოს¹⁴⁸, კაცი ყოვლითა სათნოებითა განშუე[78r II]ნებული, 10 რომელი იყო მღვდელი და მამა¹⁴⁹ დიდისა მონასტრისა კრებულთა[ა]¹⁵⁰, რომელი შენ არს მახლობელად პან-ეფო ქალაქისა.

ესე ყოვლადქებული ხედვიდა თავსა თუსსა ყოველთა მიერ პატივცემულად სათნოასათუს¹⁵¹ მოქალაქობისა მისისა და სი-
15 ბერისა, და რამეთუ ყოველთა წინამძღუარი იყო, ამისთუსცა ვერ შემძლებელ იყო განძარცუვად¹⁵² თავსა თუსისა დიდები-სა მისგან და სიმდაბლით მოქალაქობად, ვითარცა-იგი იყო პირველ, დასაბამსა სასურველისა მის მორჩილებისა მისისასა და მოლუაწებით ცხორებისასა. განეშორა უკუე ფარულად
20 თუსისა მის მონასტრისაგან მარტომ და წარვიდა განშორე-ბულთა ადგილთა თებადლისათა და აღიძარცუა სამოსელი სამონაზონოდ და შეიმოსა სამოსლითა საერისკაცოთა და

¹⁴³ ერთბამად ყოველნი BCD.

¹⁴⁴ თუთოეული A.

¹⁴⁵ თუთოეული A.

¹⁴⁶ საქმისა BC

¹⁴⁷ ჭეშმარიტებისა BC

¹⁴⁸ პინოფიოს B

¹⁴⁹ მამა BC

¹⁵⁰ კრებულთასა BC კრებულთა[ა] AD.

¹⁵¹ სათნოსათუს BC

¹⁵² განძარცვად BC

ეგრეთ მივიდა საკრებულოსა მონასტერსა ტავენესელთასა, რამეთუ ჰგონებდა, ვითარმედ ვერ საცნაურ იყოს მათდა, თუ ვინ არს ანუ ვინაჲ, ვინაჲთგან ფრიად იყვნეს დამკვდრებულნი და უმრავლეს მიმავალნი¹⁵³, რომელთა შეიწყნარებდეს სამსახ-
5 ურებელთა შინა თითოსახეთა¹⁵⁴.

მრავალთა უკუე დღეთა ევედრებოდა, რაათა შეიწყნ-
არონ იგი, ხოლო უკუნაჲსკნელ შეწყნარებულ იქმნა სიმ-
რავლითა მოთმინებისა მისისაჲთა¹⁵⁵ და მიითუალა¹⁵⁶ იგი
წინამძღუარ[78v I]მან მონასტრისამან და, რამეთუ ხედ-
10 ვიდეს მას დაბერებულ და ვერ-შემძლებელ¹⁵⁷ ქმნად რაჲს-
ამე¹⁵⁸ სხჳსა უძლიერესთა საქმეთაგანისა, ამისთჳსცა მისცა
მას მსახურებად ქმნაჲ ბოსტნისაჲ, ერთისა თანა სხჳსა ძმისა,
რომლისა¹⁵⁹ დამორჩილებულ იყო ნეტარი ესე და მრავლით
ჟამითგან სასურველსა მას და საწადელსა მსახურებასა
15 მორჩილებისასა მოთმინებით აღასრულებდა. და არა ამას
ხოლო კმა-იყოფდა მსახურებასა, არამედ რომელი-იგი სხუ-
ათა მძიმედ საგონებელ უჩნდა, მას იგი გულსმოდგინებით
და ადვილად აღასრულებდა.

და ესრეთ დაყვნა სამისა წლისა ჟამნი მსახურებასა
20 მას შინა და არავინ უწყოდა, იგი თუ ვინაჲ არს, და
მოწაფენი მისნი ეძიებდეს მას ყოველსა შინა ეგჳბტესა
და ძლითლა სამე საცნაურ იქმნა მათ მიერ, თუ ვიდრე
ვიდა წინამძღუარი იგი მათი. რამეთუ მიიწია მუნ ერთი
ძმად მოწაფეთა და მეძიებელთა მისთაგანი და იხილა ბერი
25 იგი და იცნა მსგავსებითა ხატისა პირისა მისისაჲთა¹⁶⁰, და

¹⁵³ და უმრავლეს მიმავალნი] – BC
¹⁵⁴ თუთოსახეთა A.
¹⁵⁵ მისისაჲთა BC
¹⁵⁶ მიითუალა BC
¹⁵⁷ და ვერ შემძლებელ] – A.
¹⁵⁸ რასამე B
¹⁵⁹ რომლისადა BCD.
¹⁶⁰ მისისაჲთა BC

ჯერეთ იჭუეულდა იყო და ჰგებდა სმენად ჳმისაცა მისისა,
რამეთუ ვერ დაამტკიცებდა ხედვითა ოდენ სახისაჲთა¹⁶¹,
ვინაჲთგან ხედვიდა მას [78v II] კაცსა მოხუცებულსა და
სათხროლი ველთა მისთა, და ეგრეთ იქმოდა ქუეყანასა და
სკორე მჯართა ზედა თჳსთა ეტჳრთა და ძირსა მხლები- 5
სასა დაუსხმიდა. ხოლო ესმა რაჲ ჳმად მისი, მეყსეულად
დააგდო თავი თჳსი ფერჳთა თანა მისთა.

და ესე რაჲ ქმნა¹⁶², დიდი განკჳრებაჲ მოატყუა მუნ
მდგომარეთა მათ, თუ ვითარ კაცსა ახალმონაზონსა და
არა მრავლისა ჟამისა უწინარეს სოფლით გამოსრულსა 10
და უკუნაჲსკნელ¹⁶³ ყოველთა მოსრულად საგონებელსა
ესევეითარი პატრივი უყო. ამისსა¹⁶⁴ შემდგომად ისწავეს
და ცნეს, თუ ვინ არს ანუ ვინაჲ, და ესმა რაჲ სახ-
ელი მისი, რომელი-იგი მრავალგზის ასმიოდა, უფროჲსად
განკჳრვებულ იქმნეს, რამეთუ დიდად წარჩინებულე- 15
ბაჲ მისი უწყოდეს, და შენდობასა ითხოვდეს, რამეთუ
უმეცრებით უკუნაჲსკნელ¹⁶⁵ მოსრულთა და ახალმონა-
ზონთა რიცხუსა დააწესეს იგი. და ევედრნეს მას ფრიად
და მრავლითა იძულებითა წარგზავნეს იგი თჳსსავე მონ-
ასტერსა, აღსავსე სიმრავლითა გოდებისაჲთა, რამეთუ 20
დაყენებულ იქმნა საწადელისა მის მისისა სიმდაბლისა
და მორჩილებისაგან.

ხოლო მი-რაჲ-ვიდა თჳსსა მას მონასტერსა და დაყ-
ვნა¹⁶⁶ მუნ მცირედნი ჟამნი და კუალად აღიძრა¹⁶⁷ მის
შორის საღმრთოჲ¹⁶⁸ იგი ცეცხლი სიმდაბლისა და მორ- 25

¹⁶¹ სახისაჲთა BC
¹⁶² იქმნა A.
¹⁶³ უკუნაჲსკნელ BC
¹⁶⁴ ამისა B
¹⁶⁵ უკუნაჲსკნელ BC
¹⁶⁶ დაყუნა B
¹⁶⁷ აღძრა C.
¹⁶⁸ საღმრთო C.

ჩილები¹⁶⁹ და მოიძია ჟამი მარჯუენ და წარივლტოდა
 ღამით, [არღარა] კერძოთა თებაიდის[79r I]ათა, არამედ
 უცხოთა და შორთა ქუეყანათა შევიდა ნავსა და მივიდა
 კერძოთა პალესტინისათა, რამეთუ ესვიდა მუნ შინა ფა-
 5 რულად დამალვასა. და შევიდა მონასტერსა, რომელი
 შენ არს მახლობელად ქუაბსა მას, სადა-იგი იშვა უფალი
 ჩუენი და ღმერთი იესო ქრისტე წმიდისაგან ქალწულისა.
 მას მონასტერსა უკუე შევიდა და იქცეოდა მუნ ჟამ
 რავდენმე. ხოლო¹⁷⁰ ვერ შესაძლებელ იქმნა სივლტოლითა
 10 მით მისითა დაფარვად ყოვლადქებული იგი, რამეთუ ვერ
 ეგებოდა, რამთამცა დაივსნა სიტყუაჲ იგი უფლისაჲ,
 რომელი იტყვს, ვითარმედ: „ვერ შესაძლებელ არს და-
 ფარვად ქალაქი, მთასა ზედა დაშენებული“ (მთ.5,14.).
 არამედ მოვიდეს ძმანი კერძოთაგან ეგვპტისათა თაყუა-
 15 ნისცემად წმიდათა მათ ადგილთა და იცნეს ნეტარი იგი
 და ფრიადითა ვედრებითა და იძულებითა ძლით დაარწ-
 მუნეს და წარიყვანეს იგი კუალად თუსსავე მონასტერსა.
 ამას უკუე წმიდისა და ჭეშმარიტსა¹⁷¹ კაცსა თანა
 ღმრთისასა ვიყოფოდე¹⁷² მე მცირედჟამ და მესმა მის-
 20 გან, რაჟამს-იგი მის თანა ვიყავ, რამეთუ ასწავებდა ვისმე
 ძმათაგანსა, რომელი მას ოდენ ჟამსა შეეწყნარა მონას-
 ტერსა თუსსა. ხოლო სწავლა¹⁷³ იგი მე აქა აღვწერო,
 ვითარცა შუენიერი და სარგებელი სულთა¹⁷⁴ და ეგრეთ
 დავაცადო თხრობაჲ ესე.
 25 რამეთუ იტყოდა მისა მიმართ ყოვლადქებული ეს[ე] ეს-
 რეთ, ვითარმედ: გული[სვმა-გიყოფ[79r II]იეს-ა, ძმაო, თუ¹⁷⁵

¹⁶⁹ მორჩილებისა BC
¹⁷⁰ – BCD.
¹⁷¹ ჭეშმარიტად D.
¹⁷² ვიყოფოდე CD.
¹⁷³ სწავლა BC
¹⁷⁴ სულთა BC
¹⁷⁵ – AB

რაოდენნი ჟამნი დაგიყოფიან წინაშე კართა მონასტრისათა
 და დღესლა შინაგან შემოყვანებულ¹⁷⁶ იქმენ? უკუეთუ აწ
 გულისვმა-გიყოფიეს¹⁷⁷ მიზეზი ეგე დასაბამისა სიძნელისა¹⁷⁸,
 შესაძლებელ არს შენდა სლვადცა გზასა მას, რომლისათუს-
 იგი გსურის სლვად, და სარწმუნოდ მონად ქრისტესსა გა- 5
 მოჩინებად, რამეთუ, ვითარცა რომელნი-იგი ერთგულებით
 და სარწმუნოდ ჰმონებდიან მეუფესა და მის მიერ დიდე-
 ბათა და პატივთა ყოფად მოელოდიან¹⁷⁹, პირველად თავნი
 თუსნი განჰმზადნიან, რამთა არა უდებებით და დავსნილე-
 ბით¹⁸⁰ მოუკდენ წოდებასა მისსა, ვინათგან უმჯობეს არს, 10
 სიტყვსაებრ წერილისა, არაალთქუმაჲ, ვიდრე ალთქუმასა
 და არა მიცემასა; და კუალად ითქუმის, ვითარმედ: „წყ-
 ეულ იყავნ ყოველი, რომელი იქმოდის საქმესა უფლისასა
 უდებებით“ (იერ.48,10).

ამის მაღლისათუს გარე-მიგაქცევდით შენ და იჭუეულ 15
 ვიყვენით შეწყნარებად შენდა, არა თუ რამეთუ არა გული
 გვთქუმიდა¹⁸¹ ცხორებისა შენისათუს, არამედ რამთა არ-
 აწარმდებებით და მსწრაფლ შემთხუევიით შეწყნარებულ
 იქმნე და ესრეთ ჩუენ გუაქუნდეს ღმრთისაგან საშჯელი¹⁸²
 აღტაცებულებისა¹⁸³ და სისუბუქისა¹⁸⁴, ხოლო შენ თანამ- 20
 დებ უმძიმესისა ცოდვისა და საშჯელისა¹⁸⁵ იპოო, რამეთუ
 უკუეთუმცა აწ ადვილად და სწრაფითმცა [შეწყნ[79v I]ა]
 რებულ იყავ და არამცა გესწავა სიმძიმე და სიმტკიცე ამის

¹⁷⁶ შემოყვანებულ B
¹⁷⁷ გულისხმა D.
¹⁷⁸ სიძნელისა BC
¹⁷⁹ მოელოდიან CD.
¹⁸⁰ ვსნილებით A
¹⁸¹ გითქუმიდა ABC.
¹⁸² სასჯელი BCD.
¹⁸³ აღტაცებულებისა BCD.
¹⁸⁴ სისუბუქისა BC
¹⁸⁵ სასჯელისა BCD.

მოქალაქობისა¹⁸⁶, ამისა შემდგომად უდბად¹⁸⁷ და დაჯსნი-
ლად¹⁸⁸ იხილვებოდე. ამის პირისათჳს გიჳმს შენ ცნობად,
ვითარცა თქუმულ არს, მიზეზსა ძნიად შეწყნარებისასა,
რამეთუ უკუეთუ ესე უწყოდნი, შემძლებელ ხარ ცნობად
5 მისსაცა, რამ-იგი ჯერ-არს შენდა ყოფად.

რამეთუ მორჩილება და მონაზონება არარად სხ-
უად¹⁸⁹ გულისჯმა-იყოფების, არამედ ჯუარცუმისა¹⁹⁰ და სი-
კუდილისა ქადაგებად, რამეთუ დღესით დღითგან ჯუარ-
ცუმულ ხარ და მომკუდარ შენ სოფლისა, და სოფელი
10 – შენდა (მდრ.გალ.6,14), სიტყვსაებრ მოციქულისა. ვი-
ნამცა იხილე, თუ რამ არს ძალი ჯუარცუმისა, ვინამთგან
უკუე ამიერითგან არღარა შენ ცხოველ ხარ, არამედ იგი
ცხოველ არს შენ შორის, რომელი ჩუენთჳს¹⁹¹ მომკუდარ
იქმნა (მდრ.გალ.2,20), რამეთუ ამით სახითა და ამისთჳს
15 უფალი ჩუენი დამოეკიდა ჩუენთჳს ძელსა. და ეგრეთვე
ჩუენდა სათანადო არს აღსლვად¹⁹² ცხორებისა ამისგან და
ჯუარსა ზედა მოლუაწებისასა დამსჭუალვად, ვითარცა-იგი
დავით ილოცავს¹⁹³ შემსჭუალვად¹⁹⁴ ვორცთა მისთა¹⁹⁵ შიშ-
სა ღმრთისასა (მდრ.ფს.118,120), რამეთუ ვითარცა იგი,
20 რომელსა ვორცნი შემსჭუალულად¹⁹⁶ აქუნდეს¹⁹⁷ ძელსა
ზედა, შეუძრველად ჰგიეს ყოვლისავე საქმისა მიმართ, რო-

¹⁸⁶ მოქალაქობისა BC

¹⁸⁷ – BC

¹⁸⁸ ვსნილად BCD.

¹⁸⁹ არარად სხუად ABCD.

¹⁹⁰ ჯუარცუმისა C

¹⁹¹ შენთჳს BCD.

¹⁹² აღსლვა BC

¹⁹³ ილოცვის ABC.

¹⁹⁴ შემსჭუალვად ABC.

¹⁹⁵ თჳსთა BCD.

¹⁹⁶ შემსჭუალულად ABC.

¹⁹⁷ აქუნდენ BCD.

მელიცა ენებოს, ეგრეთვე, რომელი შემსჭუალულ¹⁹⁸ [იყოს]
შიშსა ღმრთისასა, შეუძრ[79v II]ველად ჰგიეს ეგევითარი
ყოველთა მიმართ ვორციელთა განზრახვათა და ნებათა. და
ვითარცა-იგი ჯუარსა შემსჭუალული¹⁹⁹ არარას ქუეყნიერსა
ზრუნავს, არცა თჳსისა ნებისა დამოკიდებულ²⁰⁰ არს, არა 5
ალიძრვის გულისთქუმითა, არცა ზრუნვითა ნაშენებთამთა
იიძულების, არცა ჳმათა ზედა განჰკრთების, არცალა უპა-
ტიოებითა, გინა გინებითა მუნ მყოფთამთა შეწუხების,
არცა თანაწარმავალთა მიმართ გზისათა მხედველ არს,
არამედ შემდგომად მცირედისა ამის ცხორებისაგან 10
განსლვასა მოელის ჯუარცუმისა²⁰¹ მის მიერ, ესრეთვე არს,
რომელი ჳემმარიტებით სოფლისა ამისგან განყენებულ არს
და²⁰² შიშსა ღმრთისასა ჯუარისსახედ შემსჭუალულ²⁰³ არს
და ცხორებისა ამისგან განსლვასა დღითიდღე მომლოდე
არს, შეუძრველ და უქმ არს ესევითარი-იგი ყოვლისაგან 15
გულისთქუმისა და ნებისა ვორციელისა.

შენ უკუე, ძმაო, დაიცევ²⁰⁴ თავი თჳსი! ნუსადა მათგან-
სა რასმე²⁰⁵ მოღებად გულმან გითქუას²⁰⁶, რომელთაგან-იგი
განეყენე და განიძარცუენ²⁰⁷, რამეთუ, სიტყვსაებრ უფლისა:
„რომელმან დასდვას ჳელი ერქუანსა და ხედვიდეს მართ- 20
ლუქუნ, ვერ წარემართოს სასუფეველსა ცათასა“ (ლკ.9,62);
და კუალად: „რომელნი-იგი მალლისა მოქალაქობისაგან
გარდამოვლენ მდაბლისა და ქუეყნიერისა [80v I] [საქმისა

¹⁹⁸ შემსჭუალულ BC.

¹⁹⁹ შემსჭუალული ABC.

²⁰⁰ დამოკიდულ CD.

²⁰¹ ჯუარცუმის A

²⁰² და] A

²⁰³ შემსჭუალულ ABC.

²⁰⁴ დაიცუენ AC

²⁰⁵ რასმე C

²⁰⁶ გითქვას C

²⁰⁷ განიძარცუენ B

მიმართ, იგინიცა გარეშე მცნებათა უფლისათა იქმნ²⁰⁸, რამეთუ გარდამოვლენ ერდოთ სახიდ აღებად რაასამე უნდოთა და შეურაცხთაგანისა“. დაიცევ თავი თუსი, ნუსა- და პირველთა მათ მშობელთა მოივსენო²⁰⁹ სურვილი და 5 ზრუნვითა საწუთრომსაათა²¹⁰ გარემიქცეულ იქმნე²¹¹ და ვერ წარმართებულ იქმნე სასუფეველსა ცათასა (შდრ. ლკ.9,62), სიტყუსაებრ უფლისა და ღმრთისა ჩუენისა.

დაიცევ, ნუსადა კუალად გეუფლოს ამპარტაგანე- ბაა²¹², რომელი-იგი აწ დაგითრგუნავს დასაბამი[თა]²¹³ მაგ- 10 ით მჭურვალეებითა სიმდაბლისაათა²¹⁴, არამედ²¹⁵ ეკრძაღე ნუუკუე კუალად აღდგეს შენ ზედა, რაჟამს დაისწავლო დაგითნი, გინა სხუამ რომელიმე წერილთაგანი და, სი- ტყუსაებრ მოციქულისა, რომელი-იგი დაარღვე, კუალად მასვე აღაშენებდე და გარდამავალ შჯულისა²¹⁶ თავი თუსი 15 გამოაჩინო (შდრ.გალ.2,18), არამედ უფროსლა²¹⁷, ვი- თარცა-იგი იწყე და აღიარე სიმდაბლე წინაშე ღმრთისა და ანგელოზთა და კაცთა, ვიდრე აღსასრულამდე დაიცევ იგი, ეგრეთვე მსგავსად ისწრაფე აღორძინებად და არა წარწყმედად გულსმოდგინებისა მის და მოთმინებისა, რომ- 20 ელი-იგი გაქუნდა, რაჟამს მდგომარე იყავ წინაშე კართა და ცრემლითა²¹⁸ ევედრებოდე ყოველთა შეწყნარებად შენდა], რამეთუ სა[წყ]ალობ[80r II]ელ ხარ, უკუეთუ არა,

²⁰⁸ იქმან CD.

²⁰⁹ მოივსენე BCD.

²¹⁰ საწუთრომსათა BC.

²¹¹ იქმენ A

²¹² ამპარტაგანებად BCD.

²¹³ დასაბამისა ABCD.

²¹⁴ სიმდაბლისათა CD.

²¹⁵ ვითარმედ B

²¹⁶ სჯულისა A

²¹⁷ უფროსლა C

²¹⁸ ცრემლით D.

დღითიდლე შესძინებდე პირველსა მას მჭურვალეებასა და²¹⁹ დღითიდლე არა აღიწეოდი სრულებისა მიმართ, ანუ თუ დატევებულ იქმნებოდი და შთამართ შთახვლოდი, რა- მეთუ არა იგი არს სანატრელ, რომელმან იწყო კეთი- 5 ლად, არამედ რომელი ვიდრე აღსრულება[დ]მდე კეთილ- სა მას შინა დაადგრა რამეთუ ქუემძრომელი იგი გუელი მარადის ბრჭალსა ჩუენსა უმზირს (შდრ.დაბ.3,15), ესე იგი არს, ჩუენსა აღსასრულსა, და ვიდრე აღსასრულა[დ] მდე ცხორებისა ჩუენისა შებრკოლებასა ჩუენსა მოელის. და ამის²²⁰ ესევეითარისა მიზეზისათუს დაწყება²²¹ არად 10 სარგებელ არს ჩუენდა, არცა დასაბამისა²²² იგი სოფლით გამოსლვისა²²³ მჭურვალეებად, უკუეთუ არა დასასრულიცა მსგავსად პირველისა მის იქმნას და სიმდაბლე იგი ქრისტე- სი, რომელსა ესერა წინაშე მისსა მიგიტხრობ, არათუ სხვ- თა რაათმე განმტკიცების, არამედ ვიდრე აღსასრულა[დ] 15 მდე მსახურებად მისა მოსწრაფებით²²⁴ და მოთმინებითა, ვინამცა რაათა სრულიად წარმართებად ამისსა შემძლე- ელ იქმნე და შემუსრვად თავსა ვეშაპისასა ისწრაფე. და რაჟამს მოგივდენ შენ გულისსიტყუანი, მეყსეულად და[80v I]საბამითგან აღუვარებდი ყოვლისა მისთუს, რამეთუ ფრი- 20 ად კეთილ არს დასაბამსა და დაწყებასა ბოროტთა მათ გუელთასა²²⁵ განქიქებად, რომელ არიან ბოროტნი გულის- სიტყუანი, რომელთა უჯერო²²⁶ არს დაფარვად სულიერისა მის მამისა ჩუენისაგან მიზეზითა სარცხვლისაათა, რამეთუ ესრეთ შეიმუსრვიან თავნი იგი ბოროტთანი. 25

²¹⁹ და] ABC.

²²⁰ ამას AC.

²²¹ დაწყებად C.

²²² დასაბამისა BCD.

²²³ გამოსლვისა A

²²⁴ მოსწრაფებითა BCD.

²²⁵ გუელთასა D.

²²⁶ უჯერო BC

ვინადაც, სიტყვსაებრ წერილისა, უკუეთუ მოსრულ ხარ მონებად უფლისა, განუმზადე თავი შენი და გონებად ნუ განსუენებათა და უჭირველობათა, არამედ შრომათა და ჭირვეულობათა²²⁷, „რამეთუ მრავლითა ჭირითა 5 გკვამს ჩუენ შესლვად სასუფეველსა ცათასა“ (საქ. 14.22) და „იწრო არს ბჭე და საჭირვო²²⁸ გზა²²⁹, რომელი მიიყვანებს ცხორებად, და მცირედნი არიან, რომლნი ჰპოებენ მას“ (მთ.7,14). ხოლო შენ ემსგავსე მცირეთა მათ და კეთილთა და სახედ შემოღებითა მათითა განაკანონე²³⁰ და 10 განსაზღვრე²³¹ ცხორებად შენი და ნუ ემსგავსები უღებთა მათ და შეურაცხისმყოფელთა, დაღაცათუ მრავალ არიან, რამეთუ „მრავალნი არიან ჩინებულ, ხოლო მცირედნი რჩეულ“ (მთ.20,16). და მცირე არს სამწყსო იგი, რომელთათჳს სათნო-იყო მამამან ზეცათამან მიცემად სასუფეველი, 15 რამეთუ ნუ მცირე ცოდვა გგ[ონიეს ალთქუმად სრულ] [80v II] ებისა და მიდევნებად უღებებისა დაუსრულებელისა²³². ხოლო შენ, უკუეთუ გნებავს აღსლვად სრულებისა მიმართ, ესე იჯუმიე განწყობილება სათნობათა და ესევეითარსა აღვიდოდე კიბესა.

20 პირველი უკუე კიბე²³³ სათნობათა²³⁴ და დაწყებად ჩუენისა ცხორებისა და უცთომელობისა²³⁵ არს შიში ღმრთისა²³⁶, რამეთუ ამის მიერ იქმნების განწყმედა²³⁷

²²⁷ არამედ შრომათა და ჭირვეულობათა] - BCD.

²²⁸ საჭირო BCD.

²²⁹ გზა BC

²³⁰ განკანონე ACD.

²³¹ განსაზღვრე B

²³² დაუსრულებელისა BC

²³³ - BCD.

²³⁴ სათნობათა BC

²³⁵ უცთომელობისა BC

²³⁶ ღმრთისა C.

²³⁷ განწყმენდა C.

ცოდვათა²³⁸ და დაცვა²³⁹ სათნობათა²⁴⁰ და გზა²⁴¹ აღმყვანებელი სრულებისა მიმართ, რამეთუ რაჟამს შიში ღმრთისა შევიდეს სულსა შინა, არწმუნებს მას შეურაცხ-ყოფად ყოველთა საქმეთა სოფლისათა და დავიწყებად 5 ვორციელთა მშობელთა და რაოდენი არს სოფელსა შინა. ამის მიერ იშვების სიმდაბლე, რომელი-იგი არს თავი და სრულება²⁴² ყოველთა წარმართებათა²⁴³, რამეთუ შეურაცხ-ყოფასა და სოფლითა საქმეთაგან სრულიადსა განყენებასა სიმდაბლე გამოცდილებით გვჩუენებს და სასწაულთა მისისა მქონებელისათა ესევეითართა სახეთა მიერ 10 გუაუწყებს: პირველად, უკუეთუ მოუგეც - სრულიად მოკუდინება²⁴⁴ თჳსისა ნებისა²⁴⁵, მეორედ, რაათა არა საქმეთა, არამედ მოგონებათაცა თჳსთა აღუვარებდეს წინამძღუარსა და არარას დაუფარვიდეს ს[ულიერსა მას მა მასა თჳსსა; მესა][81r I]მედ, რაათა არა თჳსისა გონიერები 15 სასა ირწმუნებდეს, არამედ წინამძღურისასა და მარადის წყურიელ იყოს სმენად რადასამე მხილებისა და სწავლისა მისისა; მეოთხედ²⁴⁶, რაათა ყოველსავე შინა ურცხუნელად და უეჭუელად ჰმონებდეს ყოველსავე ბრძანებულსა მამისა თჳსისასა; მეხუთედ²⁴⁷, რაათა არა თჳთ ოდენ ვისსა²⁴⁸ იკადრებდეს გინებასა, არამედ სხუათა მიერცა მოწიგნულთა ჭირთა და შეურაცხებათა სისხარულით და მადლობით მოითმენდეს; 20

²³⁸ ცოდვათა BC

²³⁹ დაცვა BC

²⁴⁰ სათნობათა BC

²⁴¹ გზა BC

²⁴² სრულება C.

²⁴³ წარმართებათა C.

²⁴⁴ მოკუდინება C.

²⁴⁵ ნებისა BC

²⁴⁶ მეოთხე D.

²⁴⁷ მეხუთედ A.

²⁴⁸ არავისსა BCD.

მეექუსედ, რაათა არა იწყოს უახლესსა რასმე²⁴⁹ საქმედ, რომელსა არა უბრძანებდეს ზიარი კანონი და წესი, დაწესებული წმიდათა მამათა²⁵⁰; მეშუდედ, რაათა ყოველსავე უნდოსა და შეურაცხსა კმა-იყოფდეს და მიცემულსა მისდა მადლობით მიიღებდეს და უღირსად მათისაცა მიღებისა თავსა თუსსა იტყოდეს²⁵¹; მერვედ, რაათა ყოველთა ძმათასა უუნდოეს შეურაცხოს თავი თუსი ჭეშმარიტითა გონებისა სიმდაბლითა; მეცხრედ, რაათა შეკრძალულ იყოს ენითა და არა წარმდებ სიტყვთა და არა განტყვებულ ვბითა; მეათედ, რაათა არა იყოს ადვილად მიმავალ სიცილისა მიმართ, არცათუ ფრიადისა ღიმილისა.

ამათ და ესევითართა სახეთა [81r II] მიერ სიმდაბლე იცნობების, რომელი-იგი²⁵² უკუეთუ ვისმე ჭეშმარიტებით წარემართოს ესევითარი იგი, მსწრაფლ ამაღლდეს სიმაღლედ მიმართ სიყუარულისა, სადა-იგი არღარა არს შიში ტანჯვისაჲ, სადა-იგი სიმრავლე ყოველთა²⁵³ სათნოებათა²⁵⁴ არღარა ჭირით და იძულებით დაიწყების, არამედ სურვილითა და ცეცხლითა საღმრთოჲსა ტრფიალებისაჲთა²⁵⁵ კეთილად და ადვილად წარემართების.

ვინამცა მოსწრაფებაჲ შენი ამას ზედა იყავნ, რაათა ებაძვებოდი ცხორებასა მცირეთა მათ თანა მოქალაქეთა შენთასა და პატროსნებით და წარჩინებულებით მოლუაწეთა ძმათასა, რომელთა მიერ უადვილეს²⁵⁶ წარემართების სათნოებაჲ. და ნუ ჰბაძავ უმრავლესთა მათ, რომელნი-იგი დაჯსნილობით და უდებებით მოქალაქობენ, რამეთუ ბაძვად

²⁴⁹ რაამე C

²⁵⁰ მამათა C

²⁵¹ იტყოდის CD.

²⁵² მიერ სიმდაბლე იცნობების რომელი] - A.

²⁵³ - BCD.

²⁵⁴ სათნოებათა BC

²⁵⁵ ტრფიალებისათა BC

²⁵⁶ უადვილე A.

და მსგავსებაჲ მოსწრაფეთა²⁵⁷ დიდად სარგებელ ექმნების მათ, რომელთა ენებოს მიწვენად²⁵⁸ თავსა სისრულისასა.

და შენცა უკუეთუ გნებავს ამათ ყოველთა შედგომად და წესთა კრებულისათა²⁵⁹ ვიდრე სიკუდილადმდე მოთმინებაჲ, ყოვლისა უპირატეს საჭირო²⁶⁰ არს შენდა და საცველად²⁶¹ ყოველსავე შინა სიტყუად იგი²⁶² დავითისი, რომელი-იგი საჯმარ არს ფრიად კრებულსა შორის²⁶³ ძმათასა მყოფთათუს: „ხოლო მე, ვითარცა ყრუსა, არა მესმოდა და ვითარცა უტყუმან, არა აღვალე პირი ჩემი, [81v I] ვიყავ მე კაცი უსმი, რომლისა²⁶⁴ თანა არა არნ პირსა მისსა სიტყუად“ (ფს.37,13-14). ეგრეთვე შენ, რაოდენიცა რაჲ იხილო უცხოჲ სარგებელისაგან და არა აღმაშენებელი სულისაჲ, იყავ მისსა მიმართ ბრმა²⁶⁵, და რაოდენიცა რაჲ გესმას, ესევითარი იქმენ მისსა მიმართ, ვითარცა ყრუჲ და უტყვ და ვითარცა კაცი, რომელსა არა აქუნ პირსა მისსა სიტყუად²⁶⁶, და ნუ გძაგან იგინი, ვითარცა უსმნი და წარმდებნი და მაგინებელნი და ურჩნი, არამედ ვითარცა უტყვ და უსმი, ეგრეთ შეემთხუეოდე ესევითართა მათ.

ხოლო უკუეთუ ვინმე გამხილებდეს შენ, გინა გაგინებდეს ანუ გაყუედრებდეს, აღუძრველად ეგე, ვითარცა უტყვ და უსმი. მარადის იწურთიდ სიტყუასა მას ფსალმუნთასა და თავსა შორის თუსსა იტყოდე მუჯლსა მას, ვითარმედ: „ვთქუ, ვიმარხნე გზანი ჩემნი, რაათა არა

²⁵⁷ მოსწრაფეთა BC

²⁵⁸ მიწვენად BCD.

²⁵⁹ კრებულისა BCD.

²⁶⁰ საჭირო A.

²⁶¹ დასაცველად ABC

²⁶² - BC

²⁶³ შინა BCD.

²⁶⁴ ვიყავ მე კაცი უსმი, რომლისა] - A.

²⁶⁵ ბრუმა B ბრმა D.

²⁶⁶ სიტყუა B

ვცოდო ენითა ჩემითა, დავსდევ საცოდა პირსა ჩემსა, მივ-
დებოდა რაა ცოდვილი წინაშე ჩემსა“ (ფს.38,1). მერმეცა
და ამათ თანა იწურთიდი და დაიცევდ²⁶⁷ მეოთხესა მას ამ-
ათსა და ზემოთგან აღრაცხულისა მის კიბისა აღსავალსა,
5 რომელი-ესე შემძლებელ არს სულელთა განბრძნობად და
უგუნურთა გონიერ-ყოფად, სიტყუსაებრ მოციქულისა, ვი-
თარმედ: „რომელსა უნდეს თქუენგანსა, რაათა იყოს ბრძენ,
[81v II] იქმენინ იგი სოფელსა ამას სულელელ“²⁶⁸ (Iკორ.3,18).
საცნაურ არს სიტყუსა ამის მიერ, ვითარმედ ესე არს სი-
10 სულელე, რაათა არავის განიკითხვიდეს და არცა რას ზედა
ორგულელებდეს, რომელიცა რაა ებრძანოს საქმე, არამედ ყოვ-
ლითა განმარტებულებითა და სარწმუნოებითა მორჩილებასა
აღასრულებდეს და იგი ხოლო ჰგონოს წმიდათა უწმიდესად
და ბრძენთა უბრძენსად და თანაწარუვალად თანანადებად,
15 რომელი-იგი მოძღურისა მისისაგან ებრძანოს. ესე შენდაცა
ესრეთვე იყავნ, და ამით მოძღურებითა გული შენი განმტ-
კიცებულ იყავნ, რაათა შეუძლო, ვიდრე აღსასრულად[დ]მდე
მოთმინებად უღელსა მორჩილებისასა და ვერრამან ეშმაკისა
მახეთა და მანქანებათაგანმან შეუძლოს შერყევად შენდა წე-
20 სისაგან საკრებულომასა.

ხოლო მოთმინებასა და სულგრძელებასა შენსა ნუ
ჰგონებ სხუსა რომლისამე სათნოებისაგან წარმართებად,
ვითარ რაჟამს არავინ განგაფიცხნებდეს²⁶⁹, გინა თუ არა
შეურაცხ-გყოფდეს ვინმე, ანუ არა გაგინებდეს, რომელი-
25 ესე არათუ შენსა ველმწიფებასადა შინა არს, რაჟამს არა
განჰფიცხნე; არცა შენითა სათნოებითა არს, რაჟამს არა-
ვინ მიზეზ-გცეს, არამედ იგი არს შენსა ველმწიფებასა,
რაჟამს იგინებოდი და უპატიო²⁷⁰ იქმნებოდი და შეურაცხ-

²⁶⁷ დაიცევდ A.

²⁶⁸ იქმენინ იგი სოფელსა ამას სულელელ – BC.

²⁶⁹ განგაფიცხნებდის A.

²⁷⁰ უპატიო A.

იქმნ[ებოდი და სიმშუდიო] [82r I] დაითმენდე. ესე არს მიზეზი,
მომცემელი შენდა სათნოებისა²⁷¹, და ამისი წარმართება იქმ-
ნების შეწვევითა ღმრთისაათა.

ხოლო რაათა ყოველნი ესე, რომელნი პირველ განთესულად
ვთქუენით, აწ კუალად ყოველნი იგი შემოკრებულად²⁷² ვთქუენით, 5
რაათა აღვილად დასასწავლელ შენდა იყვენ და არა ფრიადი
ჭირი გივმდეს მოვსენებად მათა. ისმინე უკუე გულსმოდგინებით,
თუ ვითარ გივმს მიწევნა სისრულესა: დასაბამი ჩუენისა ცხო-
რებისა²⁷³ არს შიში ღმრთისა (შდრ.იგავ.1,7;ფს.110,10) და მის²⁷⁴
მიერ იშვების²⁷⁵ კეთილი მორჩილება, ხოლო მორჩილებისა მიერ 10
იშვების²⁷⁶ განყენება სოფლისაგან და შეურაცხ-ყოფად ყოველთა
სოფლიოთა საქმეთა და მონაგებთა, ხოლო ამის მიერ იქმნების
სიმდაბლე, და სიმდაბლისაგან – მოკუდინება ნებათა, და მოკუ-
დინებისაგან ნებათა²⁷⁷ ძირნი ვნებათანი განვმებიან და ამის
მიერ ყოველნი ნაკლულევანებანი სულისანი განეგებიან და ვნე- 15
ბანი განიდევნებიან; ხოლო განდევნითა²⁷⁸ ვნებათათა²⁷⁹ სათნოე-
ბანი ნაყოფსა გამოიღებენ და აღორძინდებიან, და აღორძინებითა
სათნოებათათა²⁸⁰ სიწმიდე გულისა იქმნების²⁸¹, და სიწმიდი-
საგან გულისა მოციქულებრი იგი სრულება [წარმოიჩინების]
და სიყუარული[82r II]სა მადლი სრულ-იქმნების ქრისტეს იესუს 20
მიერ, უფლისა ჩუენისა, რომლისა შუენის²⁸² დიდება და სიმტ-
კიცე აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე. ამინ.

²⁷¹ სათნოებისა BCD.

²⁷² შემოკრებულად AB

²⁷³ ცხოვრებისა ABD.

²⁷⁴ ამის C.

²⁷⁵ იშვების B.

²⁷⁶ იშვების B.

²⁷⁷ ნებათასა C.

²⁷⁸ გადევნითა A.

²⁷⁹ ვნებათათა C.

²⁸⁰ სათნოებათათა BC.

²⁸¹ იქმნებიან BD.

²⁸² ჰშენის C.

ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი

ა

- ადგილ-ი** – 99.20; 102.10; 104.10; 105.22; 108.15
ადვილ-ი – არაძნელი, იოლი 106.18; 109.22; 116.10; 116.19;
119.6
ადვილ ჩენა – არაძნელად მიჩნევა 94.16
ათ-ი – 91.5; 104.22
ამაღლება – განდიდება 97.23; 116.14
ამინ – ნამდვილად, ჭეშმარიტად 119.22
ამპარტავანება-მ* – ამაყოფა, ზვაობა 93.19; 99.2; 112.8
ამპარტავან-ქმნა – ამაყად ყოფნა, ამაყად მოქცევა 97.23
ანგელოზ-ი – ზეციური ძალები, ღვთის მცნებათა მიმტანი
112.17
არადაფარვა-მ – არ დამალვა 96.1
არამედ – მაგრამ, ხოლო, და 115.13; 115.16
არარა-მ – არაფერი 92.26; 95.13; 111.4; 115.14
არასადა-მ – არსად 99.21; 105.3
არლარა-მ – აღარ, არაფერი 93.13; 102.20; 110.12; 116.15;
116.17
ასო-მ – სხეული, სხეულის ნაწილი 95.21; 95.22
აღდგომა – იხ. „სწორად აღდგომა“; წამოდგომა, აღმართვა
112.11
აღება-მ – აღება 112.2
აღვსებულ-ი – ავსებული, გავსებული 107.20
აღთქუმა-მ – დაპირება, აღთქმის დადება 109.11; 114.15
აღიარება – აღსარება, მართლის თქმა 98.6; 112.16; 113.20;
115.13
აღკიდება – ზურგზე მოკიდება 103.22

* ლექსიკონში მითითებულ „ა“ ხმოვანით დაბოლოებულ სახელებს ვუმატებთ „ა“-ს, ხოლო ხმოვანფუძიან ზმნურ ფორმებს წარმოვადგენთ ფუძის სახით.

- აღკიდება-მ** – იხ. „აღკიდება“ 104.22
აღმართება-მ – ამართვა, აყენება 90.6; 90.7; 102.9
აღმასრულებელ-ი – შემსრულებელი 90.17
აღმაშენებელ-ი – მაშენებელი 117.12
აღმოსავალ-ი – დედამიწის აღმოსავლეთ ნაწილი 102.14
აღმოსავლეთ-ი – იხ. „აღმოსავალი“ 89.3; 89.7; 100.14
აღმყვანებელ-ი – ზევით ამყვანი 115.2
აღორძინება – გაზრდა 119.17
აღორძინება-მ – იხ. „აღორძინება“ 112.18; 119.17
აღპყრობა – აშვერა, გაშლა 90.4
აღრაცხვა-მ – აღრიცხვა 103.9
აღრაცხუვა – იხ. „აღრაცხვა“ 93.22
აღრაცხულ-ი – აღრიცხული 118.4
აღრევა-მ – შერევა 94.24
აღრიცხუა-მ – იხ. „აღრაცხვა“ 93.22
აღსავალ-ი – საფეხური 118.4
აღსარება-მ – აღიარება 96.15; 96.19
აღსასრულ-ი – დასასრული, გარდაცვალება 112.17; 113.5;
113.8; 113.15; 118.17;
აღსლვა – ასვლა 102.25; 110.16; 114.17
აღსლვა-მ – იხ. „აღსვლა“ 114.17
აღსრულება – განსრულება, დასრულება, შესრულება, ქმნა
89.16; 89.18; 91.8; 91.14; 91.17; 92.1; 95.3;
96.23; 98.15; 100.22; 101.3; 101.4; 103.23;
105.2; 106.15; 106.18; 118.13
აღსრულება-მ – იხ. „აღსრულება“ 95.18; 100.16; 100.22;
102.21; 103.23
აღტაცებულება-მ – 109.20
აღჯრსხმა-მ – ლაგამის დადება 95.15
აღღება – გაღება, გახსნა 117.9
აღუძრველ-ი – 1 უძრავი, უშფოთველი 117.20
აღშენება – აგება, აღმართვა 112.14

აღძარცუვა – გახდა 94.8; 105.22
აღძრვა – ამოძრავება, დაძვრა 93.6; 103.18; 107.24; 111.6
აღწევა – მიწვენა 113.2
აღწერა – წერა, დაწერა 108.22
აღწერილ-ი – დაწერილი 89.10
ახალ-ი – 89.12
ახალმონაზონ-ი – ახლად აღკვეცილი მონაზონი,
მონასტრის ახალი წვერი 107.9; 107.17
ახალმოსრულ-ი – ახალ მოსული 92.4

ბ

ბაძვა – მიმსგავსება, მოშურნეობა 97.5; 99.17; 116.21; 116.24
ბაძვა-მ – იხ. „ბაძვა“ 116.25
ბერ-ი – მონაზონი კაცი 98.21; 106.24
ბოროტად – ცუდად 96.5
ბოროტ-ი – უკეთური, ცუდი, ეშმაკეული ძალები 96.8;
113.21; 113.22; 113.25
ბოსტან-ი – ბაღი, ყვავილნარი 106.12
ბრალეობა – დადანაშაულება, ბრალდება 101.24
ბრმა-მ – უსინათლო 117.13
ბრძანება – განწესება, თქმა 89.5; 94.23; 95.2; 95.12; 98.13;
98.20; 101.5; 103.19; 104.21; 116.2; 118.11; 118.15
ბრძანება-მ – იხ. „ბრძანება“ 89.9; 91.14; 96.22
ბრძანებულ-ი – ნაბრძანები 96.22; 97.3; 98.13; 101.5; 103.19;
115.19
ბრძენ-ი – გონიერი, მეცნიერი 118.7; 118.14
ბრძოლა-მ – ჩხუბი, წინააღმდეგობა 99.4
ბრჭალ-ი – ქუსლი, ტერფი 113.7
ბჭე – კარიბჭე 114.6

ბ

გალობა – ქება, სიმღერა 91.4

გალობა-მ – იხ. „გალობა“ 101.7
გამობრწყინება – გამონათება, გამოცხადება 102.28
გამომავალ-ი – ვინც გამოდის 100.20
გამომზრდელ-ი – მკვებავი, მზრუნველი 100.6
გამოსაცდელ-ი – 103.8; 104.20
გამოსლვა – გამოსვლა 92.11
გამოსლვა-მ – იხ. „გამოსლვა“ 91.12; 92.17
გამოსრულ-ი – გამოსული 107.10
გამოუცდელ-ი – იხ. „ჯერეთ გამოუცდელი“
გამოლება – აღმოცენება 119.17
გამოჩინება – საცნაურ ყოფა, გამოცხადება 94.15; 112.15
გამოჩინება-მ – იხ. „გამოჩინება“ 96.12; 109.5
გამოცდა – გამოძიება 103.8
გამოცდილ-ი – რჩეული, მარჯვე 94.22; 102.17
გამოცდილება-მ – ცოდნა, ცდა, განსჯა 92.12; 92.24
გამოცდილ-ქმნა – 103.8
გამოცხადება – განცხადება, ჩუენება, გამოჩინება 96.3; 104.6
განბნეულება-მ – გაფანტვა 90.16
განბნეულ-ი – გაფანტული 91.7
განბრძნობა-მ – განსწავლა 118.5
განგდება – იხ. „შორად განგდება“
განგება – გამართვა, მართვა, მოწესრიგება 119.15
განგება-მ – განაწესი, გამართვა 89.3; 102.6
განდევნა – გაძევება, განგდება 94.14; 119.16
განდევნა-მ – იხ. „განდევნა“ 94.16; 119.16
განზრახვა-მ – ფიქრი, მიჩნევა 96.16; 111.3
განთავისუფლება – თავის ხსნა 103.15
განთავისუფლება-მ – იხ. „განთავისუფლება“ 103.15
განთესულ-ი – გაფანტული, განბნეული 119.4
განკანონება – დასჯა 98.24; 99.9; 100.24; 114.9
განკანონება-მ – იხ. „განკანონება“ 92.7
განკურვება-მ – გაოცება 107.8

განკურვებულ-ქმნა – გაოცება 107.15
განკითხვა – განსჯა, გასამართლება 118.10
განკრთომა – შეკრთომა, გაკვირება, გაოცება 111.7
განკრძალულ-ყოფა – ბეჯითობა 96.26
განმართება – გამოსწორება 99.10
განმარტებულ-ი – წმინდა 95.17
გამნარტებულება-მ – სიწმინდე, განწმენდილობა 118.12
განმგებელ-ი – ზედამდგომელი 95.2; 101.15
განმზადება – მზად ყოფნა 109.9; 114.2
განმტკიცება – გაძლიერება, გამაგრება 113.15
განმზადებულ-ყოფა – იხ. „განმზადება“ 101.13
განმტკიცებულ-ყოფა-მ – 118.16
განპყრობილ-ქონა – გაშლილად ქონა 90.1
განრომა-მ – გადარჩენა, თავის დაღრწევა, ხსნა 96.8
განსაზღვრება – დაწესება 114.10
განსაცდელ-ი – ფათერაკი, ხიფათი 94.4
განსუენება – მოსვენება, დასვენება 101.1
განსვენება-მ – იხ. „განსუენება“ 114.3
განსვლა-მ – გამოსვლა, გარდაცვალება 96.21; 99.2; 111.11; 111.14
განსყიდა-მ – გაყიდვა 105.1
განსწავლა – გაწვრთნა, სწავლა 95.21
განტევება-მ – გაშვება 90.20
განტევებულება-მ – იხ. „განტევება“ 90.15; 90.17
განტევებულ-ი – გაშვებული, გადამეტებული 100.5; 116.9
განტენა – მტვრევა 98.5; 101.11; 101.16
განფიცხება – გამკაცრება, გასასტიკება, გაბრაზება 118.23; 118.26
განქიქება-მ – გამჟღავნება 96.17; 113.22
განლებულ-ი – გაღებული, გახსნილი 100.4
განყვანება – გაშვება 94.20
განყენება – გაცლა, განდგომა, განშორება 111.12
განყენება-მ – იხ. „განყენება“ 115.9; 119.11

განყენებულ-ყოფა – განდგომილი ყოფნა, განშორებული ყოფნა 111.12
განყიდა – გაყიდვა 105.1; 105.3
განყოფილ-ი – გაყოფილი, გაცალკეებული 103.13
განშიშულება – გატიტვლება 93.10
განშიშულებულ-ქმნა – 93.20; 103.11
განშორება – გაცლა, მოცილება 105.20
განშორება-მ – იხ. „განშორება“ 103.3; 103.11
განშორებულ-ი – მოცილებული, შორი 105.21
განშუენებულ-ი – შემკობილი, მშვენიერი 105.10
განცხადება-მ – გამოჩენა, გამოაშკარავება 96.18
განძარცუვა – გახდა, გაშიშვლება 93.14; 94.1; 94.11; 111.19
განძარცუვა-მ – იხ. „განძარცუვა“ 105.17
განწმედა-მ – გაწმენდა 114.21
განწყობილება-მ – რიგი 114.18
განვდა – გაძევა 99.10
განვმობა – გახმობა, გაშრობა 119.14
გარდამავალ-ი – დამნაშავე, კანონის დამრღვევი 92.7; 112.14
გარდამოსვლა – გადმოსვლა, ჩამოსვლა 111.23; 112.2
გარე – გარეთ 91.12
გარემიქცევა – მიბრუნება 109.15
გარემიქცეულ-ქმნა – ზურგის შექცევა 112.5
გარეშე – გარეთ, გარეგან 112.1
გარეშემოსასხმელ-ი – მოსაცმელი 97.11
გება – ლოდება, დაცდა, შეძლება 107.1; 108.11
გემოვნება-მ – შვება, სიამოვნება, სიტკბოება 95.12
გზა-მ – სავალი 95.9; 109.4; 111.9; 114.6; 115.1; 117.23
გინება – ლანძღვა, შეურაცხ-ყოფა 111.8; 115.21; 117.19; 118.24
გლახაკ-ი – დავრდომილი 97.21
გოდება-მ – გლოვა, ტირილი, მოთქმა 107.20
გონება – ფიქრი, მიჩნევა, აზრი 98.3; 106.2; 114.15; 115.15;

118.13; 118.22;
გონება-მ – აზრი 90.16; 90.21; 91.2; 91.5; 91.6; 91.7; 93.6;
 103.13; 114.2; 115.15; 116.7
გონიერება-მ – სიბრძნე, ჭკუა 115.15
გონიერ-ყოფა-მ – განსწავლა 118.6
გვან-ი – 98.15
გუელ-ი – გველი 113.6; 113.22
გულ-ი – 96.4; 111.18; 118.16; 119.18
გულისთქუმა – 109.16
გულისთქუმა-მ – სურვილი, ნატვრა 95.11; 95.15; 111.6; 111.16
გულისსიტყუა-მ – ზრახვა, აზრი, ფიქრი 90.24; 95.15; 96.11;
 96.14; 96.16; 96.18
გულისკმის-ყოფა – გონიერება, სიბრძნე 93.18; 108.26; 109.3;
 110.7
გულმოდგინება-მ – გულმოდგინე, ბეჯითი 106.17; 112.19; 119.7

დ

დაბერებულ-ი – მოხუცებული 106.10
დაბეჭდვა – გამოსახვა 90.8
დაბნეულ-ი – გაფანტული 102.10
დაგდება – დავარდნა, დაცემა 98.25; 107.7
დადგინებულ-ყოფა – დაწესება, დანიშვნა 95.1
დადგმა-მ – დადება 102.10
დადგომა – დგომა, გაჩერება 100.19
დადგომა-მ – იხ. „დადგომა“ 91.10
დადგრომა – იხ. „დადგომა“ 92.13; 94.18; 113.6
დადება – 111.20; 118.1
დავარდნა – იხ. „სწორად დავარდნა“ 90.2
დავითნ-ი – ფსალმუნთა წიგნი 112.12
დავიწყება-მ – მივიწყება 115.4
დათმენა – მოთმენა, ატანა, ტვირთვა 93.4; 103.4; 118.21

დათრგუნვა – გათელვა 112.9
დაკლებულ-ი – მოკლებული, ჩამორჩენილი 100.10
დამალვა-მ – მიფარვა 108.5
დამარხვა – დაცვა, შენახვა 94.2; 117.23
დამარხულ-ყოფა – შენახული, დაცული 96.20
დამაყენებელ-ი – დამაბრკოლებელი, შემაფერხებელი 102.20
დამკვდრებულ-ი – დასახლებული 106.3
დამოკიდება – ჩამოკიდება 110.15
დამოკიდებულ-ყოფა – 111.5
დამორჩილებულ-ყოფა – დაქვემდებარებულობა 106.13
დამრთგუნველ-ი – გამთელავი 102.3
დამსჭუალვა-მ – დაღურსმვა 110.17
დამტკიცება – დაზუსტება 107.2
დამძიმება-მ – მძიმის დადება, გაძნელება 90.24
დამჭირვა – დაჭერა, დაცვა, დაკავება 93.1
დარღუევა – დაშლა, დამხობა 112.13
დარწმუნება – დაჯერება 108.16
დასაბამ-ი – დასაწყისი, თავი, პირველი 105.19; 109.3; 112.9;
 113.11; 113.19; 113.21; 119.8
დასასრულ-ი – აღსასრული, ბოლო 113.12
დასასწავლელ-ი – შესასწავლი 119.6
დასაცველ-ი – შესანახავი 117.5
დასწავლა – შესწავლა 112.11
დასხდომა – დაჯდომა 99.21
დასხმა – დაღვრა, მორწყვა 107.6
დატევება – დატოვება 91.12; 97.3; 104.10; 104.17
დატევებულ-ქმნა – 113.3
დაუსრულებელ-ი – დაუბოლოვებელი 114.16
დაფა-მ – საწერი მასალა 97.14
დაფარვა – დამალვა 96.13; 115.14
დაფარვა-მ – იხ. „დაფარვა“ 108.10; 113.23;
დაფარულ-ყოფა-მ – დამალული ყოფნა 100.3

დაყენებულ-ქმნა – შეჩერება, შედგომა 104.4; 107.21
დაყოვნებულ-ი – დაგვიანებული 100.23
დაყოფა – ყოფნა, გატარება 106.19; 107.23; 109.1
დაშენებულ-ი – აშენებული 108.13
დაშთინება – დატოვება, დარჩენა 92.26
დაშურომა – გარჯა, შრომა 97.17; 97.22
დაცადება – დასრულება 108.24
დაცვა – შენახვა, შესრულება, გაფრთხილება 92.2; 100.8; 102.8; 111.17; 112.3; 112.8; 112.17; 118.3
დაცვა-მ – იხ. „დაცვა“ 115.1
დაცვენებულ-ი – დაცვენილი, დაყრილი 101.22
დაწესება – განწესება 107.18
დაწესებულ-ი – ბრძანებული, დადგინებული 116.2
დაწესებულ-ყოფა – დაკანონებული 99.11
დაწყება – 89.19; 90.3; 94.8; 112.16; 116.1; 116.17
დაწყება-მ – დასაწყისი 95.9; 113.10; 113.21; 114.19
დაწყნარება-მ – დასვენება, დამშვიდება 91.17
დაწყნარებულება-მ – მოსვენება, დამშვიდება 89.16; 99.16
დახრწევა-მ – გაცდენა, დაბრკოლება 91.12
დაჯსნა – დახსნა, დარღვევა 103.14; 108.11
დაჯსნილება-მ – შიში, სიზარმაცე 109.9; 116.25
დაჯსნილ-ი – მოშვებული, ზარმაცი 110.1
დგომა – იხ. „მცირედ დგომა“
დგომა-მ – იხ. „მტკიცედ დგომა“
დედა-მ – დედაკაცი, მდედრი 99.3
დიდება-მ – განდიდება, ქება, ოსანა 105.17; 109.7; 119.21
დიდებალ-ი – პატივცემული 104.16
დიდ-ი – დიდი, აღმატებული 100.7; 104.3; 104.14; 105.11; 107.8; 107.15; 117.1
დროება – დაცდა, ვადა 94.3
დრტუნვა – უკმაყოფილება, პროტესტი 98.12
დრტუნვა-მ – იხ. „დრტუნვა“ 103.19

დუმილ-ი – სიჩუმე 99.18
დღე – დღე-ღამე, ხანი 101.6; 103.17; 106.6; 109.2; 110.8
დღითიდღე – ყოველ დღე 96.1; 97.17; 111.14; 113.1; 113.2

ე

ეგევითარ-ი – მაგნაირი 92.8
ეგვპტელი – 99.17; 102.15
ეგვპტური – 89.16
ეკლესია-მ – 98.25; 100.17
ენა-მ – 116.8; 118.1
ერდო-მ – ბანი 112.2
ერთბამად – საერთოდ 103.11; 104.23
ერთგულება-მ – 109.6
ერთ-ი – 90.11; 95.23; 98.4; 102.17; 103.17; 106.12; 106.23
ერთმანერთ-ი – ერთმანეთი 101.2
ერთსახე – ერთნაირი 91.18
ერქუან-ი – გუთანი 111.20
ესევითარ-ი – ამნაირი 90.8; 90.21; 90.25; 92.24; 94.15; 96.4; 97.22; 99.7; 99.16; 99.20; 111.15; 113.10; 114.18; 115.10; 116.12; 116.14; 117.14; 117.18
ესოდენ – ამდენად 99.15
ესოდენ-ი – ამდენი; ამოდენი 90.9; 90.11; 92.14; 96.20; 97.17; 97.18; 99.18; 101.3; 101.10; 102.5; 104.5
ექუსუამ – 100.15
ესმაკ-ი – სატანა, ბოროტი, ავი სული 90.22; 96.8; 118.18

ვ

ვაჭრობა – გაყიდვა 105.4
ვედრება – 1ხვეწნა, თხოვნა 06.6; 107.18; 112.21
ვედრება-მ – იხ. „სულთქუმით ვედრება“; იხ. „ვედრება“ 92.9; 108.16
ვერშემძლებელ-ი – უძლური 106.10

ვერ შესაძლებელ-ქმნა – შეუძლებლობა; ვერ გაკეთება 108.9
ვერ შესაძლებელ-ყოფა-მ – 108.12
ვერ წარმართება – წარმატების ვერ მიღწევა 111.21
ვერ წარმართებულ-ქმნა – 112.6
ვეშაპ-ი – 113.18
ვიდრესლვა – სადმე წასვლა 106.22
ვნება-მ – სენი, შეცოდება 94.18; 119.14; 119.15; 119.16

ზ

ზემოვსენებულ-ი – ზემოთ ნახსენები 104.11
ზეშთა-ყოფა-მ – 95.16
ზეცათა-მ – ციური 114.14
ზიარ-ი – საზიარო, საერთო 116.2
ზოგად-ი – საერთო 97.2; 97.15
ზრახვა – ლაპარაკი, ურთიერთობა 98.20
ზრუნვა – 111.5
ზრუნვა-მ – 101.10; 111.5; 112.5
ზუათობა-მ – ამაყოფა, დიდების-მოყვარეობა 93.20

თ

თავ-ი – სხეულის ნაწილი, დასაწყისი, მწვერვალი 102.24;
113.18; 113.25; 115.6; 117.2
თავს-დება – მოთმენა 104.2
თავსმდებელ-ი – მტვირთველი 94.4; 94.6
თანააღრაცხუა – აღრიცხვა 95.6
თანააღრევა – შერევა 92.3
თანამდებ-ი – გადამხდელი, მოვალე 109.20
თანამოდგომა-მ – შემწე, თანამოქმედი 90.22
თანანადებ-ი – მართებული 118.14
თანაწარმავალ--ი – გამვლელი 111.9
თანაწარუვალ-ი – გვერდის აუვლელი 118.14

თაყვანის-ცემა – პატივის მიგება 108.14
თებაიდელი – 99.18
თებაიდური – 89.17
თითოეულ-ი – 91.19; 93.10; 97.17; 101.8; 105.1; 105.3
თითოსახე – სხვადასხვა, ნაირნაირი, მრავალფერი 92.1; 94.4;
106.5
თითოსახეობა-მ – მრავალნაირობა, სხვადასხვაობა 103.10
თუალ-ი – თვალი 100.5
თუალითმხილველ-ი – თვითმხილველი 89.8
თუალითხილულ-ი – ნანახი 101.19
თქმულ-ყოფა – ნათქვამი 110.3
თხოვა – ვედრება, ხვეწნა 98.26; 100.21; 107.16
თხრობა-მ – მოხსენება, უწყება 89.2; 92.9; 92.10; 101.20;
103.1; 108.24

ი

იდუმალ მიღება-მ – ფარულად მირთმევა 99.6
იკონომოს-ი – მონასტრის მთავარ სამეურნეო საქმეთაგამგე
94.1; 101.14; 101.21
იძულება – ძალდატანება 111.7
იძულება-მ – იხ. „იძულება“ 107.19; 108.16; 116.17
იწრო-მ – ვიწრო 114.6
იჭუეულ-ი – ეჭვიანი, დაურწმუნებელი 107.1
იჭუეულ-ყოფა – დაეჭვება 109.15

კ

კადნიერება-მ – გაბედვა 98.18
კადრება – შეძლება, გაბედვა 90.6; 91.9; 92.5; 96.22; 99.22;
100.18; 115.20
კანონ-ი – წესი 89.6; 89.13; 91.8; 92.7; 99.9; 102.2; 102.13;
116.2
კაპბადოკია – 100.14

კარ-ი – 97.1; 100.19; 103.5; 109.1; 112.20
კაც-ი – იხ. „წმიდა კაცი“ მამაკაცი, ადამიანი, პიროვნება
 90.11; 103.2; 105.10; 107.3; 107.9; 108.18; 112.17;
 117.10; 117.15
კეთილად – კარგად 96.5
კეთილად განმკითხველობა-მ – კარგად განმსჯელობა 96.6
კეთილად ქცევა – უმჯობესად შეცვლა 94.3
კეთილად შეწყნარება-მ – კარგად მიღება 92.25
კეთილ-ი – სიკეთე, კარგი, მშვენიერი 89.15; 96.5; 113.4;
 114.9; 116.19; 119.10
კეთილის-ყოფა-მ – კეთილმოქმედება 113.21
კერძო-მ – მხარე 100.14; 102.14; 108.2; 108.4; 108.14
კიბე – 114.18; 114.19; 118.4
კიდე – ნაპირი 103.23
კითხვა-მ – წაკითხვა 98.14; 99.12
კმა-ყოფა – თვითკმაობა, თვითსაკმარისობა 92.8; 96.15;
 97.19; 106.16; 116.4
კრებულ-ი – მონასტერი; მონასტრის პირადი შედგენილობა
 93.8; 94.14; 94.24; 95.6; 102.28; 105.12; 117.4;
 117.7
კრძალვა – ფრთხილობა, სიფრთხილე 112.10
კრძალულება-მ – 102.8
კვრიაკე – კვირა დღე 101.6
კუნკულ-ი – ბერის ქუდი 100.3
კურთხევა-მ – დალოცვა, ნების დართვა 99.7

ლ

ლოცვა – თხოვნა, ვედრება 89.18; 90.19; 110.18
ლოცვა-მ – 89.14; 89.18; 90.7; 90.9; 90.13; 90.17; 90.23;
 91.8; 92.9; 96.26; 97.2; 98.10; 100.15;
 100.21

მ

მარადის – მუდამ 117.21
მეყსეულად – უეცრად, წამიერად 98.17; 107.6
მიცემა – იხ. „შენდობის მიცემა“
მოგება – შეძენა, მოპოვება 102.5; 115.11
მოგება-მ – იხ. „მოგება“ 95.16; 99.5
მოგონება – მოფიქრება 105.4
მოგონება-მ – აზრი 96.4; 115.13
მოდრეკა – მუხლის მოყრა, დაჩოქება 100.20
მოდრეკა-მ – იხ. „მოდრეკა“ 89.19; 89.20
მოთმინება – დათმენა 115.22
მოთმინება-მ – იხ. „მოთმინება“ 92.23; 94.4; 94.6; 103.17;
 104.20; 105.2; 106.8; 106.15; 112.19; 113.16;
 117.4; 118.18; 118.21
მოთხრობა – მოყოლა 113.14
მოკლე – არა გრძელი 97.11
მოკუდინება-მ – მოკვლა 115.12; 119.13
მოკუდომა – სიკვდილი 95.19
მოლოდება – ცდა, ლოდინი 109.8; 111.11; 113.9
მომატყუებელ-ი – საბაბი, შუამავალი 89.11
მომკუდარ-ი – გარდაცვლილი, მკვდარი 110.9; 110.13
მომლოდე-ყოფა – 111.14
მომცემელ-ი – მომცემი 119.2
მონაგებ-ი – ქონება 93.11; 119.12
მონაზონ-ი – ბერი 95.7
მონაზონება-მ – ბერად შედგომა, შემონაზვნება 92.4; 92.20;
 104.14; 104.19; 110.6
მონა-მ – მსახური 101.5; 109.5
მონასტერ-ი – სავანე, ბერთა საერთო საცხოვრებელი 89.4;
 89.7; 89.12; 89.17; 92.12; 92.18; 92.19;
 93.2; 93.17; 94.2; 94.12; 94.16; 94.20; 97.18;
 99.3; 99.10; 99.12; 100.12; 103.4; 103.5;

103.6; 103.8; 104.7; 104.10; 104.21; 105.11;
105.21; 106.1; 106.9; 107.19; 107.23; 108.5;
108.8; 108.17; 108.21; 109.1
მონება – მონობა, მორჩილება 109.7; 115.19
მონება-მ – მსახურება 98.3; 114.2
მო-რა-მ-სლვა – 107.23
მორთუმევა – მოტანა 96.17
მორჩილება-მ – დამორჩილება, სმენა, გაგონება 92.13; 92.15;
92.18; 92.23; 93.2; 93.4; 95.19; 96.13; 96.20;
97.5; 102.24; 104.1; 104.6; 105.19; 106.15;
107.22; 107.25; 110.6; 118.12; 118.18; 119.10
მორჩილ-ქმნა – 89.8
მოსლვა – მოსვლა 108.14
მოსრულ-ი – მოსული 93.18; 104.13; 107.11; 107.17
მოსრულ-ყოფა – 93.12; 114.1
მოსწრაფე – სწრაფი, ჩქარი, გულმოდგინე 105.6; 116.20
მოსწრაფება – სწრაფვა 104.19
მოსწრაფება-მ – სწრაფვა, გულმოდგინება, სიბეჯითე, გარჯა
91.17; 92.2; 94.7; 96.24; 97.5; 99.15;
100.7; 101.4; 102.5; 113.16; 116.20
მოტყუება – შეძენა 107.8
მოქალაქე – ქალაქელი, ამხანაგი 116.21
მოქალაქობა – ცხოვრება, მოღვაწეობა, ყოფაქცევა 116.25
მოქალაქობა-მ – იხ. „მოქალაქობა“ 105.15; 105.18; 111.22
მოქმედ-ი – საქმის ჩამდენი 99.1
მოღება-მ – მიღება 102.12
მოღუაწე – მშრომელი, გამრჯელი 105.9; 116.22
მოღუაწება-მ – ზრუნვა, მოვლა, შრომა, გარჯა 89.13; 95.3;
102.6; 105.20; 110.17
მოყუარე – მეგობარი, ამხანაგი 98.20
მოციქულებრ-ი – მოციქულთა მსგავსი 119.19
მოციქულ-ი – 110.10; 112.13; 118.6

მოძიება – მონახვა, პოვნა 108.1
მოძღუარ-ი – მასწავლებელი, დამრიგებელი 118.15
მოძღურება-მ – სწავლება 95.20; 118.15
მოწაფე – შეგირდი 95.20; 106.21; 106.24
მოწვევულ-ი – თავსდატეხილი 115.21
მოწყინება-მ – მობეზრება 90.14; 90.25
მოხუცებულ-ი – დაბერებული, ხანშიშესული 95.7; 107.3
მოვდომა – მოსვლა, მოწვევა, შეხვედრა 96.2; 103.3; 109.10;
113.19
მოვსენება – მოგონება, გახსენება 119.7
მოვსენება-მ – იხ. „მოხსენება“ 116.7
მსწრაფლ – მალე, ჩქარა 109.18; 116.14
მუკლთმოდრეკა – მუხლის მოყრა, დაჩოქება 89.19
მყის – წამიერად 96.2

ნ

ნავ-ი – ხომალდი 108.3
ნათესავ-ი – მოდგმა, გვარი, მახლობელი 98.20; 105.5
ნაკლულევანება-მ – სიმცირე, სიღარიბე 119.15
ნამეტნავ-ი – ზედმეტი 97.9
ნაყოფ-ი – 119.17
ნაშენებ-ი – ნაგები 111.6
ნაშრომ-ი – ნაღვაწი 97.24
ნება-მ – სურვილი, ნდომა იხ. „ნება“ 95.13; 95.19; 111.5;
111.6; 115.12; 119.13
ნება – 92.20; 111.16; 114.17; 117.2; 117.3
ნერწყუა-მ – ფურთხი 90.14
ნეტარ-ი – სანატრელი 89.1; 89.12; 90.25; 102.6; 104.17;
106.13; 108.15
ნივთ-ი – 98.1
ნიშნეულ-ი – ნიშნის მქონე 101.8
ნურარა-მ – ნურაფერი 96.4

ნუსადა-მ – შესაძლოა, ეგების 111.17; 112.3; 112.8

ო

ორგულება – ეჭვიანობა, არა რწმენა 118.11
ორსახე – ორგვარი 90.17
ოფლთაგან-ი – 97.24
ოფლ-ი – 97.18

პ

პატივ-ი – ხარისხი, დიდება 104.15; 104.18; 109.8
პატივის-ცემა – პატივის მიგება 98.14
პატივ-ყოფა – იხ. „პატივის-ცემა“ 107.12
პატივცემულ-ი – დიდებული 105.15
პატიოსნება-მ – 116.22
პირველად – 89.14
პირველთქმულ-ი – ადრე ნათქვამი 100.24
პირველ-ი – 90.9; 90.18; 91.9; 92.17; 92.19; 94.14; 95.10;
95.22; 97.7; 99.8; 100.16; 105.19; 109.8; 112.4;
113.1; 113.13; 115.11; 119.4
პირ-ი – 106.25; 110.2; 117.9; 117.10; 117.15; 118.1
პირ-ი ღმრთისა – 96.24
პოვნა – აღმოჩენა, შეძენა 92.6; 94.9; 94.21; 98.27; 109.21
პოვნა-მ – იხ. „უბრალოდ პოვნამ“
პოვნება – ყოფნა, ნახვა, აღმოჩენა 91.18; 92.14; 92.16; 99.21;
100.10; 114.7
პყრობა – ჭერა 91.19

ჟ

ჟამ-ი – დრო, საათი 89.17; 90.13; 93.2; 96.2; 99.11; 100.15; 103.4
104.9; 106.14; 106.19; 107.10; 107.24; 108.1; 108.8; 108.21;
109.1

რ

რავდენმე – რამდენიმე 108.14
რეკა-მ – კაკუნი 100.2
რეკება-მ – იხ. „რეკამ“ 97.1
რისხვა-მ – გულსმოსულობა, შფოთი 95.15
რიცხუ – 107.18
რქმევა – წოდება 103.2
რჩენა – მინდობა 96.4
რჩეულ-ი – გამორჩეული, სარწმუნო 114.13
რწმენა – დაჯერება
რწმუნება – დაჯერება, მინდობა 96.13; 102.19; 115.3; 115.16
რწმუნებულ-ი – 102.1; 102.3
რწმუნებულ-ყოფა-მ – მინდობა 101.12; 102.1

ს

საგონებელ-ი – საფიქრებელი, მისაჩნევი 90.10; 106.17; 107.11
საერისკაცო-მ – 94.13; 94.19; 105.23
საზრდელად – გამოსაკვებად 97.20
საზრდელ-ი – საკვები 99.6; 99.11; 100.9
სათანადო-მ – საჭირო, ჯეროვანი 110.16
სათნო – მისაღები, მოსაწონი 96.9; 105.10
სათნობა-მ – მოსაწონისობა, სიკეთე, სიქველე 89.11; 93.3;
95.10; 97.6; 97.9; 102.18; 102.25; 102.27; 104.12;
105.15; 114.18; 114.20; 115.1; 116.16; 116.24;
118.22; 118.26; 119.2; 119.16; 119.18
სათნო-ყოფა – მოწონება 114.14
სათხროლ-ი – ბარი, ეჩო 107.4
საკრებულ-მ – იხ. „კრებული“ 89.4; 89.6; 89.17; 92.11;
93.5; 95.17; 100.11; 103.4; 106.1; 118.20
სამზარეულო-მ – საჭმლის მოსამზადებელი სახლი 100.26; 102.19
სამ-ი – 106.19

სამონაზონო-მ – საბერო 105.23
სამოსელ-ი – ტანისამოსი 93.17; 93.23; 94.12; 94.13; 94.19; 105.22; 105.23
სამოციქულო-მ – მოციქულისა 91.13
სამყამ – 100.15
სამსახურებელ-ი – მოსახმარებელი 97.20; 101.1; 106.4
სამღვდელ-მ – მღვდლის 101.12
სამწესო-მ – ფარა 114.13
სანატრელ-ი – ბედნიერი 89.5; 113.4
სანდალ-ი – ფეხსაცმელი 97.12
სარგებელ-ი – სასარგებლო, მარგებელი 108.23; 117.12
სარგებელ-ქმნა – 117.1
სარგებელ-ყოფა – 113.11
სარწმუნო-მ – სანდო 109.5; 109.7
სარწმუნოება-მ – 102.5; 104.1; 104.5; 104.21 118.12
სასმენელ-ი – ყური 90.20
სასობა – იმედი 108.4
სასურველ-ი – 105.19; 106.14
სასუფეველ-ი – სამეფო 111.21; 112.6; 114.5; 114.14
სასყიდელ-ი – გასამრჯელო 102.12
სასწაულ-ი – მომასწავებელი ნიშანი 115.9
საქმე – ქმნა, კეთება, რამე ამბავი 91.12; 93.19; 94.10; 94.11; 96.15; 97.2; 97.3; 98.9; 98.15; 98.17; 101.20; 103.23; 104.2; 104.8; 105.2; 105.4; 109.13; 110.21 111.23; 115.4; 115.13; 116.1; 118.11; 119.12
საქმეთაგან-ი – 106.11; 115.8
საღმართ-მ – ღვთისა, ღვთიური 94.7; 104.16; 107.25; 116.18
საშჯელ-ი – განაჩენი, დასჯა 109.19; 109.21
საცნაურ-ქმნა – გამომჟღავნება, განცხადება 106.22
საცნაურ-ყოფა – გამოჩინება, ჩვენება 106.2; 118.9
საცო-მ – მცველი 118.1
საწადელ-ი – სასურველი 106.14; 107.21

საწუთო-მ – დროებითი, წარმავალი 112.5
საწყალობელ-ყოფა – შესაცოდებელი, შესაბრალისი 112.22
საჭირვო-მ – ძნელი 114.6
საჭირო-მ – აუცილებელი 91.165; 98.17
საჭირო-ყოფა – იხ. „საჭირო“ 89.13; 102.25; 117.5
საძნაურ-ჩენა – სამწუხაროდ მიჩნევა 101.17
სახე – იხ. „ერთ სახე“ ფორმა, ნიშანი, მაგალითი, მსგავსება, პირისახე 90.8; 92.11; 92.24; 93.17; 96.7; 96.11; 97.22; 107.2; 110.14; 112.2; 115.10; 116.12
სახედ შემოღება-მ – მაგალითად მოტანა 102.28; 114.9
სახელ-ი – წოდება 103.2; 105.9; 107.13
სახლ-ი – სავანე 102.11
სავმარ-ი – საჭირო, მოსახმარისი ნივთი 91.15; 93.7; 97.14; 97.19; 97.25; 100.2; 102.11
სავმართაგან-ი – ქონება, ნივთი 92.27; 97.14; 97.26; 99.5
სავმარ-ყოფა-მ – საჭიროება 117.7
სენაკ-ი – ბერის სამყოფელი 91.12; 96.21; 96.25; 97.1; 103.11
სიბერე – მოხუცებულობა 92.14; 92.15; 102.21; 105.15
სიგლახაკე – სილატაკე, შეჭირვება 93.5; 93.21
სივლტოლა-მ – გაქცევა 108.1
სიკუდილ-ი – აღსრულება 110.7; 117.4
სიმაღლე – მაღლობი 116.14
